ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეკალი

რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი

№ 8

2014

ISSN 1987-8583

ლადო მინაშვილი

ქველმოქმედი ქალები მე-19 საუკუნის აშშ-სა და საქართველოში: ფილანტროპიის პარალელები

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებამდე საშუალო და მაღალი კლასის ამერიკელი ქალბატონებისთვის ქველმოქმედება თვითრეალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის ერთ-ერთი უსაფრთხო გზა იყო, რასაც ისინი დიდი წარმატებით აკეთებდნენ. სოციალური ცვლილებებისთვის მებრძოლი ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, დასაქმებისა და განათლების თვალსაზრისით ახალი პერსპექტივების შექმნა, მისიონერული საქმიანობა, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მფარველობა; ეს იმ პროგრესული ნაბიჯების არასრული სიაა, რომელნიც ქალთა ქველმოქმედების შედეგად განხორციელდა.

კონკრეტულად ამ პერიოდზე ყურადღების შეჩერება იმითაა განპირობებული, რომ სწორედ ამ დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე მოხდა ფილანტროპიის და ხელოვნების მეცენატობის იმ პრინციპების ჩასახვა, რომლებმაც გენდერული ბარიერების დაძლევის პერსპექტივა გააჩინა და შედეგად არა მხოლოდ ქალთა უფლებები გაზარდა, არამედ ამერიკული საზოგადოების შემდეგი წინსვლა უზრუნველყო.

ისტორიული და სოციალური პირობების განსხვავებულობის მიუხედავად, მე-19 საუკუნის ქველმოქმედ ქალთა საქმიანობას აშშ-სა და საქართველოში ბევრი საერთო აღმოაჩნდა. პირველი და უმთავრესი კი, ალბათ, ის იყო, რომ ორივე ქვეყანაში ქალებმა გააცნობიერეს ცვლილებების საჭიროება და თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყეს. ამერიკაში ეს პროცესი დოკუმენტურად 1848 წელს გაფორმდა, როდესაც სენეკა ფოლსში ქალთა უფლებების ყრილობაზე ხელი მოეწერა ელიზაბეთ სტენტონის „ გრძნობათა დეკლარაციას“. საქართველოში, დაახლოებით, ამავე დროს ბარბარე ჯორჯაძემ დაწერა ლექსი ქალთა უფლებებზე. განსხვავებული მასშტაბისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ორივე მსგავსი სულისკვეთებით იყო ნასაზრდოები.

ელიზაბეთ სტენტონისა და ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობა ამ პერიოდის ქართულ-ამერიკულ ფილანტროპიაში არსებული პარალელიზმის გამოვლინების ერთადერთი მაგალითი არა არის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სარა უორთინგტონ ქინგ პიტერის, სარა ჰეილის, ქენდის უილერის ქველმოქმედება ამერიკაში და ანასტასია წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ელენე ყიფიანის, ეკატერინე მესხისა - საქართველოში. ეს პარალელები არც ზუსტი თანხვედრით გამოირჩევა და ზოგიერთ შემთხვევაში ქრონოლოგიური ცდომილებებიც ახასიათებს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გეოგრაფიული დაშორებისა და მთელი რიგი განსხვავებების მიუხედავად, ორი ქვეყნის ქალთა ძალისხმევას საერთო ვექტორი და მიზანი ჰქონდა. რომ არა გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიული რეალობა, ეს ფილანტროპული ტრადიციები ქვეყნის განვითარებაზე სრულიად განსხვავებულ გავლენას იქონიებდა და სოციალური და კულტურული ინსტიტუციები, უდავოდ სხვა ფორმით ჩამოყალიბდებოდა.

ოჰაიოს გუბერნატორის ოჯახში დაბადებული სარა ვორთინგტონ ქინგ პიტერი (Sarah Worthington King Peter, 1800-1877) ადრეული ასაკიდანვე საქველმოქმედო და ინტელექტუალურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდა. თავდაპირველად მისი ინტერესის სფერო საეკლესიო საქმიანობა, კერვის წრე, ხელოვნების, ფრანგულის შესწავლა და ლიტერატურული ჯგუფების მასპინძლობა იყო. 1833 წლის ქოლერის ეპიდემიამ მისი ვაჟი იმსხვერპლა, რის შემდეგაც მან თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად ცინცინატის ობოლთა თავშესაფარი დააარსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში

აქტიურად ჩაება. მოგვიანებით თავის მეგობარ სარა ჯოზეფა ჰეილთან ერთად იგი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ქალთა დასაქმებისა და მათთვის ახალი შესაძლებლობების გახსნის გზების ძიებას: 1848 წელს პირადად შეაგროვა პირველი 20 სტუდენტი და საკუთარი სახლის მესამე სართულზე ამერიკაში პირველი დიზაინის სკოლა გახსნა ქალთათვის. სარა ვორთინგტონის მეუღლის სამშობლოში, ინგლისში, მსგავსი წამოწყების წარმატებული გამოცდილება მისთვის მნიშვნელოვანი სტიმული იყო. დიზაინის სკოლა ამერიკაშიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: საზოგადოებრივი მხარდაჭერა, დაფინანსების არსებობა და სტაბილური შეკვეთები საფეიქრო მრეწველობის მხრიდან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო შედეგებიც. ამ წამოწყების მეშვეობით წარმატებულად მოხერხდა ქველმოქმედებისა და მხატვრული საწყისის გაერთიანება და რაც მთავარი იყო, ქალთა დასაქმების ეს ფორმა მოერგო იმ დროის საზოგადოებრივ ნორმებს. მწერლობისა და ხელსაქმის მსგავსად, ეს საქმიანობა სახლის კედლებშიც წარმატებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, და ამასთან ერთად, ამ ორგანიზაციის მთავარი მოთხოვნის, გემოვნების დახვეწის, ამოცანებსაც პასუხობდა. ევროპაში გამგზავრებულმა სარა უორთინგტონ პიტერმა აღმოაჩინა ფერწერის ნატიფი სამყარო, შეისწავლა ისტორია, შეიძინა ანტიკური ქანდაკებები და ძველი ევროპული ხელოვნების ნიმუშები. აქვე გამოიკვეთა გალერეის შექმნის იდეაც. ამჯერად, საკუთარი სახსრების გამოყენების ნაცვლად სარა პიტერმა თანამოაზრეები შემოიკრიბა და 1854 წელს გაიხსნა ქალთა ხელოვნების აკადემია, რომელიც, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული მრავალპროფილიანი ორგანიზაცია იყო. ეს დაწესებულება ფუნქციონირებდა როგორც ევროპული მხატვრობის ასლების საცავი, კოლექციონერების მიერ ნათხოვები ნახატებით დაკომპლექტებული გალერეა, ლიტერატურული კითხვის ცენტრი და დიზაინის სკოლა ხელმოკლე ქალთათვის. ყოველივე ეს ხორციელდებოდა ობოლთა თავშესაფრებისათვის თანხების შეგროვებით მიღებული გამოცდილების გამოყენებით და საწევროების აკრეფის გზით. პროექტი რვა წლის ფუნქციონირების შემდეგ დაიხურა და ამის ფორმალური მიზეზი დაფინანსების ვერ მოპოვება იყო.

მართალია, სარა ვორთინგტონის მიერ შექმნილი ორგანიზაციის მსგავსი დაწესებულებები არაერთ ქალაქში დაარსდა, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ვფიქრობ, მისი ბიოგრაფია იმის დასტურია, რომ ამ პერიოდში ქალების ქველმოქმედებასა და რეფორმებში ჩართულობა რაციონალურ, პრაგმატულ მიზნებს თუ არ ემსახურებოდა, ზედმეტ ფუფუნებად აღიქმებოდა და საზოგადოების მხარდაჭერას ნაკლებად პოულობდა, რიგ შემთხვევაში კი გაკიცხვის საგანიც ხდებოდა.

სამოქალაქოომამდელ პერიოდში ქალთა საქმიანობა კიდევ ერთ სფეროს მოიცავდა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია იმ მსოფლმხედველობრივი პრინციპების ჩამოყალიბებაზე, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, მყარი ტენდენციის სახე მიიღო. ამ მიმართულების ერთ-ერთი სახე მწერალი, გავლენიანი გამომცემელი და ამერიკის ეროვნული დღესასწაულის, მადლიერების დღის, დაწესების სულისჩამდგმელი სარა ჯოზეფა ჰეილი (Sarah Josepha Hale, 1788-1879) იყო.

სარა ჰეილის ოჯახში მტკიცედ სწამდათ, რომ შვილებს სქესის განურჩევლად თანაბრად ხარისხიანი განათლება უნდა მიეღოთ და სარა და მისი ძმა ცოდნას ერთნაირ პირობებში ეზიარნენ. ადრევე დაქვრივებულ სარა ჰეილს 5 შვილი დარჩა და მეგობრების რჩევით ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მან გამოაქვეყნა ლექსების კრებული *“Genius of Oblivion“* და მოგვიანებით რომანი *“Northwood. Life North and South”*.[1] განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ სარა ჰეილი პირველი მწერალი იყო, რომელიც მონობის საკითხს შეეხო.

წიგნებით მოპოვებულ ავტორიტეტსა და პოპულარობას ჟურნალ *“Godey’s Lady’s Book”*-ის 40-წლიანი რედაქტორობა მოჰყვა. სარა ჰეილი ამ თანამდებობიდან 90 წელს მიტანებული გადადგა და მთელი ამ დროის განმავლობაში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ამ პერიოდში ჟურნალში იბეჭდებოდნენ ნათანიელ ჰოთორნი, უოშინგტონ ირვინგი, ჯეიმს კირკი და მრავალი სხვა ავტორი, მათ შორის, ქალი მწერლებიც. თვითონ სარა ჰეილი ამერიკული გემოვნების არბიტრი გახდა და ეს არა მხოლოდ მოდასა და კულინარიას, არამედ სახლის დეკორირებას, არქიტექტურასა და ლიტერატურას მოიცავდა. მის სახელთან დაკავშირებულია ქალთა სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯების შთამბეჭდავი სია: ის იყო ქალთათვის უმაღლესი განათლების პროპაგანდისტი; ამ საკითხს მის ჟურნალში 17-ზე მეტი სტატია და სარედაქციო წერილი მიეძღვნა. “ქალთა დასაქმება” *(Employment for Women)*, ამ სახელწოდების რუბრიკა ჟურნალში 1852 წლიდან არსებობდა და იმ დროისთვის მწვავე საკითხზე დისკუსიებს მართავდა. სარა ჰეილისთვის არც ეროვნულობის იდეა იყო უცხო. ის ემხრობოდა ქვეყნის ერთიანობის პრინციპს და ეროვნული ინტერესების ერთგულება მისთვის ამერიკელი ავტორების წახალისებასა და ამერიკული პრობლემატიკის გაშუქებაში გამოიხატებოდა. ამავე მიზანს, ქვეყნის ერთიანობის იდეას, ემსახურებოდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოს, ბანქერ ჰილის, ობელისკის[2] აღმართვა, რომლის ასაგებად თანხების შეგროვება ჰეილის ჟურნალის მეშვეობით მოხდა. ბოლოს, 1863 წელს, 17- წლიანი მიმოწერისა და ბრძოლის შედეგად, მადლიერების დღე სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა და ქვეყნის ერთიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო გახდა.

სარა ჰეილის მრავალწლიანმა საქმიანობამ ქალთა თვითშეფასებასა და თვითდამკვიდრებაზე დიდი გავლენა იქონია. მის ჟურნალში გამართული დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა ის ტენდენციები, რომელთა გაღრმავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქალთა როლი საზოგადოებაში.

ქენდის თერბერ უილერი (Candance Thurber Wheeler, 1827-1923) გამორჩეული ფიგურაა სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მისი ინიციატივით დეკორატიული ხელოვნების მხარდამჭერთა მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო და ქალების მიერ დაარსებული, მათი ინტერესების გამაძლიერებელი და მათ მიერვე მართული პირველი მასშტაბური წარმატებული წამოწყება იყო. დიზაინის სკოლები სრულად ეხმიანებოდა ქალთა ინტერესებს, რადგან აერთიანებდა სახლის დეკორირიებისა და კარიერული შესაძლებლობების გაფართოების იდეას და, ამდენად, სარა პიტერის დიზაინის სკოლის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ამერიკაში ქალთა ფილანტროპიის მკვლევარი ქეთლინ მაქართი თავის მონოგრაფიაში წერს, რომ, სარა უორთინგტონ ქინგ პიტერისგან განსხვავებით, ქენდის უილერი ამ როლისთვის შეუფერებელი იყო. უილერი ღრმად რელიგიურ ოჯახში დაიბადა და საკმაოდ მკაცრ პირობებში იზრდებოდა [McCarthy, 1991:38]. მოგვიანებით, როდესაც უილერი ამ პერიოდს თავის მოგონებებში აღწერდა, აღნიშნავდა, რომ იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, რომ მისი შვილიშვილები შესაძლოა, უბრალო ფერმაში მხოლოდ რელიგიური ლიტერატურით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკის კედლებში გაზრდილიყვნენ. [Wheeler,1918: 49]

ასეთი ტრადიციების მქონე ოჯახიდან გამოსული ქენდის თერბერი განათლებული ნიუიორკელი ინჟინრის, თომას უილერის, მეუღლე გახდა და მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. უილერმა ახალგაზრდა მეუღლე ნიუ იორკის კულტურულ ცხოვრებას აზიარა. ამავე პერიოდში ქენდის უილერი აქტიურად ერთვება სანიტარული კომისიის[3] საქმიანობაში.

1877 წელს ქენდის უილერმა და მისმა რამდენიმე თანამოაზრემ დააარსეს ნიუ იორკის დეკორატიული ხელოვნების საზოგადოება (the New York Society of Decorative Art NYSDA), რომელიც სამხრეთ ქენზინგთონის მუზეუმში[4] ნანახი ხელნაკეთი ნიმუშებითა და ინგლისში მსგავსი წამოწყების წარმატებით იყო შთაგონებული. წინამორბედი დაწესებულებების მსგავსად, უილერის საზოგადოება ქველმოქმედებისა და ხელოვნების ნაზავი იყო. მის მიზანს წარმოადგენდა ხელსაქმის ხარისხის ამაღლება და ხელოვნების დონემდე აყვანა. ორგანიზაციას ამ მიზნების განხორციელების კონკრეტული გეგმაც ჰქონდა შემუშავებული: ქარგვის, ჭრა-კერვისა და სხვა სახის ხელსაქმის კურსების დაფინანსება, ქალთა მიერ შექმნილი მაღალხარისხიანი ნაწარმის მარკეტინგი და ამ საქმიანობის პოპულარიზება გამოფენების, ლექციებისა და მოძრავი ბიბლიოთეკების განვითარების გზით.

ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ქალბატონებს ერთი იდეა აერთიანებდათ: დეკორატიული ხელოვნების განვითარების გზით ქალთა კარიერული შესაძლებლობებისა და კულტურის სფეროში გავლენის გაფართოვება. 1870-1890-იან წლებში დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა არნახული პოპულარობა მოიპოვა მთელ ამერიკაში. განათლებისადმი ინტერესის ზრდა, გემოვნების დონის მასობრივად ამაღლების საჭიროება და სურვილი კიდევ ერთი მიზეზი იყო, რომელმაც ამ საზოგადოებების ასეთ პოპულარობას შეუწყო ხელი.

დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა მთელი რიგი დადებითი ცვლილებები მოიტანა: ა) ქალთა საქმიანობისა და ინტერესების არეალი გასცდა სახლის, რელიგიისა და მხოლოდ ქველმოქმედების საზღვრებს. ბ) ამ ორგანიზაციების მეშვეობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების საქმიანობა აღარ ეწინააღმდეგებოდა არსებულ ნორმებს და, ამდენად, გაკიცხვის საგანიც აღარ იყო. გ) დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა ახალი შესაძლებლობები შეუქმნა ქალებს და, როგორც თვითონ უილერი ამბობდა, ეს მოძრაობა ახალ რეალობაში გადასვლას ჰგავდა და ჯერ კიდევ არსებული შეზღუდვების მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ მოძრაობამ ახალი შესაძლებლობებისაკენ მიმავალი კარი გაუხსნა ქალებს. თუმცა ეს კარი მხოლოდ შეღებული იყო, მაგრამ ეს მაინც უკვე გასასვლელი იყო. [Wheeler, 1918: 215.]

საქართველოში, დაახლოებით, იმავე პერიოდში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ქალები აქტიურად გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე, რაც იმდროინდელი საზოგადოებრივი საჭიროებებით აიხსნება. ეროვნული ჩაგვრისა და მძიმე პოლიტიკური სიტუაციის პირობებში ქვეყანაში ერთსულოვნება და ერთიანი ფრონტით ბრძოლა ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. აკაკი წერეთელი საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა, როდესაც“დროებაში“ წერდა:

„ ადრევე მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ დედათა სქესი ისე მაღალ წერტილზე გევრგან არ მდგარა, როგორც ჩვენში. მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არა მწამს საზოგადოების გამოფხიზლება მაშინ, როდესაც ქალებს სძინავთ“ [ჩიხლაძე, 1876:5].

ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932), ადრეული ბავშვობიდან ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და პოეტების თავყრილობის მოწმე იყო. ამ გარემოებამ, მამის, მიხეილ თუმანიშვილის (აგრეთვე ცნობილი მოღვაწის), მდიდარმა ბიბლიოთეკამ და სწავლისადმი სწრაფვამ ანასტასიას ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ანასტასიას აინტერესებდა უცხო ენები (გერმანული, ფრანგული), მუსიკა და იმ დროის მოწინავე პედაგოგიური იდეები. 1876 წელს იგი შვეიცარიაში გაემგზავრა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის საკითხების შესასწავლად. ოთხი თვის შემდეგ სამშობლოში შემართებით და იდეებით აღსავსე დაბრუნდა. ამერიკელი მოღვაწეების მსგავსად ქართველებსაც სრულად გაცნობიერებული ჰქონდათ იმის საჭიროება, რასაც აკეთებდნენ. ეს მათი პირადი წერილებითა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერებით დასტურდება. ანასტასია წერეთლის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ:

"ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების მიზანი: მუშაობა, განუწყვეტლივ მუშაობა ჩემი ხალხისთვის" [ღვინიაშვილი,1959:7].

ანასტასია თუმანიშვილი თანამშრომლობდა კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან, იქნებოდა ეს ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალთა სკოლის ორგანიზაცია თუ ლიტერატურული საქმიანობა.

1872 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა ქალთა წრე, რომლის წევრები კეკე მესხი, ელენე ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ და საერთო სათაურით *"თარგმანნი საამურთა საკითხავთა თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისაგან"* გამოსცემდნენ თავიანთ თარგმანებს. მოთხრობები და სტატიები საგანგებოდ ირჩეოდა და შემეცნებით-პატრიოტული ხასიათისა იყო. უცხოური ლიტერატურის ნიმუშების ფართო მასებისთვის გაცნობა საქართველოს გზას უკვალავდა ერთიანი კულტურული სივრცისკენ. ეს ღირშესანიშნავი მცდელობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. „დროების" რედაქტორი, სერგეი მესხი, ამის შესახებ წერდა:

„ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლინებაა. ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველი ქალებისაგან. როგორი სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობდნენ, ჰკიდებდნენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც უეჭველია საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ექნეს. როგორ არ უნდა გვიხაროდეს ჩვენ, როდესაც ჩვენში ჩნდებიან ისეთი ქალები, რომელნიც მარტო მეჯლისებში და ლოტოს თამაშში არ ეძებენ დროის გატარების საშუალებას და სიამოვნებას" [ჩიხლაძე 1976:131].

1884 წელს ანასტასიას ინიციატივით ჩამოყალიბდა მასწავლებელთა და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელიც დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. მათი თაოსნობით ეწყობოდა სახალხო ლექციები, საკვირაო სკოლები, საქველმოქმედო საღამოები და ასევე გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა.

ამავე პერიოდში ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით სოფელ ხელთუბანში იხსნება სკოლა და მასთან არსებული ობოლთა თავშესაფარი.

ამ წამოწყებათა დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ანასტასია თუმანიშვილის საქმიანობის გვირგვინად ითვლება საბავშვო ჟურნალ "ჯეჯილის" დაარსება. ამ გზაზე ბევრი სირთულე იქნა გადასალახავი ცენზურის, უსახსრობისა და ჟურნალის დახურვის მუდმივი საფრთხის სახით და, ამის მიუხედავად, 1890 წელს დაწყებულ სარედაქციო საქმიანობას ის 30 წლის განმავლობაში წარმატებით ეწეოდა. საზოგადოებრივი მოთხოვნა და ინტერესი ამ მოვლენის მიმართ დიდი იყო, რისი დასტურიც 1890 წლის 31 დეკემბერს გაზეთ "ივერიაში" ილია ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული შეფასებაა:

"სასიამოვნო ამბავი უნდა ვახარო ჩვენს მკითხველს: დღეს დაურიგდათ ხელ-მომწერთ პირველი ნომერი საყმაწვილი ჟურნალის "ჯეჯილისა", რომელიც ამის შემდგომ ყოველ ორ თვეში გამოვა ქნ. ან. თუმანიშვილი რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის. არც გული და ჭკუა არის დავიწყებული. ერთისა და მეორესათვისაც სამკალია საკმაო შიგ. "ჯეჯილი"-ს რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდი თაობისთვის . . . დიდი სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა, და უნდა ვთქვათ, გულით და სულით ვისიამოვნეთ". [ღვინიაშვილი, 1959:10]

მოზარდების ლიტერატურით დაინტერესება, სხვა ხალხების კულტურის და წეს-ჩვეულებების გაცნობა, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, ახალგაზრდა მწერლების და პოეტების, მათ შორის ქალი-მწერლების, წახალისება - ეს იმ ღირსებათა არასრული სიაა, რომლებიც "ჯეჯილს" ჰქონდა.

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი (1854-1928) ფუფუნებაში აღიზარდა, ფართო განათლება მიიღო და გამორჩეულ გარემოში ტრიალებდა ჯერ მშობლების, შემდეგ ქმრის, სერგეი მესხის, ოჯახში. ოჯახის ხელშეწყობით მან 19 წლის ასაკში შვეიცარიაში დაამთავრა გიმნაზია და შემდეგ მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. იმ დროის ქართულ საზოგადოებას ქალის განათლების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა და, უფრო მეტიც, ამ პროცესის წახალისებასაც ცდილობდა. ეკატერინეს საქმრო, სერგეი მესხი, სიხარულით შეხვდა თავისი საცოლის შვეიცარიაში გამგზავრებას და აი, რას წერდა მას:

"ოთხი წელიწადი მოითმინე, მოიგონე ის ნეტარი დრო და იფიქრე იმ მომავალ დროზე, როდესაც შენ აქ კურს დასრულებული და მომზადებული ჩვენში სამუშაოდ ჩამოხვლ და ჩვენ ერთად შევუდგებით ჩვენს სამშობლოში იმ საქმეებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მიზნად და მანუგეშებლად უნდა მიგვაჩნდეს." [ღვინიაშვილი, 1959:144]

ციურიხში გატარებული წლები ნაყოფიერი იყო კეკესთვის. იგი დაეუფლა გერმანულ და ფრანგულ ენებს, გაეცნო იმ დროის მოწინავე იდეებს, აქტიურად ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და პარალელურად დიდი მონდომებით სწავლობდა მედიცინას.

კეკე მთარგმნელობით საქმიანობას უცხოეთში გამგზავრებამდეც ეწეოდა და სამშობლოში დაბრუნებისას კვლავ გააგრძელა იგი. მან, ანასტასია წერეთლის მიერ შექმნილ წრეში გაერთიანებულმა, სხვა მრავალ ნაწარმოებთან ერთად თარგმნა *"მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები"*, რაც ერთობ საყურადღებოა. მის მიერ შერჩეული სათარგმნი ნაწარმოებები სოციალური სიმძაფრითა და აქტუალობით გამოირჩეოდა. დიდია, ასევე, მისი როლი საბავშვო ლიტერატურის მაღალხარისხიანი თარგმანებით გამდიდრებაში.

ეკატერინე გაბაშვილი (1851 -1938) ქენდის უილერის მსგავსად წინააღმდეგობრივი სოციალური გარემოდან მოხვდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ადრე დაობლებული გოგონა ბებიამ გაზარდა, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ქალთა ფართო განათლებას და უნდოდა ეკატერინესთვის მხოლოდ წერა–კითხვა და დიასახლისობა ესწავლებინა. მამის დაჟინებული მოთხოვნით, მან ცნობილ პანსიონში მიიღო საშუალო განათლება, მაგრამ უსახსრობისა და საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო შესაძლებლობის უქონლობის გამო უმაღლესი განათლება ვერ მიიღო. ამის მიუხედავად, ეკატერინე თვითგანათლებას ეწეოდა. გაეცნო რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, სოციოლოგიას. 17 წლისამ მასწავლებლობა დაიწყო – ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა–კითხვას. 1895 წელს თბილისში თავის სახლში მოაწყო ქალთა ხელსაქმის (ჭრა–კერვის) ხუთწლიანი სკოლა,

რომელსაც 15 წელი ხელმძღვანელობდა. სკოლა საქველმოქმედო შეწირულობით არსებობდა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც სთავაზობდა მსმენელებს.

ეკატერინე გაბაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი და რთული ლიტერატურული ჟანრის - ნოველის - დამკვიდრება ქართულ მწერლობაში.

ეკატერინე გაბაშვილს 11 შვილი ჰყავდა, რომელთა აღზრდას ის შესანიშნავად ართმევდა თავს. ქმრის ოჯახში ალმაცერად უყურებდნენ ქალის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დასაძრახად და სამარცხვინოდ მიაჩნდათ ქალის მწერლობა, მაგრამ ეკატერინე ვერ ურიგდებოდა ოჯახურ ტყვეობას და, მიუხედავად ამდენი სიძნელისა, ახალბედა მწერალს არც კი უფიქრია თავისი საქმიანობის მიტოვება.

„მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გაუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას“, წერდა იგი. [http://www.pencenter.ge: 20.03.2013]

სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ეკატერინე გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ბიბლიოთეკების დაარსება-შევსების საქმეშიც. თაანამოაზრეებთან ერთად მან შეაგროვა საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა და მოკლე ხანში მოახერხა პირველი სამკითხველოს გახსნა, მოგვიანებით კი ბიბლიოთეკები დააარსეს ქალაქის სხვა უბნებშიც, მაგრამ ამ წამოწყებას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერ გადაიხადა ბინის ქირა და ამდენი წვალებით შეგროვილი წიგნები სახლის პატრონმა ქუჩაში გამოყარა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენა მის ცხოვრებაში.

1890-იან წლებში ქალთა ვიწრო წრეში წამოიჭრა პირველი ქართული ქალთა სკოლის დაარსების საკითხი, რომელიც ე. გაბაშვილის სახლში სკოლის გახსნით დაგვირგვინდა.

მე-19 საუკუნის ამერიკელი და ქართველი ქალბატონების საქველმოქმედო მოღვაწეობის, ერთი შეხედვით, ნაკლებად შესამჩნევი შეხების წერტილი, უპირველესად, ალბათ, ევროპული ტრადიციებისა და ფასეულობებისკენ სწრაფვა და ევროპული გამოცდილების ათვისების სურვილი იყო.

გარდა ამისა, როგორც ამერიკაში, ისე საქართველოში, ქველმოქმედი მანდილოსნებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ქალებისთვის სამუშაო ადგილების მოძიება და, შესაბამისად, საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების სტატუსის დამკვიდრება. მათი ძალისხმევა ემსახურებოდა იმ დროისთვის მათ სამშობლოში არსებული მძაფრი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას: ამერიკაში ეს იყო სამოქალაქო ომის მონაწილეთა ქვრივთა და საშუალო კლასის ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გემოვნების დახვეწა, განათლების შესაძლებლობების გაფართოება და სხვა. საქართველოს მოთხოვნილებები კი მეტწილად ეროვნულ ინტერესებთან იყო მჭიდრო კავშირში და აქედან გამომდინარე, ხსენებულ მოღვაწეთა ძალისხმევა უპირატესად წერა-კითხვის გავრცელებაზე, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აღდგენასა და ფართო მასების განათლებაზე იყო ორიენტირებული.

ამერიკაშიც და საქართველოშიც ქველმოქმედების განვითარების ამ საერთო ხაზის გვერდით არსებობს პრინციპული განსხვავებებიც, რომელთაგან გამოვყოფდი ორ ძირითადს. საქართველოში, ამერიკისგან განსხვავებით, ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის ინსტიტუციონალიზაცია. ჩვენში ეს პროცესი თანამოაზრეთა ერთობისა და ქალთა წრეების

ფარგლებს ვერ გასცდა. ამერიკაში ამ მიმართულების მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ მონტ ვერნონის ქალთა ასოციაცია (the Mont Vernon Ladies' Association), რომელიც თავისი მასშტაბურობითა და სახელმწიფოებრივი ხედვით გამოირჩეოდა. 1853 წელს შექმნილ ამ ორგანიზაციაში ოცდაათივე შტატის წარმომადგენელი ქალბატონი იყო წარმოდგენილი და მათ მიზანს ჯორჯ ვაშინგტონის სახლისა და იდეების შენარჩუნება წარმოადგენდა. ყურადსაღებია, რომ ეს ორგანიზაცია დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს.

მეორე განსხვავება ისაა, რომ ამერიკაში ქველმოქმედებით დაწყებული მოძრაობის ერთ-ერთი განშტოება დეკორატიული ხელოვნების განვითარების გზით წავიდა და არა მხოლოდ ქალთა კარიერული შესაძლებლობების გაზრდას, არამედ კულტურის სფეროში მათი გავლენის გაფართოებას ემსახურებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ნიუ იორკში ოთხი უმნიშვნელოვანესი მუზეუმი[5] ქალების დაარსებული იყო და ეს სამუზეუმო ბუმი სხვა დიდ ქალაქებსა და მთელ ამერიკას მოედო.

საქართველოში ქალთა ქველმოქმედების განვითარების პროცესი, რომელიც ზოგადი დასავლური ტენდენციების კონტექსტში ვითარდებოდა, გასაბჭოებასთან ერთად შეწყდა. ამასთანავე ღრმა ტრადიციების არსებობა იმედს გვიტოვებს, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური ნორმალიზაცია მეტ სტიმულს მისცემს ქართველი ქალის ბუნებაში არსებულ მოთხოვნილებას, დახმარების ხელი გაუწოდოს თანამოქალაქეს, იბრძოლოს თვითრეალიზაციისათვის და მოახდინოს საკუთარი გარემოს ესთეტიზაცია.

---

[1] ნაწარმოები აღწერს სამხრეთის და ჩრდილოეთის ცხოვრების წესს და მიმოიხილავს მონობის საკითხებს.

[2] ბანკერ ჰილის მემორიალი (Bunker Hill Monument) 1827-1834 წლებში აღიმართა მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ ჩარლზთაუნში. ის 1775 წელს ბრიტანეთის არმიასა და კოლონიალურ ჯარებს შორის გამართულ ბრძოლას ეძღვნება.

[3] Sanitary Commission - 1861 წელს შექმნილი კერძო ორგანიზაცია, რომელიც სამოქალაქო ომის დროს დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს თანადგომას უცხადებდა და დახმარებას უწევდა. ეს ორგანიზაცია ჩრდილოეთში ფუნქციონირებდა, თანხებს თავად მოიპოვებდა და მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული.

[4] South Kensington Museum - დღეს ვიქტორია და ალბერტის მუზეუმის (Victoria and Albert Museum V&A) სახელით ცნობილი მუზეუმი 1852 წელს დაარსდა და დეკორატიული ხელოვნებისა და დიზაინის უდიდეს კოლექციას წარმოადგენს.

[5] ქუფერ-ჰიუიტის დიზაინის ეროვნული მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ამერიკული ხელოვნების უითნის მუზეუმი და გუგენჰაიმის მუზეუმი

ლიტერატურა

1. ღვინიაშვილი ა. ქართული საბავშვო ლიტერატურეს მოამაგენი. - თბილისი, 1959
2. ჩიხლაძე ნ. ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები. - თბილისი, 1976
3. McCarthy K. Women's Culture: American Philanthropy and Art 1830-1930, The University of Chicago Press, 1991
4. Wheeler C. Yesterdays in a Busy Life. - New York: Harper and Bros, 1918
5. Web-site http://www.pencenter.ge, 2013

ნანა გაფრინდაშვილი

სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით

საბჭოთა კავშირში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩამოყალიბება სრულიად ლოგიკური იყო, რადგან საბჭოთა მთავრობას სჭირდებოდა მხოლოდ ბედნიერ და უზრუნველ მომავალზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელშიც რეალობის ანალიზს წარმატებით ჩაანაცვლებდა კომუნიზმისა და პარტიის რწმენა, რომელშიც არ იქნებოდა ავანგარდიზმის ადგილი, ხოლო რეალისტური ხელოვნება დაემორჩილებოდა სოცრეალისტურ კანონს.

სოცრეალიზმი იყო მეთოდი, რომელიც აბსოლუტურად ჰარმონიულად უპასუხებდა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს და გაატარებდა საბოჭთა პოლიტიკას კულტურის სფეროში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საბჭოთა კულტურაში სოციალისტური რეალიზმის კლასიკური ხანა, გრძელდებოდა 50-იანი წლების შუა წლებამდე, თუმცა, ზოგადად სოციალისტური რეალიზმი 90-იან წლებამდე გაგრძელდა.

მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ თუნდაც 30-50-იანი წლები მთლიანად სოციალისტური რეალიზმის ეპოქაა. ამ პერიოდში იქმნებოდა როგორც ავანგარდული, ასევე რეალისტური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: გ. ტაბიძის, კ. ნადირაძის, კ. გამსახურდიას, ტერენტი გრანელის, ნიკო ლორთქიფანიძის, ბულგაკოვის, პასტერნაკის, ახმატოვასა და სხვათა ნაწარმოებები. მთელი 70 წლის განმავლობაში კულტურის ორგანული იმანენტური განვითარება გრძელდებოდა, მაგრამ ეს იყო ერთგვარი ფარული განვითარება. კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე იდგა სოციალისტური რეალიზმი. სწორედ ის განსაზღვრავდა მაშინდელი კულტურის ხასიათსა და სტრუქტურას და, რაც მთავარია, ახდენდა საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობის ესთეტიკური ცნობიერების დეფორმაციას. სწორედ ამ პერიოდში ჩატარდა უპრეცედენტო აქციები იმ ხელოვანთა წინააღმდეგ, რომელთა ნაწარმოებებიც არ შეესაბამებოდა სოციალისტური რეალიზმის კანონს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა კულტურის ისტორიის ისეთი კონცეფციები, რომელთა დაძლევა ზოგჯერ დღემდე ვერ ხერხდება და რომლებშიც განსაკუთრებით არის დამახინჯებული XIX-XX საუკუნეების კულტურა. სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა დასავლური კულტურის შესახებ საბჭოთა სტერეოტიპები და უამრავი მწერალი აიკრძალა. საშინელი "ფერისცვალება" განიცადა მრავალმა ჭეშმარიტმა ხელოვანმა. საკმარისია, შევადაროთ ზოგიერთი მწერლის 20_30-იანი წლების ნაწარმოებები მათ მიერ მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებს, რომ დავრწმუნდეთ, როგორ ხდებოდა ხელოვანთა გადაბირება, "მწერლობის მოთვინიერება" ადმინისტრაციული სისტემის მიერ.

1930 წლის 18 ოქტომბერს გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა ქართველ პროლეტარ მწერალთა ასოციაციის ღია წერილს დამკვრელი მუშების გაწვევაზე ლიტერატურაში. მუშათა გაწვევა მწერლობაში საბჭოთა იდეოლოგიის მეტად სპეციფიკური "მიგნება" იყო, რომელზეც იგი დიდ იმედს ამყარებდა. ამასთან დაკავშირებით ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია კრიტიკოს ვალერიან ლუარსამიძის მოსაზრება: "პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ლოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა _ ამოცანათა ამოცანაა, ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში" [ლუარსამიძე, 1931: 123]. მწერალთა რიგების

“გამუშურებით” ბოლშევიკები ებრძოდნენ “უპარტიო მწერლებს”. ამ უკანასკნელს აკაკი ბაქრაძე ასე განმარტავს: “დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე “უპარტიო მწერალი” ნიშნავს ნამდვილ მწერალს. დასკვნა მკაფიოა: მწერალთა რიგებში მუშების გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოხატული მრწამსი. მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია” [ბაქრაძე, 1990: 43].

1950-იანი წლების მეორე ნახევარი წარმოადგენს ახალ ეპოქას XX საუკუნის საბჭოთა კულტურაში. ხელოვნების ორგანული განვითარება ფარული განვითარების სტადიიდან გადავიდა აშკარა განვითარების სტადიაში და გარკვეულწილად შესაძლებელი გახდა როგორც ავანგარდული, ასევე რეალისტური ხელოვნების ფუნქციონირება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტ კულტურულ ფასეულობებთან დაბრუნების პროცესს ჰქონდა მეტისმეტად დამუხრუჭებული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. პარტიული აპარატი ხან ადუნებდა ყურადღებას, ხან კიდევ მთელი ძალით აგრძელებდა ზეწოლას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა ხასიათდება სამი ტიპის ხელოვნების თანაარსებობით: ავანგარდიზმი, რეალიზმი და, ბუნებრივია, სოციალისტური რეალიზმი. 50-80-იან წლებში სოციალისტური რეალიზმი უკვე აღარ იყო ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა, შეენარჩუნებინა ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული პოზიციები და არ დაეთმო თავისი პრინციპები.

სოცრეალიზმის თავისებურებები არსებითად განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ, ბოლშევიკური პოლიტიკის უმკაცრესი მოთხოვნის შესაბამისად, ხელოვნება მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა იდეოლოგიას. ხელოვნებას კი არ უნდა წარემართა ერის სულიერი ცხოვრება, არამედ პარტიის პოლიტიკას უნდა დაედგინა და განესაზღვრა ხელოვნების ქმნილებების ფორმა და შინაარსი. ბოლშევიკების იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის გატარება ხელოვნებაში ნიშნავდა იმას, რომ ხელოვნება ქცეულიყო მხატვრული ფორმებით “მოაზროვნე” იდეოლოგიად, რაც რიგ შემთხვევაში ასეც მოხდა. ეს პოზიცია არაერთხელ გაუმჟღავნებიათ მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად, პოეტი ამაყად აცხადებს:

“მოსაპოვებელს

მოვიპოვებდეთ,

რეკავს,

გუგუნებს ჟამი წინსვლისა. . .

გვიხმობს პოეტებს,

გვიხმობს პოეტებს

ხარაჩოები კომუნიზმისა” [ნონეშვილი 1982:181].

პარტიული ხელმძღვანელობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ხელოვნება გადაექციათ "პარტიული საქმის" ორგანიზაციულ ნაწილად, მშრომელი მასების იდეოლოგიური და პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის საშუალებად.

მიუხედავად ყველაფრისა, სოციალისტური რეალიზმი (განსაკუთრებით თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე) უპასუხებდა ხალხის გარკვეული ფენების ინტერესს. ის უპასუხებდა მასების იმ ნაწილის განწყობილებას, რომელმაც "ნათელი მომავლის" სახელით გაიმარჯვა რევოლუციის დროს და რომლისთვისაც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები გაიგივებული იყო კლასობრივ ფასეულობებთან. რევოლუციამ გამოიმუშავა ენთუზიასტების იდეოლოგია, რომლებიც გულანთებულნი ანგრევდნენ ძველ საზოგადოებას და ასევე გულანთებულნი იბრძოდნენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამ თვალსაზრისით მრავალრიცხოვანი პარტიული დეკლარაციები შეესატყვისებოდა რევოლუციური მასების მსოფლმხედველობას. პარტიული დეკლარაციები, ერთი მხრივ, ეყრდნობოდა ამ ტიპის მსოფმხედველობას და, მეორე მხრივ, ახორციელებდა კულტურის იდეოლოგიზებას, ამკვიდრებდა კულტურაში იდეოლოგიური კანონის სისტემას. მარქსისტული მსოფლმხედველობა კლასობრივსა და პარტიულს აცხადებდა ხელოვნების ჭეშმარიტების კრიტერიუმად. შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგია განსაკუთრებით მისი ისტორიის გარიჟრაჟზე იყო გამძვინვარებული მასების იდეოლოგია.

ადმინისტრაციული სისტემის მიერ შექმნილი სოციალისტური რეალიზმის სადარაჯოზე ათწლეულების განმავლობაში იდგნენ რეპრესიული ორგანოები, ისინი ზუსტად ისევე იცავდნენ სოციალისტურ რეალიზმს, როგორც ადმინისტრაციულ სისტემას. ეს თავისთავად არაბუნებრივი სიტუაცია საბჭოთა ოფიციოზისათვის სრულიად ბუნებრივი იყო.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ორიგინალური მწერლობის გარდა, საბჭოთა ლიტერატურის სპეციფიკას ნათარგმნი ლიტერატურაც ქმნიდა. საბჭოთა პერიოდის თარგმანებისა და ლიტერატურული ურთიერთობების მიმართ მკვლევართა დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, იმეორებს სალიტერატურო პროცესების მიმართ არსებული დამოკიდებულების მოდელს, რომელშიც რადიკალური მიდგომაც გვხვდება _ სრული აღფრთოვანება და წრეგადასული აპოლოგეტურობა საბჭოთა პერიოდში და სრული უარყოფა და ნიჰილიზმი პოსტსაბჭოთა პერიოდში [Нелюбин... 2008: 316] _ და ობიექტურიც. ტოტალიტარული კულტურა თავისი არსით მონოლოგურია, რაც თავისთავად აბრკოლებს და ზღუდავს მის ღიაობას. თუმცა, ლიტერატურის განვითარება კულტურათა დიალოგის გარეშე წარმოუდგენელია მაშინაც კი, როცა ლიტერატურა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს.

საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს და მათ შორის ქართველებსაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ლიტერატურული კონტაქტები და მთარგმნელობითი ტრადიციები ჰქონდათ. ამ ტრადიციების გაჩენას თავისი კულტურულ-ისტორიული მიზეზები განაპირობებდა. კ. კეკელიძე წერდა: "ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა; ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა და შეგნება, ერთი სიტყვით, ითარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა, მოთხოვნილება კი მაშინ წამოიჭრება, როდესაც მთარგმნელ ქვეყანაში თავს იჩენს იმგვარივე განწყობილებანი, რომელნიც გაფორმებულნი არიან გადმოსაღებ თხზულებაში" [კეკელიძე 1956: 185]. კორნელი კეკელიძის ეს მსჯელობა, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ამ მოდელის პირდაპირ გადმოტანა საბჭოთა საქართველოს

სინამდვილეში ძნელია. ნებისმიერ ტოტალიტარულ-ავტორიტარულ სახელმწიფოში და, მათ შორის, საბჭოთა კავშირშიც, თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები ხელისუფლების მიერ კონტროლდებოდა; თუ ისინი ცენზურის მიერ იდეოლოგიურად კეთილსაიმედოდ არ იქნებოდა მიჩნეული, აუცილებლად დაიბლოკებოდა.

ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის მხატვრულ-ესთეტიკური ფასეულობების ფორმირებაში, ახალი ესთეტიკური იდეების გავრცელებაში, კულტურისა და ლიტერატურის გამდიდრებაში. Aამ თვალსაზრისით ნებისმიერი ბინარული ლიტერატურული ურთიერთობები პოზიტიური ფაქტორია, იმის მიუხედავად, მონათესავე კულტურებს Dშორის დამყარდება იგი თუ გეოგრაფიულად და კულტურულად დაშორებულ ერებს შორის. საბჭოთა იდეოლოგებიც აცნობიერებდნენ, რომ ლიტერატურული ურთიერთობები და მთარგმნელობითი საქმიანობა ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ცდილობდნენ, სალიტერატურო ცხოვრების ეს აუცილებელი ატრიბუტები თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ და თავიანთ სამსახურში ჩაეყენებინათ.

საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის ფორმირების პოლიტიკა დიდად განსაზღვრა მაქსიმ გორკის საქმიანობამ. მისი გეგმის მიხედვით, საბჭოთა მკითხველს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ძეგლებს. ამ გეგმის ლოგიკური გაგრძელება იყო 1919 წელს გამომცემლობა “ვსემირნაია ლიტერატურას” შექმნა, რომლის ჩამოყალიბებას ლენინმაც დაუჭირა მხარი დასაწყისში ამ გამომცემლობაში სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენელთა მეტად მრავალფეროვანი თხზულებები იბეჭდებოდა, მოგვიანებით კულტურაზე იდეოლოგიური ზეწოლის გამძაფრების კვალდაკვალ მწერალთა შერჩევის მექანიზმი “დაიხვეწა” და ცენზურა ამ საკითხს უფრო ფხიზლად და ყურადღებით ეკიდებოდა.

პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა “ნეპის” დროს. ამ პერიოდში მრავალი კერძო გამომცემლობა მუშაობდა. ისინი ორიგინალურის გვერდით ნათარგმნ ნაწარმოებებსაც ბეჭდავდნენ. მათი ლიკვიდაციის შემდეგ ნათარგმნი ლიტერატურის გამოქვეყნებაც მთლიანად სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა. რაც შეეხება თარგმანების ხარისხს, საბჭოთა პერიოდში მრავალი ღირსეული და უმაღლესი კვალიფიკაციის მთარგმნელი მოღვაწეობდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მწერლები და პოეტები, რომელთა ორიგინალურ ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ ავტორების პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო. ამიტომ ეს ავტორები ძირითადად მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მრავალი შემთხვევითი ადამიანი მუშაობდა, რომლებიც მთარგმნელისადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდნენ: სიღრმისეულად არ ფლობდნენ ენებს, არ ჰქონდათ საჭირო ფონური ცოდნა და სხვ. თარგმანებში იპარებოდა უამრავი ენობრივი შეცდომა, საბჭოთა ეპოქის ადრეულ პერიოდში არ არსებობდნენ კვალიფიციური რედაქტორები, რომლებიც იზრუნებდნენ ტექსტის რედაქტირებაზე და ა. შ. [Нелюбин... 2008: 316-321].

საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის თვალსაზრისით ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტისაგან შედგებოდა: ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგარეო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა და საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა.

საგარეო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას დიდად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი. რაც უფრო ძლიერდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და “სიმწიფის ხანაში” შედიოდა სოციალიზმი, მით

უფრო ვიწროვდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისაღები და კეთილსაიმედო უცხოელი მწერლების რაოდენობა. კეთილსაიმედო მწერლებს კომუნისტები "პროგრესულ მწერლებს" უწოდებდნენ, თარგმნიდნენ, დაუბრკოლებლად ბეჭდავდნენ მილიონობით ტირაჟით და ყველანაირად ეწეოდნენ მათს რეკლამირებას. სოცრეალისტური კანონი ცნობდა და აღიარებდა მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას. ამიტომ არარეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის საბჭოთა წარმომადგენლებიც იდევნებოდნენ და არარეალისტური უცხოური ლიტერატურის ძეგლების თარგმნაც აკრძალული იყო. განსაკუთრებით დაზარალდნენ XX საუკუნის უცხოელი მწერლები. შესაბამისად, დაზარალდა საბჭოთა მკითხველი და ლიტერატურაც, რადგან იდეოლოგიური არაკეთილსაიმედოობის გამო ბევრმა შესანიშნავმა მწერალმა ვერ მოახერხა "რკინის ფარდის გარღვევა". ასე დარჩა დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ლიტერატურა ჯოისის, კაფკას, ნაბოკოვის, რობაქიძის, მარგველაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანების გარეშე. შედარებით უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდნენ ძველი ეპოქის გენიალური მწერლები: ჰომეროსი, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე და სხვ. მათი ნაწარმოებები არ იყო აკრძალული, თუმცა, ზოგჯერ სოცრეალიზმის ესთეტიკიდან გამომდინარე მათი შემოქმედების დამახინჯებული, დეფორმირებული ინტერპრეტირება ხდებოდა, რაც ხშირად კურიოზულ ვითარებასაც ქმნიდა.

საშინაო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას მთლიანად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის საშინაო პოლიტიკის კურსი. საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ეროვნული სახელმწიფოს მექანიკური, ძალადობრივი გაერთიანების შედეგად მიღებული იმპერია იყო, რომლის იდეოლოგები ცდილობდნენ, ეროვნულ კულტურათა შერწყმის ნიადაგზე მიეღოთ ახალი კულტურული ფენომენი, საბჭოთა კულტურა. აქედან გამომდინარე, ისინი მეტად დაინტერესებულნი იყვნენ, ვიდრე საბოლოო მიზანს (კულტურათა შერწყმას) მიაღწევდნენ, ჯერ გაეცნოთ და დაეახლოვებინათ ცალკეული ეროვნული კულტურები და ლიტერატურები ერთმანეთისათვის. ამიტომ მათ საგანგებოდ უნდა ეზრუნათ, გაეღრმავებინათ საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა; ეჩვენებინათ "ხალხთა მეგობრობის" ლიტერატურულ-კულტურული ასპექტები და ის პოტენციალი, რომელიც ჰქონდა საბჭოთა წყობილებას ეროვნული კულტურების განვითარების თვალსაზრისით.

XX საუკუნის 30-იან წლებში მაქსიმ გორკის ინიციატივით მოეწყო მწერალთა ბრიგადების გაცვლა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. მაგალითად, 1935 წელს საქართველოს ესტუმრა ბელორუს მწერალთა დელეგაცია (მ. ხვედორივიჩის, ბ. მიკულიჩის, ვ. სამუილიონოკისA და სხვ. შემადგენლობით), ბ. ბუაჩიძე, რ. გვეტაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი კი ბელორუსიაში გაემგზავრნენ და იქ გაეცნენ ბელორუსულ ლიტერატურასა და ცხოვრებას. თბილისში ჩამოვიდნენ უკრაინელი მწერლები: ა. კორნეიჩუკი და ი. სენჩენკო. ამ ტიპის ღონისძიებები ხშირად ტარდებოდა. სხვადასხვა დროს საქართველოს ეწვია აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ესტონეთის, ლიტვის მწერალთა დელეგაციები. მწერლები ეცნობოდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურასა და მხატვრულ-შემოქმედებით მიღწევებს, მათს ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ისტორიას, კულტურას და შემდეგ თავიანთ ნაწარმოებებში მხატვრულად ასახავდნენ ნანახსა და განცდილს; თარგმნიდნენ მათი ლიტერატურის ნიმუშებს.

საბჭოთა რესპუბლიკების კულტურისა და ლიტერატურის გაცნობისა და მათ მიმართ ინტერესის გაღრმავების საკმაოდ ეფექტური საშუალება იყო ეროვნული ლიტერატურის დღეები და დეკადები, მწერალთა იუბილეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1937 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადა. ამავე წელს მთელი საბჭოთა

კავშირის მასშტაბით ჩატარდა შოთა რუსთაველის პოემის, “ვეფხისტყაოსნის,” 750 წლის იუბილე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუთაველის შემოქმედების პროპაგანდისათვის როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ასევე მსოფლიო მასშტაბით. თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში გამოქვეყნდა პოემის სრული ან არასრული თარგმანები, “ვეფხისტყაოსნისა” და მისი პოემისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები და ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები.

საქართველოში ყალიბდება პროფესიონალ მთარგმნელთა საინტერესო ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს გამომცემლობებთან (“საბჭოთა საქართველო”, “მერანი”, “ნაკადული”), ჟურნალებთან (“საუნჯე,” “დილა”, “ლიტერატურნაია გრუზია”, “მნათობი”, “ცისკარი”), გაზეთებთან (“ლიტერატურული საქართველო”), საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან.

“პერესტროიკის” ეპოქამ ახალი შესაძლებლობები გადაშალა ქართველი მთარგმნელებისა და მკითხველის წინაშე. ქართულ სალიტერატურო სივრცეს ბევრი ჭეშმარიტად მაღალმხატვრული, მანამდე ტაბუდადებული სახელი და ნაწარმოები დაუბრუნდა. ითარგმნა და დაიბეჭდა მრავალი აკრძალული ძეგლი. ამავე დროს სამწუხარო ტენდენციაც გამოვლინდა: გამოჩნდა საეჭვო ღირებულების მქონე ნაწარმოებებიც და მათი უნიჭო თარგმანები. ეს მდარე ლიტერატურული პროდუქცია არავითარ მხატვრულ-ესთეტიკურ ფასეულობას არ წარმოადგენს.

ასე რომ, საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები არსებობდა, რომლებიც მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო; ხშირად ხდებოდა საეჭვო მხატვრული ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდა და ჭეშმარიტი ფასეულობების მიჩქმალვა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად საბჭოთა მწერლები და მთარგმნელები ახერხებდნენ ცენზურის მარწუხების გარღვევას და ჭეშმარიტი იდეურ-ესთეტიკური ფასეულობების გატანასა და ქადაგებას.

მწერლებისა და მათი ცალკეული ნაწარმოებების ბედი დიდად იყო დამოკიდებული ოფიციალურ კრიტიკაზე, პარტიული მუშაკების დამოკიდებულებასა და შეხედულებებზე. თუ რომელიმე პარტიული მუშაკი ან კომუნისტების ნდობით აღჭურვილი კრიტიკოსი ან ლიტერატურათმცოდნე ხელოვნების ქმნილებას შეაფასებდა ხალხისათვის გაუგებარ ნაწარმოებად, ამას შეიძლებოდა, განაჩენის მსგავსი ტრაგიკული როლი შეესრულებინა მწერლისა და მისი თხზულების ბედის განსაზღვრაში. როგორც წესი, ასეთ შეფასებას აძლევდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ან ვერ თავსდებოდნენ სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკურ კანონში. ასეთი ნაწარმოები აღარ დაიბეჭდებოდა, ხოლო, თუ უკვე დაბეჭდილი იყო, “დააპატიმრებდნენ”. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ბიბლიოთეკებისა და წიგნის მაღაზიების თაროების ნაცვლად ადგილს სპეცსაცავებში მიუჩენდნენ, რომლებიც, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, წიგნებისათვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც გულაგი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებისათვის. მწერალიც ნაწარმოების ბედს გაიზიარებდა. მის პიროვნულ ბიოგრაფიაშიც გაჩნდებოდა ათასგვარი პრობლემა: რეპრესიები, დისკრედიტირება, აკრძალვა, გულაგი ან მისი მსგავსი სხვა დაწესებულება. მწერალს შეიძლებოდა, საკუთარი სიცოცხლითაც კი ეგო პასუხი თავისი განხვავებული პოზიციის გამო.[1] მათგან განსხვავებით ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ გუშინდელი პროლეტარებისა და გლეხების, რევოლუციონერების, არმიის პოლიტმუშაკების ხელოვნებას, რომელთა ნაწარმოებების არასრულყოფილი, დაუხვეწავი ფორმა კომპენსირდებოდა ამ ნაწარმოებების “იდეოლოგიური სრულყოფილებით”. რკპ(ბ) XIII ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: “მხატვრული ლიტერატურის სფეროში პარტიის ძირითადი მუშაობა ორიენტირებული უნდა

იყოს გლეხებისა და მუშების შემოქმედებაზე, რომლებიც გახდებიან მუშა და გლეხი მწერლები. მუშა კორესპონდენტები და სოფლის კორესპონდენტები უნდა განვიხილოთ, როგორც რეზერვი, საიდანაც მივიღებთ ახალ მუშა და გლეხ მწერლებს" [О литературе... 1960: 139].

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ურთიერთობები აუცილებლად საჭიროებს თავიდან შესწავლა-გაანალიზებასა და შეფასებას დღევანდელი გადასახედიდან და თანამედროვე პოზიციებიდან.

---

[1] საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა სსრკ-ში არსებულ ამ პრობლემებზე დუმდა და მიიჩნევდა, რომ ასეთი ბარბაროსობა მხოლოდ დასავლური სახელმწიფოებისათვის იყო დამახასიათებელი: "ზოგიერთ სახელმწიფოში, რომელთა მთავრობები რასისტულ და რევანშისტულ პოლიტიკას ახორციელებენ, ბევრი წიგნი სასტიკად აკრძალულია ან წვავენ. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელსაც დასავლეთში "თავისუფალ სამყაროს" ქვეყნებს მიაკუთვნებენ, 20 ათასზე მეტი სახელწოდების წიგნია შეტანილი აკრძალული, "ძირგამომთხრელი" ლიტერატურის სიაში. მათ შორის არის გორკის, ფოლკნერის, კოლდუელისა და სხვა მწერლების ნაწარმოებები. აკრძალული წიგნების კითხვისათვის დაწესებულია 1000 გირვანქა სტერლინგის ჯარიმა ან ხუთი წლის პატიმრობა, ანდა ორივე ერთად" [ბოგდანოვი, ვიაზემსკი 1975: 135-136].

ლიტერატურა

1. ბაქრაძე ა. მწერლობის მოთვინიერება. - თბილისი, 1990
2. ბოგდანოვი ნ. ჟურნალისტის ცნობარი / ვ. ვიაზემსკი . - თბილისი.
3. კეკელიძე კ. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში // ეტიუდები. ტომი I. - თბილისი, 1956
4. ლუარსამიძე ვ. პროლეტარული მწერლობა - პროლეტარული რევოლუციონიზმია // პროლეტარული მწერლობა № 1-2, 1931
5. Нелюбин Л . Наука о переводе: История и теория с древнейших времен до наших дней / Г. Хухуни . – Москва, 2008
6. О литературе / Сборник документов. - Москва, 1960

ნიკოლოზ გობეჯიშვილი

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა)

კავკასიის რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბებას იწყებს მრავალი კულტურული არეალი. სამხრეთ კავკასიაში ეს პერიოდი დაკავშირებულია კოლხური, სამთავროს, იორ-ალაზნისპირეთის, განჯა-ყარაბაღის და სხვ. არქეოლოგიური კულტურების არსებობასთან. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ყალიბდება ყუბანისპირეთის, ყობანის და კაიაკენტ-ხოროჩოის სახელით ცნობილი არქეოლოგიური კულტურები. კოლხური და ყობანური კულტურების სასაზღვრო ზოლი ძირითადად კავკასიონის ქედს მიუყვება, რომელიც ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა არა მარტო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, არამედ წინარე და მომდევნო ეპოქებშიც. ამდენად, არ არის გასაკვირი ის დიდი სიახლოვე, რომელიც კავკასიის ორივე მხარის მოსაზღვრე რეგიონებში შეინიშნება.

კოლხური და ყობანური კულტურების პრობლემურ საკითხთა წრიდან ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო მათი იდენტობის პრობლემა რჩება. ამის შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში, რისი უპირველესი მიზეზიც, ვფიქრობთ, ის არის, რომ სისტემური ხასიათის კვლევა და ამ კულტურების ყველა კატეგორიის ძეგლთა კომპარატიული კონტექსტით შესწავლა არ ჩატარებულა. კოლხური და ყობანური კულტურების შესწავლა მათი მრავალფეროვანი მატერიალური კულტურის ძეგლთა სრულად და სისტემურად გააზრების გარეშე შეუძლებელია. ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წამყვანი მნიშვნელობის არტეფაქტების – თიხის ნაკეთობათა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მასალათა – გვერდით, კულტურის სხვა ელემენტების სპეციალურ კვლევასაც მოითხოვს. ასეთ მნიშვნელოვან ელემენტებს სამარხ-კონსტრუქციები და დაკრძალვის წესი წარმოადგენენ, რომლებზე დაყრდნობითაც შევეცადეთ გვეჩვენებინა ის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც კოლხური და ყობანური კულტურების გავრცელების ტერიტორიაზე შეინიშნება.

კოლხური კულტურის არეალში ჩვენ მიერ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხთა 9 ძირითადი ტიპის, ხოლო ყობანურ კულტურაში 7 ტიპის გამოყოფა მოხერხდა. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი დამატებით რამდენიმე ქვეტიპს აერთიანებს. ორივე კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა შედარებითი ანალიზისას თითოეული ტიპის კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის განხილვით შევეცდებით საერთო და განმასხვავებელი ძირითადი ელემენტების განსაზღვრას. პირველ რიგში, შევეხებით სამარხთა იმ ძირითად ტიპებს, რომლებიც ორივე კულტურისათვის საერთო მოვლენას წარმოადგენს და, აგრეთვე, იმ განმასხვავებელ ნიშნებსა თუ ელემენტებს, რომლებიც ამ ტიპებში გვხვდება როგორც კონსტრუქციის, ისე დაკრძალვის წესის თვალსაზრისით.

მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხები ორივე არქეოლოგიურ კულტურაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან ისინი დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. სამარხის ეს ტიპი როგორც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ასევე წინარე და მომდევნო ეპოქების არქეოლოგიურ კულტურათა ერთ-ერთი დომინანტური სახესხვაობა როგორც კავკასიაში, ასევე ოიკუმენეს საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. მიუხედავად ორმოსამარხების ასეთი ფართო დისტრიბუციისა, კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების კონტექსტში განხილვისას, აშკარა ხდება, რომ მათი რაოდენობიდან და ორივე კულტურის მასშტაბით ფართო

დისტრიბუციიდან გამომდინარე, ამ ტიპს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფუნქცია ეკისრება კოლხური და ყობანური კულტურების თავისებურებათა დადგენის თვალსაზრისით.

კოლხურ კულტურაში ჩვენ მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხთა 3 ქვეტიპი გამოვყავით: ა) ოთხკუთხედთან მიახლოებული; ბ) წრიული; გ) ოვალური. ყობანურ კულტურაში მხოლოდ ორი ქვეტიპის გამოყოფა მოხერხდა: ა) ოვალური; ბ) სწორკუთხა.

როგორც ვხედავთ, კოლხური და ყობანური კულტურებისთვის მოყვანილობის მხრივ მხოლოდ ორი ქვეტიპი (ოვალური, სწორკუთა) არის საერთო მოვლენა, ხოლო წრიული ორმოსამარხები მხოლოდ კოლხურ კულტურაში, ისიც მისი გავრცელების დასავლეთ არეალშია (გურია, აფხაზეთი) წარმოდგენილი. ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ორმოსამარხების ქვეტიპები კოლხურ კულტურაში გვხვდება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, როგორც ყობანური კულტურისაგან დაშორებულ (აფხაზეთი, გურია), ასევე სასაზღვრო ზოლში (თლიას სამაროვანი).

რაც შეეხება დაკრძალვის წესს, საერთო ელემენტებთან ერთად ჩვენ აქ რადიკალურად განმასხვავებელ ნიშნებსაც ვხვდებით. საერთო მომენტებიდან გამოსარჩევია ინჰუმაციის წესი, რომელიც ყობანური კულტურის ორმოსამარხთა უმეტეს და კოლხური კულტურის აღნიშნული ტიპის სამარხთა მნიშვნელოვან ნაწილზეა დადასტურებული. პირველ რიგში, ეს ეხება მიცვალებულთა ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში მოთავსებას, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა გვერდზე. ყობანური კულტურის ზოგიერთ ძეგლზე (კომაროვო, ისტი-სუ) მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსება მათი სქესის მიხედვით ხდებოდა. მაგალითად, კომაროვოს სამაროვანზე მამაკაცებს მარჯვენა, ხოლო ქალებს მარცხენა გვერდზე ასვენებდნენ [Абрамова, 1974: 195].

დაკრძალვის მსგავსი წესი გვხვდება თლიას სამაროვანზეც, თუმცა, მარცხენა გვერდზე აქ ხშირად მამაკაცების დაკრძალვა ხდებოდა. საერთოდ, თუ გადავხედავთ ჩვენ მიერ მოყვანილი ძეგლების აღწერილობას როგორც კოლხური, ისე ყობანური კულტურის არეალში ინჰუმაციურ ორმოსამარხებში მიცვალებულთა რომელიმე გვერდზე მოთავსების და მათი თავით რომელიმე მხარეს მოქცევის მკაცრად განსაზღვრული ტრადიცია არ არსებულა.

კოლხური კულტურის ორმოსამარხებს ყობანური კულტურისაგან ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც განასხვავებს. ეს არის მიცვალებულთა კრემაციის წესი, რომელიც კოლხური კულტურის არეალის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი (გუადიხუ). ყობანურ კულტურაში კრემაციის წესი ტერეზესა და ზემო რუთხას აკლდამებისა (დიგორი) და კარაბაშევოს (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) ყორღანული სამარხების გარდა, გვხვდება ეშკაკონის (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), მუკულანისა (ჩეგემის ხეობა, ყაბარდო-ბალყარეთი) და ბულუნგუს (ბაქსანის ხეობა, ყაბარდო-ბალყარეთი) ძეგლებზე, თუმცა, სამარხთა რომელი ტიპია აქ გავრცელებული, ამის თაობაზე ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება [Чеченов, 1969: 38].

მიცვალებულთა კრემაციის წესის გარდა, მეორადი დაკრძალვის რიტუალი, რომელიც გაგრის [Бжания, 1991], წითელი შუქურას [Трапш, 1969], ჯანტუხისა [Шамба, 1990] და ურეკის [მიქელაძე, 1985] ინდივიდუალურ ორმოსამარხებში გვხვდება, საერთოდ არაა ცნობილი ყობანური კულტურის არც მარტივი კონფიგურაციის და არც სხვა ტიპის ორმოსამარხებისათვის. ეს განსხვავება მნიშვნელოვანწილად ნათელყოფს იმ ძირეულ სხვაობებს, რომლებიც კოლხურ და ყობანურ კულტურათა შორის დაკრძალვის წესში არსებობდა და რომელთა უგულებელყოფა მათი ურთიერთდამოკიდებულების კვლევისას დაუშვებელია.

ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები წარმოდგენილია როგორც კოლხურ, ასევე ყობანურ კულტურებში. კოლხური კულტურის არეალში მსგავსი ტიპის სამარხები 3 სამაროვანზეა გამოვლენილი: თლია (ცხინვალის რეგიონი), ხუცუბანი (აჭარა), ერგეტა I (სამეგრელო), ხოლო ყობანურ კულტურაში - 4 ძეგლზე: ყუმუში (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), მინერალნიე ვოდი (სტავროპოლის მხარე), ნესტეროვსკაია და მუჟიჩი (ინგუშეთი).

კოლხური და ყობანური კულტურების ქვაყრილით დაფარულ ორმოსამარხთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნების განხილვამდე საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოლხური კულტურის მითითებული ტიპის სამარხები ქრონოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან. თლიას სამაროვანზე ისინი წარმოდგენილი არიან როგორც ადრეულ, აგრეთვე მოგვიანო ეტაპზე. ხუცუბნის სამაროვანი, ზოგადად, ასევე ადრეული პერიოდის ძეგლადაა მიჩნეული [იოსელიანი, 1973: 107], ხოლო ერგეტა I მოგვიანო პერიოდს, დაახლოებით ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს, განეკუთვნება [Микеладзе… 1985: 40]. რაც შეეხება ყობანურ კულტურას, აქ ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები ასევე გვიანდელი პერიოდით, ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნით თარიღდება [Мунчаев, 1963: 202] [Алексеева, 1982: 11].

განხილული ძეგლებისგან დაკრძალვის წესის მხრივ რადიკალურად განსხვავდება ხუცუბნის სამაროვანი (აჭარა), სადაც მიცვალებულთა კრემაციის წესი ყოფილა გაბატონებული. აქ მიცვალებულთა ძვლები სამარხებში არ დაფიქსირებულა, რაც მათი სრული კრემაციით უნდა იყოს განპირობებული. სამარხებში და მათ ირგვლივ დიდი ოდენობით ნახშირის გამოვლენა კი მიცვალებულთა სამარხებშივე კრემაციაზე მიგვანიშნებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინვენტარის ნაწილზე ცეცხლის ძლიერი კვალი აღმოჩნდა [იოსელიანი, 1973: 112].

მიცვალებულთა კრემაციის წესი დადასტურებულია ყობანური კულტურის ძეგლზე _ ყუმუშის სამაროვანზე. აქ, სამარხის ძირზე, მიცვალებულის დამწვარი ძვლები ცხოველის ძვლებსა და სამარხეულ ინვენტართან ერთად ყოფილა მოთავსებული. ეს ფაქტი გარკვეულ კავშირზე შეიძლება მეტყველებდეს, თუმცა, როგორც აღინიშნა, ქრონოლოგიური დიაპაზონი, რომელშიც აღნიშნული ძეგლებია მოთავსებული, საკმაოდ დაცილებულია ერთმანეთისაგან, რადგან ხუცუბნის სამაროვანი, დაახლოებით, ძვ.წ. I ათასწელულის I მეოთხედს, ხოლო ყუმუში ძვ.წ. VI-V საუკუნეებს განეკუთვნება [Алексеева, 1982: 11]. ასეთი დიდი ქრონოლოგიური და ტერიტორიული დაშორება კი რაიმეს გადაჭრით მტკიცების უფლებას არ გვაძლევს.

ქვაყუთები წარმოადგენს ყობანური კულტურის სამარხ-კონსტრუქციათა ეტალონურ ტიპს და მათი გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა, თუმცა, არ გვხვდება ამ კულტურის დისპერსიის აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე. კოლხურ კულტურაში ისინი წარმოდგენილი არიან ბრილისა და თლიას სამაროვნებზე. აუცილებელად მიგვაჩნია გავაკეთოთ აღნიშნული ტიპის სამარხთა დისპერსიის ზონების მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა. კოლხურ კულტურაში ისინი მხოლოდ მთიან მხარეში, თანამედროვე რაჭისა (ბრილი) და ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილშია (თლია) წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ამ რეგიონებში ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების არსებობა აღნიშნული ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა გამოყენებას უწყობდა ხელს, თუმცა, ყობანური კულტურისაგან განსხვავებით, მას არ ჰქონდა დომინანტური როლი.

ბრილის სამაროვანზე გამოვლენილი ქვაყუთები ადგილობრივი ფილაქვებისაგან უნდა იყოს შედგენილი, რომლის მასალაც სამაროვნის მახლობლად, რამდენიმე ასეულ მეტრში, მდებარეობს და მისი მოპოვება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დიდ სირთულეებთან არ

უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მთარაჭასთან ბუნებრივ-გეოგრაფიულ სიახლოვეს თუ გავითვალისწინებთ, თლიას სამაროვანზე დაკრძალულ ინდივიდთა სოციუმს ქვაყუთების მოსაწყობად საჭირო მასალა აგრეთვე სამაროვნის სიახლოვეს უნდა მოეპოვებინა, რომელთა დამუშავებაც შესაძლოა ადგილზევე ან უაშუალოდ სამაროვანზე ხდებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ყობანური კულტურის არეალში ქვაყუთების გავრცელების გეოგრაფიული პრინციპი. აღნიშნული კულტურის ცენტრალური ვარიანტის მთიან მხარეში მდებარეობს ზემო რუთხის, ადაიდონისა (დიგორი) და ყობანის სამაროვნები (ყობანის ხეობა, ოსეთი), ხოლო დასავლეთ ნაწილში ქვაყუთები ძირითადად მთისწინა ზოლშია კონცენტრირებული. ისინი განსაკუთრებით დიდი ოდენობით წარმოდგენილი არიან თანამედროვე სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილში, ქ. კისლოვოდსკსა და მის შემოგარენში.

ე. კრუპნოვი ხაზს უსვამდა ყობანური კულტურის დასავლეთ ვარიანტში გამოვლენილ ქვაყუთების განსხვავებას ყობანის სამაროვნისაგან და ამ განსხვავებას ლოკალური ვარიანტების დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევდა. ეს განსხვავება გამოიხატებოდა იმაში, რომ დასავლეთით უმეტესად კვადრატთან მიახლოებული, ხოლო ყობანის სამაროვანზე წაგრძელებული მოყვანილობის ქვაყუთები იყო გავრცელებული [Крупнов, 1960:77].

ე. კრუპნოვის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ახალგამოვლენილი ძეგლების ფონზე შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს, რადგან ყობანური კულტურის დასავლეთ ნაწილში მრავლად გამოვლინდა წაგრძელებული მოყვანილობის ქვაყუთებიც (სულთან-გორა, ბერეზოვკა III, ისპრავნაია, ინდუსტრია I და სხვ.). ამის მიუხედავად, კვადრატთან მიახლოებული ფორმის სამარხთა სიჭარბე შესაძლოა, მართლაც გარკვეულ ლოკალურ მოვლენაზე მიგვანიშნებდეს, რომელიც დღევანდელი ოსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ადაიდონის სამაროვნისთვისაა დამახასიათებელი.

კოლხური და ყობანური კულტურების ქვაყუთებში გავრცელებული დაკრძალვის წესი გარკვეული ერთგვაროვნებით ხასიათდება. ეს გამოხატულია მიცვალებულთა ინჰუმაციის წესში: მათ მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოთავსებულებს მარხავდნენ.

აღსანიშნავია, რომ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე ქვაყუთებში მიცვალებულთა ზურგზე, გაშოტილ პოზაში დასვენების ფაქტი დადასტურებული არ არის. მარჯვენა გვერდზე მოთავსების შემთხვევები სჭარბობდა თლიას სამაროვნის ქვაყუთებში, მსგავსად ყობანისა და ადაიდონის სამაროვნებისა, თუმცა, აქაც გვხვდება მარცხენა გვერდზე დაკრძალვის ფაქტი. მსგავსი სიტუაციაა ყობანური კულტურის დასავლურ ვარიანტში, სადაც აღსანიშნავია შემდეგი სახის თავისებურებანი: თუ კოლხური და ყობანური კულტურების ქვაყუთების შემცველ ძეგლთა უმრავლესობაზე მიცვალებულის რომელიმე გვერდზე მოთავსება სქესის მიხედვით არ ხდებოდა (მარჯვენა გვერდზე უპირატესად მამაკაცები არიან დაკრძალული), ბელორეჩენსკის სამაროვანზე ეს მკაცრად იყო განსაზღვრული და მარჯვენა გვერდზე მხოლოდ მამაკაცებს, ხოლო მარცხენაზე ქალებს ათავსებდნენ [Дударев, 1978: 124-125]. ბრილის სამაროვანზე ქვაყუთებში ასევე ძირითადად მამაკაცებს მარხავდნენ. ერთ-ერთ ქვაყუთში დაფიქსირდა ქალისა და მამაკაცის წყვილად დაკრძალვის ფაქტიც [საქართველოს... 1959: 196-197].

ბრილის სამაროვანზე მიკვლეულ ქვაყუთს, რომელიც მამაკაცისა და ქალის წყვილად სამარხს წარმოადგენდა, ანალოგიები ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ისპრავნაიას სამაროვნის #10 და #13 სამარხებში. ბრილის აღნიშნული სამარხის ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია, ამიტომ რაიმე კავშირზე საუბარი ამ ეტაპზე შეუძლებელია. წყვილადი სამარხები

ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ ძეგლზეა დადასტურებული, თუმცა, არა ქვაყუთის ტიპის სამარხებში. ბრილისა და ისპრავნაიას წყვილადი სამარხები ჩვენ საოჯახო განსასვენებლებად მიგვაჩნია. ამავე კატეგორიისა უნდა იყოს თლიას სამაროვნის #129 სამარხი, რომელიც, მართალია, ქვაყუთს არ წარმოადგენს, თუმცა იმეორებს ისპრავნაიას სამაროვნის წყვილად სამარხებში დადასტურებულ დაკრძალვის წესს [Техов, 1985: 19-20].

ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ჩვენ მიერ გამოყოფილ იქნა ქვაყუთების 3 ქვეტიპი. ასეთი მრავალფეროვნება კოლხური კულტურისათვის უცნობია და აქ ქვეტიპების გამოყოფა არ ხერხდება, თუმცა, მოწყობის ტექნიკის თვალსაზრისით შეინიშნება გარკვეული სხვაობები.

როგორც დავინახეთ, ქვაყუთებს ყობანური კულტურის სამარხთა ტიპებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ, განსხვავებით კოლხური კულტურისაგან, სადაც ისინი ლოკალური დისპერსიით ხასიათდებიან და მხოლოდ ორ სამაროვანზე არიან წარმოდგენილი (თლია, ბრილი).

ყორღანული სამარხები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ყობანური კულტურის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გვხვდება, რასაც ვერ ვიტყვით ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სადაც ისინი მხოლოდ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორაძირის სამაროვანზე არიან გამოვლენილი. ძეგლის გამთხრელები გორაძირის ყორღანულ სამარხებს, სამარხეული ინვენტარის საფუძველზე ძვ.წ. VIII ს-ის II ნახევრით ათარიღებენ [გოგაძე..., 1981: 21]. ყობანურ კულტურაში ამავე პერიოდითაა დათარიღებული სამარხები, რომელთა მოწყობის ტექნიკაშიც შეიმჩნევა ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხო კულტურული ელემენტების შერწყმის მცდელობა. ესენია ზაიუკოვოსა და კამენომოსტის ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული ქვაყუთები [Чеченов, 1969]. ძვ.წ. VI-V საუკუნეების ყორღანული სამარხები წარმოდგენილია კარაბაშევოს, მუჟიჩის, ნესტეროვსკაიასა, ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს ძეგლებზე. დაკრძალვის წესი აღნიშნულ სამაროვნებზე თითქმის ერთმანეთის იდენტურია, გარდა კარაბაშევოს სამაროვანზე მიკვლეული სამარხისა, სადაც ა. ალექსეევა კრემაციის წესის არსებობას ვარაუდობდა [Алексеева, 1982: 12].

კრემაციის წესი დადასტურებული არის გორაძირის სამაროვანზეც, თუმცა, ინდივიდუალურ ორმოსამარხებში და არა ყორღანულ სამარხებში [გოგაძე..., 1981: 8]. უნდა აღინიშნოს, რომ გორაძირის ყორღანებში ცეცხლის კვალი იქნა დაფიქსირებული, რაც ხის დანახშირებულ ფრაგმენტებში გამოიხატებოდა. მკვლევრებმა ეს ფაქტი ხის კონსტრუქციის არსებობით ახსნეს, რომელიც სამარხი კამერის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა [გოგაძე..., 1981: 7]. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გორაძირის კავშირი კარაბაშევოს სამაროვანთან, სადაც სამარხი კამერა მოწყობილი იყო ყორღანული ყრილის ცენტრში და კედლები ფილაქვებით ჰქონდა ამოყვანილი, ხოლო ძირი რიყის ქვებით მოწყობილი. სამარხის კამერის გარდა, დიდი ოდენობით ნახშირისა და ნაცრის კვალი გამოვლენილა უშუალოდ ყრილშიც [Алексеева, 1982: 12].

გორაძირის სამაროვნის ყორღანული სამარხების ცუდი დაცულობა კარაბაშევოს სამაროვანთან კიდევ უფრო დეტალური კავშირის გამოვლენის საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა, საერთო ელემენტები საკმაოდ მრავლადაა. აქვე კვლავ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ გორაძირისა და კარაბაშევოს ყორღანები ერთმანეთის ასინქრონულია, პირველი ძვ.წ. VIII საუკუნის II ნახევრით, ხოლო მეორე ძვ.წ VI-V საუკუნეებითაა დათარიღებული, რაც გამორიცხავს მათი შემქმნელი მიკროკულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის პირდაპირ კავშირს.

თვალს თუ გადავავლებთ ყორღანული სამარხების გავრცელების რუკას, დავინახავთ, რომ ისინი თავმოყრილი არიან თითქმის ყველა გეოგრაფიულ ზონაში. ზოგადად, აღნიშნული ტიპის სამარხების გავრცელება ყობანური კულტურის მოგვიანო პერიოდს ემთხვევა და დაკავშირებულია ე.წ. სკვითურ ექსპანსიასთან, რომელთა კულტურული ელემენტებიც ადრეული რკინის ხანის თითქმის მთელ კავკასიაშია დადასტურებული, არა მარტო მრავალრიცხოვანი სამარხეული ძეგლებითა და დაკრძალვის რიტუალით, არამედ სხვა სახის არქეოლოგიური მასალითაც.

სკვითური ტიპის მატერიალური კულტურის ნიმუშები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ყობანურ კულტურაში, სადაც ისინი ძვ.წ. VII-V საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ. სკვითური ტიპის არქეოლოგიური მასალა ასევე დიდი ოდენობით გვხვდება კოლხური კულტურის ძვ.წ. VII-VIO საუკუნეების სამარხების შემცველ ძეგლებზე. როგორც მთიან ზოლში, ასევე დაბლობ და ზღვისპირა ადგილებში ბევრია ისეთი ძეგლი, რომლებზეც დადასტურებულია კოლხური და სკვითური ელემენტების თანაარსებობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თლიას, ბრილისა და ყულანურხვას სამაროვნები, სადაც თვალნათლივ ჩანს მათი ურთიერთმიმართება. მაგალითად, როგორც მ. თრაფში შენიშნავს, ყულანურხვას სამაროვანზე გამოვლენილი 12 სამარხიდან, რომელთაგან ერთი ცხენის სამარხს წარმოადგენდა, 9 სამარხი (## 1-3, 6-9, 11, 12) კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი, ხოლო 3 (##@4, 5, 10) სკვითური ელემენტების შემცველი ყოფილა. ეს ფაქტი მას მცირე ტერიტორიაზე ორი განსხვავებული კულტურულ-ეთნიკური ჯგუფის თანაარსებობის დამადასტურებლად მიაჩნდა [Трапш, 1962: 76-78].

ყულანურხვას სამაროვანთან მიმართებით საინტერესოა თლიასა და ბრილის ძეგლები. თლიას სამაროვნის მრავალრიცხოვანი სამარხებიდან, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების ფენაში განსაკუთრებით ბევრია სკვითური წარმოების მასალა, რომელიც, პირველ რიგში, საბრძოლო იარაღითაა წარმოდგენილი. ბრილის სამაროვნის ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამარხებშიც ძირითადად საბრძოლო იარაღი არის სკვითური ნიშნების მატარებელი.

აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თვალს თუ გადავავლებთ ყობანური კულტურის ძვ.წ. VII-V საუკუნეების სამარხეული ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალას, დავინახავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძირითადად საბრძოლო იარაღია სკვითური წარმომავლობის, ხოლო კერამიკა, სამკაული და სხვა სახის ნივთები ადგილობრივი წარმოებისაა.

კიდეებზე ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხები შედარებით მცირე ტერიტორიული დისტრიბუციით ხასიათდება. კოლხური კულტურის სამაროვნებიდან მსგავსი სამარხები დადასტურებულია თლიასა და გაგრის ძეგლებზე, ხოლო ყობანურ კულტურაში _ ულუბაღანალზე. ულუბაღანალის აღნიშნული ტიპის სამარხებზე მსჯელობა მხოლოდ ზედაპირული ცნობების მეშვეობით შეგვიძლია და კოლხური კულტურის სამაროვნებთან პარალელების გავლება საკმაოდ რთულია. ამის მიუხედავად, დაკრძალვის წესზე საუბრისას ჩვენ შეგვიძლია ზოგადი კავშირის გამოვლენა, რაც სამივე სამაროვანზე აღნიშნული ტიპის სამარხებში მიცვალებულის ინჰუმაციის წესითაა გამოხატული [Ковалевская, 1984: 34-35]. გაგრის სამაროვანი, რომელიც კოლხური კულტურის ადრეულ ეტაპს განეკუთვნება, შედარებითი ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, ქრონოლოგიურ კავშირში არ არის ულუბაღანალის სამაროვანთან, რომელიც ვ. კოვალევსკაიას მიერ ძვ.წ. VII საუკუნის მესამე მეოთხედითა და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Ковалевская, 1984: 49].

კიდეებზე ქვებით შემოწყობილი ორმოსამარხების გავრცელება გეოგრაფიული კუთხით საკმაოდ მრავალფეროვანია და გვხვდება, როგორც მთიან (თლია) და ზღვისპირა (გაგრა), აგრეთვე მთისწინა ზოლში (ულუბაღანალი), რაც გამორიცხავს ამ ტიპის სამარხთა დისტრიბუციის კავშირს გარკვეულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. ქრონოლოგიური და ტერიტორიული დაცილება ასევე არ მიგვანიშნებს აღნიშნული ტიპის სამარხებში დაკრძალულ ინდივიდთა პირდაპირ კულტურულ კავშირებზე. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამივე ძეგლზე ქვებით შემოწყობილი სამარხები სხვა ტიპის სამარხთა გვერდით არიან წარმოდგენილი და შედარებით მცირერიცხოვნობით ხასიათდებიან, მათ ლოკალური მნიშვნელობა ენიჭებათ. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ერთ სამაროვანზე დაკრძალვის წესის ერთგვაროვნების მიუხედავად, სამარხ-კონსტრუქციათა კონსტრუირების ერთიანი ტრადიცია არ ყოფილა გავრცელებული.

კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გავრცლებული სხვა ტიპის სამარხი-კონსტრუქციები ერთმანეთთან ნაკლებ კავშირს ავლენს. კოლხურ კულტურაში მეხუთე ტიპად გამოყოფილი ხის ფიცრებით კონსტრუირებული სამარხები, რომლებიც მხოლოდ თლიას სამაროვანზე გვხვდება (## 129, 293, 300, 301) [Техов, 1985], გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ყობანური კულტურის ძეგლებთან. პირველ რიგში, მუჟიჩის სამაროვნის #6/70 სამარხთან, რომლის კონტურებს ნახშიროვანი ზოლი გასდევდა. აღნიშნული ფაქტი რ. მუნჩაევმა ხის კედლების არსებობის მანიშნებლად მიიჩნია [Мунчаев, 1963: 144].

კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ***კოლექტიური სამარხების*** გავრცელების საკითხი. კოლხურ კულტურაში ჩვენ გვხვდება ***კოლექტიური სამარხი-ორმოები,*** თუ დასაკრძალავი მოედნები, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში _ ***სამარხი-აკლდამები*** (ზემო რუთხა, ტერეზე). ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნული კოლექტიური სამარხები ყობანური კულტურის ადრეულ საფეხურს განეკუთვნებიან, ხოლო კოლხურ კულტურაში ისინი ძვ.წ. X საუკუნიდან იჩენენ თავს და აღნიშნული ტიპის სამარხების შემცველ ძეგლთა უმრავლესობა, ქრონოლოგიურად ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს შორის თავსდება.

ყობანურ კოლექტიურ სამარხ-აკლდამებსა და კოლხურ სამარხ-ორმოებს აქვთ ერთი საერთო ნიშანი. ესაა მიცვალებულთა ნაწილობრივი თუ სრული კრემაცია. აღნიშნული წესი დადასტურებულია ტერეზეს ორ სამარხ-აკლდამასა და ზემო რუთხას სამაროვანზე. დასავლეთ ამიერკავკასიაში კი ისინი მოიცავენ შემდეგ ძეგლებს: ნიგვზიანი, ურეკი, ჯანტუხი, მერხეული, ფიჩორი, პალური. კოლხური ძეგლებისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასიის კოლექტიური სამარხები შედარებით უკეთ არიან დაცული. ამას ქვის კონსტრუქციის არსებობაც განაპირობებდა, რაც კოლხურ კულტურაში მხოლოდ ბრილის სამაროვანზეა დადასტურებული [საქართველოს... 1959: 190].

კოლხური კულტურის კოლექტიურ სამარხ-ორმოებში გავრცელებული დაკრძალვის წესის სრული სურათის რეკონსტრუქცია დღესდღეობით შეუძლებელია, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ძეგლების ცუდი დაცულობა განაპირობებს. ყობანური კულტურის ძეგლებზეც (ტერეზე, ზემო რუთხა) დაკრძალვის წესის აღდგენა ასევე საკმაოდ პრობლემატურია. გამონაკლისს წარმოადგენს ტერეზეს სამაროვნის #3 სამარხი-აკლდამა, რომელიც ინჰუმაციურ, წყვილად სამარხს წარმოადგენდა [Козенкова, 2004:60-63]. მას პარალელები არც თვითონ ყობანური, და არც კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე არ მოეპოვება.

კოლექტიური სამარხი-ორმოების და სამარხი-აკლდამების ურთიერთმიმართების თაობაზე მსჯელობა ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გამო საკმაოდ რთულია. მხოლოდ კრემაციის წესი კი არ არის საკმარისი აღნიშნული ტიპის სამარხებში დაკრძალულ

ინდივიდთა შორის პირდაპირი კავშირის დასამტკიცებლად. სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისა და დაკრძალვის წესის სხვა ელემენტებით კავკასიონის ქედის ორივე მხარის ამ ტიპის სამარხთა შემცველი ძეგლები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიგვაჩნია, რომ ყობანური კულტურის მხოლოდ ორი ძეგლის მეშვეობით შეუძლებელია ამ საკითხზე გადაჭრით მსჯელობა და საჭიროებს შედარებით უფრო მრავალრიცხოვან მატერიალურ ძეგლს, რათა მოხდეს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა.

კოლხურ კულტურაში გავრცელებული სხვა ტიპის სამარხი-კონსტრუქციები ასევე ნაკლებად ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს ეხება კიდეებზე ქვებით შემოწყობილ სამარხებსა და ოსუარიუმებს. პირველი სამარხის ტიპი ხასიათდება მიცვალებულთა ინჰუმაციის წესით და ამ მხრივ ყობანური ძეგლებისაგან ნაკლებად განსხვავდება. ***ოსუარიუმი***, როგორც სამარხის ტიპი, უცხოა ჩრდილოეთ კავკასიისათვის. ასევე უცხოა მასში შესრულებული მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. თუმცა, ოსუარიუმი თვით კოლხურ კულტურაშიც ლოკალური გავრცელებით ხასიათდება და წარმოდგენილია მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე (ეშერა, ვერეშჩაგინის გორა, წითელი შუქურა, პრიმორსკოე, ზვანდრიფში). ოსუარიუმების მსგავსად, ლოკალურ მოვლენას წარმოადგენდა **კრომლეხი**, რომელიც მუჟიჩის სამაროვანზე გვხვდება და უცნობია სხვა ძეგლებისათვის. ამავდროულად, დაკრძალვის წესის მხრივ, კრომლეხიანი სამარხები არ განსხვავდებიან მუჟიჩის სამაროვნის სხვა ტიპის სამარხებისაგან.

როგორც დავინახეთ, კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები ტიპობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გვხვდება ორივე მხარისათვის საერთო და განსხვავებული ტიპის სამარხი-კონსტრუქციები. მსგავსი სიტუაცია შეინიშნება დაკრძალვის წესის მხრივაც.

უძველესი წერილობითი წყაროების ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს საკვლევი რეგიონის სამარხეულ ძეგლებს შორის დაფიქსირებული არაერთგვაროვნება სამარხ-კონსტრუქციათა მოწყობისა და მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიციაში. ყოველ ტომს თუ სხვა სახის ერთეულს რწმენა-წარმოდგენათა თავისებური ელემენტები უნდა ჰქონოდა, რაც ნათლადაა ასახული კოლხური და ყობანური კულტურების არეალში გამოვლენილ სამაროვნებზე. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია კოლხურ კულტურაში, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ასეთი მრავალფეროვნება ნაკლებად იგრძნობა.

ზემოთ განხილული კოლხური და ყობანური კულტურების სამარხეული მონაცემების ურთიერთმიმართებითი ანალიზი ხაზს უსვამს ამ ორი კულტურის თვითმყოფადობას და, ამავდროულად, მათ შორის მჭიდრო კავშირს, რაც ტერიტორიული და გარკვეული კულტურული სიახლოვითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. ეს სიახლოვე და კულტურული ერთიანობა თვალნათლივ ჩანს არქეოლოგიური მასალის ნაწილის თვალსაზრისით, თუმცა, ჩვენ მიერ განხილული სამარხი-კონსტრუქციები და დაკრძალვის წესი მსგავსი ერთიანობის დამამტკიცებლად არ გამოდგება, მაგრამ მიანიშნებს იმ დიდ კავშირებზე, რომლებიც კავკასიონის ორივე მხარის არქეოლოგიურ კულტურებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჰქონდათ.

ლიტერატურა

1. გოგაძე ე. გორაძირი / ც. დავლიანიძე. - თბილისი,1981
2. იოსელიანი ა. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან. - თბილისი, 1973
3. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები // კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II. - თბილისი, 1970
4. საქართველოს არქეოლოგია. - თბილისი, 1959
5. Абрамова М. Абрамова М. Памятники горных районов Центрального Кавказа рубежа и первых веков нашей эры. — Археологические исследования на Юге Восточной Европы. - М., 1974
6. Алексеева Е. Памятники позднекобанского времени на территории Карачаево- Черкесии: Проблемы археологии и этнографии Карачаево-Черкесии. Материальная и духовная культура. - Черкесск, 1982
7. Бжания Д. Древний могильник в Гагре. - Сухуми, 1991
8. Дударев С. Работы Кисловодского отряда. – АО , 1977
9. Ковалевская В. Кавказ и Аланы. - Москва,1984
10. Козенкова В. Биритуализм в погребальном обряде древних "кобанцев" : Могильник Терезе конца XII -VIII в. до н.э. // (Материалы по изучению историко-культурного наследия Северного Кавказа. Выпуск V). - М.: "Памятники исторической мысли", 2004
11. Козенкова В. Биритуализм в погребальном обряде древних "кобанцев" : Могильник Терезе конца XII -VIII в. до н.э. // (Материалы по изучению историко-культурного наследия Северного Кавказа. Выпуск V). - М.: "Памятники исторической мысли", 2004
12. Крупнов Е. Древняя история Северного Кавказа. - Москва, 1960
13. Микеладзе Т . Итоги Полевых Исследований Колхидской Экспедиции. Полевые Археологические Исследования в 1982 Году. - Тбилиси, 1985
14. Мунчаев Р. Древности Чечено-Ингушетии. - Москва, 1963
15. Техов Б.Тлийский могильник, III (комплексы второй половины VII в. до н.э.). - Тбилиси, 1985
16. Трапш М . Памятники колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР. - Сухуми, 1962
17. Трапш М. Древний Сухуми / Труды: т. 2.. - Сухуми, 1969
18. Чеченов И. Древности Кабардино-Балкарии. – Нальчик, 1969
19. Шамба Г. Археологические памятники верховья реки Галидзга (Джантух). - Тбилиси,1990

ქეთევან ანთელავა

ქველმოქმედი ქალები მე-19 საუკუნის აშშ-სა და საქართველოში: ფილანტროპიის პარალელები

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებამდე საშუალო და მაღალი კლასის ამერიკელი ქალბატონებისთვის ქველმოქმედება თვითრეალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის ერთ-ერთი უსაფრთხო გზა იყო, რასაც ისინი დიდი წარმატებით აკეთებდნენ. სოციალური ცვლილებებისთვის მებრძოლი ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, დასაქმებისა და განათლების თვალსაზრისით ახალი პერსპექტივების შექმნა, მისიონერული საქმიანობა, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მფარველობა; ეს იმ პროგრესული ნაბიჯების არასრული სიაა, რომელნიც ქალთა ქველმოქმედების შედეგად განხორციელდა.

კონკრეტულად ამ პერიოდზე ყურადღების შეჩერება იმითაა განპირობებული, რომ სწორედ ამ დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე მოხდა ფილანტროპიის და ხელოვნების მეცნიატობის იმ პრინციპების ჩასახვა, რომლებმაც გენდერული ბარიერების დაძლევის პერსპექტივა გააჩინა და შედეგად არა მხოლოდ ქალთა უფლებები გაზარდა, არამედ ამერიკული საზოგადოების შემდეგი წინსვლა უზრუნველყო.

ისტორიული და სოციალური პირობების განსხვავებულობის მიუხედავად, მე-19 საუკუნის ქველმოქმედ ქალთა საქმიანობას აშშ-სა და საქართველოში ბევრი საერთო აღმოაჩნდა. პირველი და უმთავრესი კი, ალბათ, ის იყო, რომ ორივე ქვეყანაში ქალებმა გააცნობიერეს ცვლილებების საჭიროება და თავიანთი უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყეს. ამერიკაში ეს პროცესი დოკუმენტურად 1848 წელს გაფორმდა, როდესაც სენეკა ფოლსში ქალთა უფლებების ყრილობაზე ხელი მოეწერა ელიზაბეთ სტენტონის „ გრძნობათა დეკლარაციას“. საქართველოში, დაახლოებით, ამავე დროს ბარბარე ჯორჯაძემ დაწერა ლექსი ქალთა უფლებებზე. განსხვავებული მასშტაბისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ორივე მსგავსი სულისკვეთებით იყო ნასაზრდოები.

ელიზაბეთ სტენტონისა და ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობა ამ პერიოდის ქართულ-ამერიკულ ფილანტროპიაში არსებული პარალელიზმის გამოვლინების ერთადერთი მაგალითი არა არის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სარა უორთინგტონ ქინგ პიტერის, სარა ჰეილის, ქენდის უილერის ქველმოქმედება ამერიკაში და ანასტასია წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, ელენე ყიფიანის, ეკატერინე მესხისა - საქართველოში. ეს პარალელები არც ზუსტი თანხვედრით გამოირჩევა და ზოგიერთ შემთხვევაში ქრონოლოგიური ცდომილებებიც ახასიათებს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გეოგრაფიული დაშორებისა და მთელი რიგი განსხვავებების მიუხედავად, ორი ქვეყნის ქალთა ძალისხმევას საერთო ვექტორი და მიზანი ჰქონდა. რომ არა გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიული რეალობა, ეს ფილანტროპული ტრადიციები ქვეყნის განვითარებაზე სრულიად განსხვავებულ გავლენას იქონიებდა და სოციალური და კულტურული ინსტიტუციები, უდავოდ სხვა ფორმით ჩამოყალიბდებოდა.

ოჰაიოს გუბერნატორის ოჯახში დაბადებული სარა ვორთინგტონ ქინგ პიტერი (Sarah Worthington King Peter, 1800-1877) ადრეული ასაკიდანვე საქველმოქმედო და ინტელექტუალურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდა. თავდაპირველად მისი ინტერესის სფერო საეკლესიო საქმიანობა, კერვის წრე, ხელოვნების, ფრანგულის შესწავლა და ლიტერატურული ჯგუფების მასპინძლობა იყო. 1833 წლის ქოლერის ეპიდემიამ მისი ვაჟი იმსხვერპლა, რის შემდეგაც მან თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად

ცინცინატის ობოლთა თავშესაფარი დააარსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში აქტიურად ჩაება. მოგვიანებით თავის მეგობარ სარა ჯოზეფა ჰეილთან ერთად იგი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ქალთა დასაქმებისა და მათთვის ახალი შესაძლებლობების გახსნის გზების ძიებას: 1848 წელს პირადად შეაგროვა პირველი 20 სტუდენტი და საკუთარი სახლის მესამე სართულზე ამერიკაში პირველი დიზაინის სკოლა გახსნა ქალთათვის. სარა ვორთინგტონის მეუღლის სამშობლოში, ინგლისში, მსგავსი წამოწყების წარმატებული გამოცდილება მისთვის მნიშვნელოვანი სტიმული იყო. დიზაინის სკოლა ამერიკაშიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: საზოგადოებრივი მხარდაჭერა, დაფინანსების არსებობა და სტაბილური შეკვეთები საფეიქრო მრეწველობის მხრიდან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო შედეგებიც. ამ წამოწყების მეშვეობით წარმატებულად მოხერხდა ქველმოქმედებისა და მხატვრული საწყისის გაერთიანება და რაც მთავარი იყო, ქალთა დასაქმების ეს ფორმა მოერგო იმ დროის საზოგადოებრივ ნორმებს. მწერლობისა და ხელსაქმის მსგავსად, ეს საქმიანობა სახლის კედლებშიც წარმატებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, და ამასთან ერთად, ამ ორგანიზაციის მთავარი მოთხოვნის, გემოვნების დახვეწის, ამოცანებსაც პასუხობდა. ევროპაში გამგზავრებულმა სარა უორთინგტონ პიტერმა აღმოაჩინა ფერწერის ნატიფი სამყარო, შეისწავლა ისტორია, შეიძინა ანტიკური ქანდაკებები და ძველი ევროპული ხელოვნების ნიმუშები. აქვე გამოიკვეთა გალერეის შექმნის იდეაც. ამჯერად, საკუთარი სახსრების გამოყენების ნაცვლად სარა პიტერმა თანამოაზრეები შემოიკრიბა და 1854 წელს გაიხსნა ქალთა ხელოვნების აკადემია, რომელიც, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული მრავალპროფილიანი ორგანიზაცია იყო. ეს დაწესებულება ფუნქციონირებდა როგორც ევროპული მხატვრობის ასლების საცავი, კოლექციონერების მიერ ნათხოვები ნახატებით დაკომპლექტებული გალერეა, ლიტერატურული კითხვის ცენტრი და დიზაინის სკოლა ხელმოკლე ქალთათვის. ყოველივე ეს ხორციელდებოდა ობოლთა თავშესაფრებისათვის თანხების შეგროვებით მიღებული გამოცდილების გამოყენებით და საწევროების აკრეფის გზით. პროექტი რვა წლის ფუნქციონირების შემდეგ დაიხურა და ამის ფორმალური მიზეზი დაფინანსების ვერ მოპოვება იყო.

მართალია, სარა ვორთინგტონის მიერ შექმნილი ორგანიზაციის მსგავსი დაწესებულებები არაერთ ქალაქში დაარსდა, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ვფიქრობ, მისი ბიოგრაფია იმის დასტურია, რომ ამ პერიოდში ქალების ქველმოქმედებასა და რეფორმებში ჩართულობა რაციონალურ, პრაგმატულ მიზნებს თუ არ ემსახურებოდა, ზედმეტ ფუფუნებად აღიქმებოდა და საზოგადოების მხარდაჭერას ნაკლებად პოულობდა, რიგ შემთხვევაში კი გაკიცხვის საგანიც ხდებოდა.

სამოქალაქოომამდელ პერიოდში ქალთა საქმიანობა კიდევ ერთ სფეროს მოიცავდა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია იმ მსოფლმხედველობრივი პრინციპების ჩამოყალიბებაზე, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, მყარი ტენდენციის სახე მიიღო. ამ მიმართულების ერთ-ერთი სახე მწერალი, გავლენიანი გამომცემელი და ამერიკის ეროვნული დღესასწაულის, მადლიერების დღის, დაწესების სულისჩამდგმელი სარა ჯოზეფა ჰეილი (Sarah Josepha Hale, 1788-1879) იყო.

სარა ჰეილის ოჯახში მტკიცედ სწამდათ, რომ შვილებს სქესის განურჩევლად თანაბრად ხარისხიანი განათლება უნდა მიეღოთ და სარა და მისი ძმა ცოდნას ერთნაირ პირობებში ეზიარნენ. ადრევე დაქვრივებულ სარა ჰეილს 5 შვილი დარჩა და მეგობრების რჩევით ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მან გამოაქვეყნა ლექსების კრებული *“Genius of Oblivion“* და მოგვიანებით რომანი *“Northwood. Life North and South”*.[1] განსაკუთრებული

აღნიშვნის ღირსია, რომ სარა ჰეილი პირველი მწერალი იყო, რომელიც მონობის საკითხს შეეხო.

წიგნებით მოპოვებულ ავტორიტეტსა და პოპულარობას ჟურნალ *"Godey's Lady's Book"*-ის 40-წლიანი რედაქტორობა მოჰყვა. სარა ჰეილი ამ თანამდებობიდან 90 წელს მიტანებული გადადგა და მთელი ამ დროის განმავლობაში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ამ პერიოდში ჟურნალში იბეჭდებოდნენ ნათანიელ ჰოთორნი, უოშინგტონ ირვინგი, ჯეიმს კირკი და მრავალი სხვა ავტორი, მათ შორის, ქალი მწერლებიც. თვითონ სარა ჰეილი ამერიკული გემოვნების არბიტრი გახდა და ეს არა მხოლოდ მოდასა და კულინარიას, არამედ სახლის დეკორირებას, არქიტექტურასა და ლიტერატურას მოიცავდა. მის სახელთან დაკავშირებულია ქალთა სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯების შთამბეჭდავი სია: ის იყო ქალთათვის უმაღლესი განათლების პროპაგანდისტი; ამ საკითხს მის ჟურნალში 17-ზე მეტი სტატია და სარედაქციო წერილი მიეძღვნა. "ქალთა დასაქმება" *(Employment for Women)*, ამ სახელწოდების რუბრიკა ჟურნალში 1852 წლიდან არსებობდა და იმ დროისთვის მწვავე საკითხზე დისკუსიებს მართავდა. სარა ჰეილისთვის არც ეროვნულობის იდეა იყო უცხო. ის ემხრობოდა ქვეყნის ერთიანობის პრინციპს და ეროვნული ინტერესების ერთგულება მისთვის ამერიკელი ავტორების წახალისებასა და ამერიკული პრობლემატიკის გაშუქებაში გამოიხატებოდა. ამავე მიზანს, ქვეყნის ერთიანობის იდეას, ემსახურებოდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოს, ბანქერ ჰილის, ობელისკის[2] აღმართვა, რომლის ასაგებად თანხების შეგროვება ჰეილის ჟურნალის მეშვეობით მოხდა. ბოლოს, 1863 წელს, 17- წლიანი მიმოწერისა და ბრძოლის შედეგად, მადლიერების დღე სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადდა და ქვეყნის ერთიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო გახდა.

სარა ჰეილის მრავალწლიანმა საქმიანობამ ქალთა თვითშეფასებასა და თვითდამკვიდრებაზე დიდი გავლენა იქონია. მის ჟურნალში გამართული დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა ის ტენდენციები, რომელთა გაღრმავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქალთა როლი საზოგადოებაში.

ქენდის თერბერ უილერი (Candance Thurber Wheeler, 1827-1923) გამორჩეული ფიგურაა სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მისი ინიციატივით დეკორატიული ხელოვნების მხარდამჭერთა მოძრაობა მთელ ქვეყანას მოედო და ქალების მიერ დაარსებული, მათი ინტერესების გამაძლიერებელი და მათ მიერვე მართული პირველი მასშტაბური წარმატებული წამოწყება იყო. დიზაინის სკოლები სრულად ეხმიანებოდა ქალთა ინტერესებს, რადგან აერთიანებდა სახლის დეკორირიებისა და კარიერული შესაძლებლობების გაფართოების იდეას და, ამდენად, სარა პიტერის დიზაინის სკოლის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ამერიკაში ქალთა ფილანტროპიის მკვლევარი ქეთლინ მაქართი თავის მონოგრაფიაში წერს, რომ, სარა უორთინგტონ ქინგ პიტერისგან განსხვავებით, ქენდის უილერი ამ როლისთვის შეუფერებელი იყო. უილერი ღრმად რელიგიურ ოჯახში დაიბადა და საკმაოდ მკაცრ პირობებში იზრდებოდა [McCarthy, 1991:38]. მოგვიანებით, როდესაც უილერი ამ პერიოდს თავის მოგონებებში აღწერდა, აღნიშნავდა, რომ იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, რომ მისი შვილიშვილები შესაძლოა, უბრალო ფერმაში მხოლოდ რელიგიური ლიტერატურით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკის კედლებში გაზრდილიყვნენ. [Wheeler,1918: 49]

ასეთი ტრადიციების მქონე ოჯახიდან გამოსული ქენდის თერბერი განათლებული ნიუიორკელი ინჟინრის, თომას უილერის, მეუღლე გახდა და მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. უილერმა ახალგაზრდა მეუღლე ნიუ იორკის კულტურულ ცხოვრებას აზიარა.

ამავე პერიოდში ქენდის უილერი აქტიურად ერთვება სანიტარული კომისიის[3] საქმიანობაში.

1877 წელს ქენდის უილერმა და მისმა რამდენიმე თანამოაზრემ დააარსეს ნიუ იორკის დეკორატიული ხელოვნების საზოგადოება (the New York Society of Decorative Art NYSDA), რომელიც სამხრეთ ქენზინგთონის მუზეუმში[4] ნანახი ხელნაკეთი ნიმუშებითა და ინგლისში მსგავსი წამოწყების წარმატებით იყო შთაგონებული. წინამორბედი დაწესებულებების მსგავსად, უილერის საზოგადოება ქველმოქმედებისა და ხელოვნების ნაზავი იყო. მის მიზანს წარმოადგენდა ხელსაქმის ხარისხის ამაღლება და ხელოვნების დონემდე აყვანა. ორგანიზაციას ამ მიზნების განხორციელების კონკრეტული გეგმაც ჰქონდა შემუშავებული: ქარგვის, ჭრა-კერვისა და სხვა სახის ხელსაქმის კურსების დაფინანსება, ქალთა მიერ შექმნილი მაღალხარისხიანი ნაწარმის მარკეტინგი და ამ საქმიანობის პოპულარიზება გამოფენების, ლექციებისა და მოძრავი ბიბლიოთეკების განვითარების გზით.

ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ქალბატონებს ერთი იდეა აერთიანებდათ: დეკორატიული ხელოვნების განვითარების გზით ქალთა კარიერული შესაძლებლობებისა და კულტურის სფეროში გავლენის გაფართოვება. 1870-1890-იან წლებში დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა არნახული პოპულარობა მოიპოვა მთელ ამერიკაში. განათლებისადმი ინტერესის ზრდა, გემოვნების დონის მასობრივად ამაღლების საჭიროება და სურვილი კიდევ ერთი მიზეზი იყო, რომელმაც ამ საზოგადოებების ასეთ პოპულარობას შეუწყო ხელი.

დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა მთელი რიგი დადებითი ცვლილებები მოიტანა: ა) ქალთა საქმიანობისა და ინტერესების არეალი გასცდა სახლის, რელიგიისა და მხოლოდ ქველმოქმედების საზღვრებს. ბ) ამ ორგანიზაციების მეშვეობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების საქმიანობა აღარ ეწინააღმდეგებოდა არსებულ ნორმებს და, ამდენად, გაკიცხვის საგანიც აღარ იყო. გ) დეკორატიული ხელოვნების საზოგადოებებმა ახალი შესაძლებლობები შეუქმნა ქალებს და, როგორც თვითონ უილერი ამბობდა, ეს მოძრაობა ახალ რეალობაში გადასვლას ჰგავდა და ჯერ კიდევ არსებული შეზღუდვების მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ მოძრაობამ ახალი შესაძლებლობებისაკენ მიმავალი კარი გაუხსნა ქალებს. თუმცა ეს კარი მხოლოდ შეღებული იყო, მაგრამ ეს მაინც უკვე გასასვლელი იყო. [Wheeler, 1918: 215.]

საქართველოში, დაახლოებით, იმავე პერიოდში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ქალები აქტიურად გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე, რაც იმდროინდელი საზოგადოებრივი საჭიროებებით აიხსნება. ეროვნული ჩაგვრისა და მძიმე პოლიტიკური სიტუაციის პირობებში ქვეყანაში ერთსულოვნება და ერთიანი ფრონტით ბრძოლა ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. აკაკი წერეთელი საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა, როდესაც“დროებაში“ წერდა:

„ ადრევე მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ დედათა სქესი ისე მაღალ წერტილზე ბევრგან არ მდგარა, როგორც ჩვენში. მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არა მწამს საზოგადოების გამოფხიზლება მაშინ, როდესაც ქალებს სძინავთ“ [ჩიხლაძე, 1876:5].

ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932), ადრეული ბავშვობიდან ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და პოეტების თავყრილობის მოწმე იყო. ამ გარემოებამ, მამის, მიხეილ თუმანიშვილის (აგრეთვე ცნობილი მოღვაწის), მდიდარმა

ბიბლიოთეკამ და სწავლისადმი სწრაფვამ ანასტასიას ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ანასტასიას აინტერესებდა უცხო ენები (გერმანული, ფრანგული), მუსიკა და იმ დროის მოწინავე პედაგოგიური იდეები. 1876 წელს იგი შვეიცარიაში გაემგზავრა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის საკითხების შესასწავლად. ოთხი თვის შემდეგ სამშობლოში შემართებით და იდეებით აღსავსე დაბრუნდა. ამერიკელი მოღვაწეების მსგავსად ქართველებსაც სრულად გაცნობიერებული ჰქონდათ იმის საჭიროება, რასაც აკეთებდნენ. ეს მათი პირადი წერილებითა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერებით დასტურდება. ანასტასია წერეთლის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ:

"ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების მიზანი: მუშაობა, განუწყვეტლივ მუშაობა ჩემი ხალხისთვის" [ღვინიაშვილი,1959:7].

ანასტასია თუმანიშვილი თანამშრომლობდა კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან, იქნებოდა ეს ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალთა სკოლის ორგანიზაცია თუ ლიტერატურული საქმიანობა.

1872 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა ქალთა წრე, რომლის წევრები კეკე მესხი, ელენე ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ და საერთო სათაურით *"თარგმანნი საამურთა საკითხავთა თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისაგან"* გამოსცემდნენ თავიანთ თარგმანებს. მოთხრობები და სტატიები საგანგებოდ ირჩეოდა და შემეცნებით-პატრიოტული ხასიათისა იყო. უცხოური ლიტერატურის ნიმუშების ფართო მასებისთვის გაცნობა საქართველოს გზას უკვალავდა ერთიანი კულტურული სივრცისკენ. ეს ღირშესანიშნავი მცდელობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. „დროების" რედაქტორი, სერგეი მესხი, ამის შესახებ წერდა:

„ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლინებაა. ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველი ქალებისაგან. როგორი სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობდნენ, ჰკიდებდნენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც უეჭველია საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ექნეს. როგორ არ უნდა გვიხაროდეს ჩვენ, როდესაც ჩვენში ჩნდებიან ისეთი ქალები, რომელნიც მარტო მეჯლისებში და ლოტოს თამაშში არ ეძებენ დროის გატარების საშუალებას და სიამოვნებას" [ჩიხლაძე 1976:131].

1884 წელს ანასტასიას ინიციატივით ჩამოყალიბდა მასწავლებელთა და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელიც დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. მათი თაოსნობით ეწყობოდა სახალხო ლექციები, საკვირაო სკოლები, საქველმოქმედო საღამოები და ასევე გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა.

ამავე პერიოდში ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით სოფელ ხელთუბანში იხსნება სკოლა და მასთან არსებული ობოლთა თავშესაფარი.

ამ წამოწყებათა დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ანასტასია თუმანიშვილის საქმიანობის გვირგვინად ითვლება საბავშვო ჟურნალ "ჯეჯილის" დაარსება. ამ გზაზე ბევრი სირთულე იქნა გადასალახავი ცენზურის, უსახსრობისა და ჟურნალის დახურვის მუდმივი საფრთხის სახით და, ამის მიუხედავად, 1890 წელს დაწყებულ სარედაქციო საქმიანობას ის

30 წლის განმავლობაში წარმატებით ეწეოდა. საზოგადოებრივი მოთხოვნა და ინტერესი ამ მოვლენის მიმართ დიდი იყო, რისი დასტურიც 1890 წლის 31 დეკემბერს გაზეთ "ივერიაში" ილია ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული შეფასებაა:

"სასიამოვნო ამბავი უნდა ვახარო ჩვენს მკითხველს: დღეს დაურიგდათ ხელ-მომწერთ პირველი ნომერი საყმაწვილო ჟურნალის "ჯეჯილისა", რომელიც ამის შემდგომ ყოველ ორ თვეში გამოვა ქ. ან. თუმანიშვილი რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის. არც გული და ჭკუა არის დავიწყებული. ერთისა და მეორესათვისაც სამკალია საკმაო შიგ. "ჯეჯილი"-ს რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდი თაობისთვის . . . დიდი სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა, და უნდა ვთქვათ, გულით და სულით ვისიამოვნეთ". [ღვინიაშვილი, 1959:10]

მოზარდების ლიტერატურით დაინტერესება, სხვა ხალხების კულტურის და წეს-ჩვეულებების გაცნობა, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, ახალგაზრდა მწერლების და პოეტების, მათ შორის ქალი-მწერლების, წახალისება - ეს იმ ღირსებათა არასრული სიაა, რომლებიც "ჯეჯილს" ჰქონდა.

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი (1854-1928) ფუფუნებაში აღიზარდა, ფართო განათლება მიიღო და გამორჩეულ გარემოში ტრიალებდა ჯერ მშობლების, შემდეგ ქმრის, სერგეი მესხის, ოჯახში. ოჯახის ხელშეწყობით მან 19 წლის ასაკში შვეიცარიაში დაამთავრა გიმნაზია და შემდეგ მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. იმ დროის ქართულ საზოგადოებას ქალის განათლების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა და, უფრო მეტიც, ამ პროცესის წახალისებასაც ცდილობდა. ეკატერინეს საქმრო, სერგეი მესხი, სიხარულით შეხვდა თავისი საცოლის შვეიცარიაში გამგზავრებას და აი, რას წერდა მას:

"ოთხი წელიწადი მოითმინე, მოიგონე ის ნეტარი დრო და იფიქრე იმ მომავალ დროზე, როდესაც შენ აქ კურს დასრულებული და მომზადებული ჩვენში სამუშაოდ ჩამოხვლ და ჩვენ ერთად შევუდგებით ჩვენს სამშობლოში იმ საქმეებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მიზნად და მანუგეშებლად უნდა მიგვაჩნდეს." [ღვინიაშვილი, 1959:144]

ციურიხში გატარებული წლები ნაყოფიერი იყო კეკესთვის. იგი დაეუფლა გერმანულ და ფრანგულ ენებს, გაეცნო იმ დროის მოწინავე იდეებს, აქტიურად ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და პარალელურად დიდი მონდომებით სწავლობდა მედიცინას.

კეკე მთარგმნელობით საქმიანობას უცხოეთში გამგზავრებამდეც ეწეოდა და სამშობლოში დაბრუნებისას კვლავ გააგრძელა იგი. მან, ანასტასია წერეთლის მიერ შექმნილ წრეში გაერთიანებულმა, სხვა მრავალ ნაწარმოებთან ერთად თარგმნა *"მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები"*, რაც ერთობ საყურადღებოა. მის მიერ შერჩეული სათარგმნი ნაწარმოებები სოციალური სიმძაფრითა და აქტუალობით გამოირჩეოდა. დიდია, ასევე, მისი როლი საბავშვო ლიტერატურის მაღალხარისხიანი თარგმანებით გამდიდრებაში.

ეკატერინე გაბაშვილი (1851 -1938) ქენდის უილერის მსგავსად წინააღმდეგობრივი სოციალური გარემოდან მოხვდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ადრე დაობლებული გოგონა ბებიამ გაზარდა, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ქალთა ფართო განათლებას და უნდოდა ეკატერინესთვის მხოლოდ წერა–კითხვა და დიასახლისობა ესწავლებინა. მამის დაჟინებული მოთხოვნით, მან ცნობილ პანსიონში მიიღო საშუალო განათლება, მაგრამ უსახსრობისა და საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის საჭირო შესაძლებლობის უქონლობის

გამო უმაღლესი განათლება ვერ მიიღო. ამის მიუხედავად, ეკატერინე თვითგანათლებას ეწეოდა. გაეცნო რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, სოციოლოგიას. 17 წლისამ მასწავლებლობა დაიწყო – ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა–კითხვას. 1895 წელს თბილისში თავის სახლში მოაწყო ქალთა ხელსაქმის (ჭრა–კერვის) ხუთწლიანი სკოლა, რომელსაც 15 წელი ხელმძღვანელობდა. სკოლა საქველმოქმედო შეწირულობით არსებობდა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც სთავაზობდა მსმენელებს.

ეკატერინე გაბაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი და რთული ლიტერატურული ჟანრის - ნოველის - დამკვიდრება ქართულ მწერლობაში.

ეკატერინე გაბაშვილს 11 შვილი ჰყავდა, რომელთა აღზრდას ის შესანიშნავად ართმევდა თავს. ქმრის ოჯახში ალმაცერად უყურებდნენ ქალის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დასაძრახად და სამარცხვინოდ მიაჩნდათ ქალის მწერლობა, მაგრამ ეკატერინე ვერ ურიგდებოდა ოჯახურ ტყვეობას და, მიუხედავად ამდენი სიძნელისა, ახალბედა მწერალს არც კი უფიქრია თავისი საქმიანობის მიტოვება.

„მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გაუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას“, წერდა იგი. [http://www.pencenter.ge: 20.03.2013]

სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ეკატერინე გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ბიბლიოთეკების დაარსება-შევსების საქმეშიც. თაანამოაზრეებთან ერთად მან შეაგროვა საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა და მოკლე ხანში მოახერხა პირველი სამკითხველოს გახსნა, მოგვიანებით კი ბიბლიოთეკები დააარსეს ქალაქის სხვა უბნებშიც, მაგრამ ამ წამოწყებას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერ გადაიხადა ბინის ქირა და ამდენი წვალებით შეგროვილი წიგნები სახლის პატრონმა ქუჩაში გამოყარა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენა მის ცხოვრებაში.

1890-იან წლებში ქალთა ვიწრო წრეში წამოიჭრა პირველი ქართული ქალთა სკოლის დაარსების საკითხი, რომელიც ე. გაბაშვილის სახლში სკოლის გახსნით დაგვირგვინდა.

მე-19 საუკუნის ამერიკელი და ქართველი ქალბატონების საქველმოქმედო მოღვაწეობის, ერთი შეხედვით, ნაკლებად შესამჩნევი შეხების წერტილი, უპირველესად, ალბათ, ევროპული ტრადიციებისა და ფასეულობებისკენ სწრაფვა და ევროპული გამოცდილების ათვისების სურვილი იყო.

გარდა ამისა, როგორც ამერიკაში, ისე საქართველოში, ქველმოქმედი მანდილოსნებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ქალებისთვის სამუშაო ადგილების მოძიება და, შესაბამისად, საზოგადოებრივად აქტიური ადამიანების სტატუსის დამკვიდრება. მათი ძალისხმევა ემსახურებოდა იმ დროისთვის მათ სამშობლოში არსებული მძაფრი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას: ამერიკაში ეს იყო სამოქალაქო ომის მონაწილეთა ქვრივთა და საშუალო კლასის ქალების ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გემოვნების დახვეწა, განათლების შესაძლებლობების გაფართოება და სხვა. საქართველოს მოთხოვნილებები კი მეტწილად ეროვნულ ინტერესებთან იყო მჭიდრო კავშირში და აქედან გამომდინარე, ხსენებულ მოღვაწეთა ძალისხმევა უპირატესად წერა-კითხვის გავრცელებაზე, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აღდგენასა და ფართო მასების განათლებაზე იყო ორიენტირებული.

ამერიკაშიც და საქართველოშიც ქველმოქმედების განვითარების ამ საერთო ხაზის გვერდით არსებობს პრინციპული განსხვავებებიც, რომელთაგან გამოვყოფდი ორ ძირითადს. საქართველოში, ამერიკისგან განსხვავებით, ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის ინსტიტუციონალიზაცია. ჩვენში ეს პროცესი თანამოაზრეთა ერთობისა და ქალთა წრეების ფარგლებს ვერ გასცდა. ამერიკაში ამ მიმართულების მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ მონტ ვერნონის ქალთა ასოციაცია (the Mont Vernon Ladies' Association), რომელიც თავისი მასშტაბურობითა და სახელმწიფოებრივი ხედვით გამოირჩეოდა. 1853 წელს შექმნილ ამ ორგანიზაციაში ოცდაათივე შტატის წარმომადგენელი ქალბატონი იყო წარმოდგენილი და მათ მიზანს ჯორჯ ვაშინგტონის სახლისა და იდეების შენარჩუნება წარმოადგენდა. ყურადსაღებია, რომ ეს ორგანიზაცია დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს.

მეორე განსხვავება ისაა, რომ ამერიკაში ქველმოქმედებით დაწყებული მოძრაობის ერთ-ერთი განშტოება დეკორატიული ხელოვნების განვითარების გზით წავიდა და არა მხოლოდ ქალთა კარიერული შესაძლებლობების გაზრდას, არამედ კულტურის სფეროში მათი გავლენის გაფართოებას ემსახურებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ნიუ იორკში ოთხი უმნიშვნელოვანესი მუზეუმი[5] ქალების დაარსებული იყო და ეს სამუზეუმო ბუმი სხვა დიდ ქალაქებსა და მთელ ამერიკას მოედო.

საქართველოში ქალთა ქველმოქმედების განვითარების პროცესი, რომელიც ზოგადი დასავლური ტენდენციების კონტექსტში ვითარდებოდა, გასაბჭოებასთან ერთად შეწყდა. ამასთანავე ღრმა ტრადიციების არსებობა იმედს გვიტოვებს, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური ნორმალიზაცია მეტ სტიმულს მისცემს ქართველი ქალის ბუნებაში არსებულ მოთხოვნილებას, დახმარების ხელი გაუწოდოს თანამოქალაქეს, იბრძოლოს თვითრეალიზაციისათვის და მოახდინოს საკუთარი გარემოს ესთეტიზაცია.

---

[1] ნაწარმოები აღწერს სამხრეთის და ჩრდილოეთის ცხოვრების წესს და მიმოიხილავს მონობის საკითხებს.

[2] ბანკერ ჰილის მემორიალი (Bunker Hill Monument) 1827-1834 წლებში აღიმართა მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ ჩარლზთაუნში. ის 1775 წელს ბრიტანეთის არმიასა და კოლონიალურ ჯარებს შორის გამართულ ბრძოლას ეძღვნება.

[3] Sanitary Commission - 1861 წელს შექმნილი კერძო ორგანიზაცია, რომელიც სამოქალაქო ომის დროს დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს თანადგომას უცხადებდა და დახმარებას უწევდა. ეს ორგანიზაცია ჩრდილოეთში ფუნქციონირებდა, თანხებს თავად მოიპოვებდა და მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული.

[4] South Kensington Museum - დღეს ვიქტორია და ალბერტის მუზეუმის (Victoria and Albert Museum V&A) სახელით ცნობილი მუზეუმი 1852 წელს დაარსდა და დეკორატიული ხელოვნებისა და დიზაინის უდიდეს კოლექციას წარმოადგენს.

[5] ქუფერ-ჰიუიტის დიზაინის ეროვნული მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ამერიკული ხელოვნების უითნის მუზეუმი და გუგენჰაიმის მუზეუმი.

ლიტერატურა

1. ღვინიაშვილი ა. ქართული საბავშვო ლიტერატურეს მოამაგენი. - თბილისი, 1959
2. ჩიხლაძე ნ. ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები. - თბილისი, 1976
3. McCarthy K. Women's Culture: American Philanthropy and Art 1830-1930. - The University of Chicago Press, 1991
4. Wheeler C. Yesterdays in a Busy Life, New York: Harper and Bros, 1918
5. Web-site http://www.pencenter.g

ქეთევან მირზიკაშვილი

მოსმენა-აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

ნებისმიერ კულტურულ სივრცეში ადამიანისთვის მნიშვნელოვანია სმენითი აღქმა-შემეცნება და მისი გააზრება თუნდაც შესაბამის ტერმინოლოგიას რომ არ იყენებდეს. თუმცა თავად სპეციალური ტერმინების არსებობა ენაში ამა თუ იმ საზოგადოების გაცნობიერებულ, რეალურ მიდგომას გამოხატავს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ყველა ადამიანი აღიქვამს და შეიმეცნებს გარემომცველ სამყაროს, მთავარია განისაზღვროს, რამდენად შეგნებულია ეს პროცესი, რაც, ჩვენი აზრით, ენასა და ცნების გამომხატველ სიტყვებში (სანამ ტერმინებად ჩამოყალიბდება) ნათლად უნდა ჩანდეს.

ყველა ენაში აღქმა-შემეცნება გაჩნდებოდა მოგვიანებით, მაგრამ გაგებისა და მოსმენის ცნებები და მათი სემანტიკური არეალი ენის ჩასახვისთანავე უნდა არსებულყო, ვინაიდან მოსმენა-გაგება უნივერსალური მოვლენაა როგორც საზოგადოდ, ისე ენობრივი თვალსაზრისით. თითოეულ ცოცხალ არსებას ან ესმის, ან არ ესმის, მაგრამ რა როგორ ესმის, ეს უკვე სუბიექტურია და მეორე საფეხურზე გადავყავართ. მოსმენა არ ნიშნავს გაგებას და მით უმეტეს აღქმა-შემეცნებას, ანუ აღქმა-შემეცნება ენობრივ დონეზე შეიძლება სულაც არ იყოს უნივერსალური, რაც სათანადო შემოწმებას მოითხოვს.

ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ადამიანი იოლად ინახავს საჭირო ინფორმაციას ვერბალური ფორმით და სიტყვების საშუალებით გადალახავს დროით მანძილს... ის, რაც ჩვენ გვახსოვს, ხშირად ფაქტებს მთელი სიზუსტით არ ემთხვევა სწორედ იმიტომ, რომ მეხსიერება ვერბალური ფორმით ინახავს ინფორმაციას, სიტყვები კი მოვლენას ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს [გამყრელიძე..., 2003:485]

ჩვენ ვიცით, რომ ენა სინამდვილის ფოტოგრაფია ან ასლი არ არის. უფრო სწორედ, ყოველი ენა სხვადასხვაგვარი „გადაღებაა“ სინამდვილისა და, ამდენად, არც ერთ ენაში არ არის განხორციელებული იდეალი სამყაროს ადეკვატური აღქმისა.

სხვაგვარად, ყველა ენას თავისი ლოგიკა აქვს, ყველა მათგანი სწორია, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად გასხვავებული, თუმცა ლოგიკას დამორჩილებული და ჭეშმარიტების ამსახველი. არა მხოლოდ ენას შეუძლია გამოხატოს ლოგიკა, არამედ ლოგიკურშიც დაიძებნება ენობრივი ასპექტი, რადგან ენა აზროვნების იარაღია.

თუ მიზან-ინტენციის ცნებასაც შემოვიტანთ, მაშინ უნვერსალურ სტრუქტურაზე კი აღარ ვილაპარაკებთ, არამედ უნივერსალურ ამოცანა-მიზანზე, რაც ყოველი ენის წინაშე დგას და რაც წყდება მხოლოდ სტრუქტურული ანალიზის გზით.

ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს უნივერსალიები და უნივერსალური მიდგომა. უნივერსალური პირობები მეტყველების პროცესისა ფსიქოლოგმა შეიძლება დაადგინოს, ყოველ შემთხვევაში, ეძიოს, მაგრამ მოგებული დარჩება, თუ ენობრივ მოტივაციას გაითვალისწინებს. გამოყენების სხვადასხვაობა ფრიად თვალში საცემი ფაქტია, ეს ნათლად ჩანს უცხო ენის ათვისებისას, როცა გაუცნობიერებლად ვადარებთ დედაენას და ბევრი რამ სწორედ ამიტომ გვიკვირს [რამიშვილი, 1995:69-70].

ნებისმიერი სიტყვის მნიშვნელობის ძებნისას თუ დადგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია გარეფაქტორები, რაც ვლინდება ფრაზეოლოგების შესწავლით და ადამიანთა ქცევისა და აზროვნების მცირე ფსიქოლოგიური ანალიზით

აქვე არ უნდა დავივიწყოთ შედარება ცნებებს შორის, რადგან შეიძლება სხვადასხვა ენაში გარკვეული ცნება განსხვავებულ არეალს მოიცავდეს და მეორე ენის მონაცემებს ზუსტი სემანტიკური გაგებით არ ემთხვეოდეს. დამთხვევა გარანტირებულია უნივერსალური კატეგორიების აღმნიშვნელ სიტყვებსა და საერთაშორისო ან სამეცნიერო ტერმინებში. ჩვეულებრივ მეტყველებაში სრული დამთხვევა გამორიცხულია.

ყველაზე რთულია დავაკვირდეთ კომუნიკაციის ან ინფორმაციის მიღება-გადამუშავების პროცესს, რომელიც ყოველდღიურად, ყოველწამიერად ხორციელდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უამრავი კვლევაა ჩატარებული, მაგრამ ბევრი საკითხი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს.

სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებულად იკვლევს აღნიშნულ პრობლემებს, მაგრამ ლინგვისტისთვის მაინც გადამწყვეტია ის, თუ მოცემული ცნება რას ნიშნავს ამა თუ იმ ენაში, რას გულისხმობს თავის თავში, რას გამოხატავს და როგორ მიემართება სხვა სიტყვებს. რამდენად ემთხვევა მიღებული სურათი მეორე ენის მსგავს სურათს. რას ნიშნავს მსგავსი და ხომ არ უნდა ვუწოდოთ მას *განსხვავებული*. აქ ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური დამოკიდებულება ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ ლინგვისტიკისთვის ეს არ არის გადამწყვეტი.

მეცნიერული ცოდნა კარგავს თავის აზრს, როგორც კი საკითხი წამოიჭრება, თუ რას `ნიშნავს~ ესა თუ ის სიტყვა, მით უმეტეს, თუ ამ სიტყვაში ჩვენ ვუკვირდებით იმას, თუ `ადამიანები რას გულისხმობენ~ მისი გამოყენებისას [Вежбицка, 1993: 187-189].

შემეცნება ობიექტური რეალობის ადეკვატური ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში (იგი არის გრძნობადი და რაციონალური).

ფსიქოლოგიაში შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემაა იმ ზოგადი წანამძღვრების გამოკვლევა, რომლებიც ობიექტური ცოდნის შესაძლებლობას განსაზღვრავენ. რას ნიშნავს ცოდნის ობიექტუროობა და რა პირობებშია იგი შესაძლებელი? საკითხის გნოსეოლოგიური მხარე ასეთია: ადამიანის ცნობიერებას შეუძლია სამყაროს შემეცნება. შემეცნების თეორია უნდა განვასხვავოთ ონტოლოგიისგან და შემეცნების ფსიქოლოგიისგან, რომელიც იკვლევს შემეცნების პროცესისა და შემეცნებითი აქტების მიმდინარეობას ინდივიდის ცნობიერებაში და არ ეხება ამ აქტების შინაარსის სინამდვილესთან მიმართების, ე.ი. მისი ჭეშმარიტება-მცდარობის საკითხს. თავად შემეცნების თეორია იკვლევს შინაარსს ჭეშმარიტება-მცდარობის, ანუ ობიექტთან მიმართების, თვალსაზრისით [Вежбицка, 1996: 237-239].

ის სიტყვები, რომლებიც ახლა უნდა განვიხილოთ, სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობით შეგვხვდეს, ასევე გასათვალისწინებელია ქართულში ზმნისწინის ე.წ. მეოთხე ფუნქცია, რომლის მიხედვითაც სიტყვას მნიშვნელობა ეცვლება. ჩვენთვის საინტერესო ცნებებს კი დიდი ისტორია, ღრმა შინაარსი და, შესაბამისად, მრავალი ინტერპრეტაცია შეიძლება აღმოაჩნდეთ. აღქმისა და შეცნობის მნიშვნელობის გამოყოფა, ჩვენი აზრით, მათში მთავარია, მაგრამ ცალ-ცალკე გაგვიჭირდებოდა სემანტიკური ველის გამიჯვნა ან შეფასება, ამიტომ გადავწყვიტეთ, რამდენიმე სიტყვა ერთად გაგვეხილა. ეს იმანაც განაპირობა, რომ განმარტებით ლექსიკონში ისინი თითქმის ერთმანეთითაა განმარტებული, რაც ჩვენს საქმეს კი არ აიოლებს, პირიქით, ართულებს. ეს სიტყვებია: გაგება, შეგნება, შეცნობა;

გაგება _ 1. გაიგებს _ გონებით ჩასწვდება რასმე, _ გაიაზრებს, შეიგნებს, მიხვდება. ბ) შეიტყობს, გ) იგივეა, რაც გაიგონებს. 2. თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია. მეცნიერული გაგება, ისტორიის მატერიალისტური გაგება.

შეიგნებს _ რაიმეს შინაარსს, არსს ჩასწვდება, _ შიეცნობს, შეითვისებს, მიხვდება (შეგნება, შეგნებული, შეუგნებელი) [ქართული... 1985:76], [ნეიმანი 1961:71].

შეიცნობს _ გაიგებს, ჩასწვდება საგნის, მოვლენის არსს, ბუნებას; ***ცან-/ცნ-** ძირი ქართულში მრავალი ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი: ცნ-ობ-ა, მე-ცნ-იერ-ი, ცნ-ობ-ილ-ი... ეს სიტყვები სხვადასხვა დროს რამდენადმე იცვლიდნენ მნიშვნელობებს, მაგრამ ყოველთვის პროდუქტიულნი იყვნენ... მეგრულსა და ლაზურში ამ ძირს **ჩინ-** შეესაბამება და `ცოდნას, გაგებას~ ნიშნავს, ხოლო ლაზურში ამას `ცნობის~ გაგებაც ემატება. განვიხილოთ დანარჩენი სიტყვებიც: *გაერკვევა* (მოვლენის არსში, რაობაში), 2. იგივეა, რაც იცნობს (შეიცნობა, შეცნობა, შეცნობილი, შესაცნობი, შეუცნობელი) [ქართული... 1985:500]. როგორც აღვნიშნეთ, აქ თვალში გვხვდება იდენტური განმარტებანი. ამ ეტაპზე ეს სიტყვები განზოგადებული მნიშვნელობით ერთ რამეს აღნიშნავენ, ხოლო გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთსაც ჩაენაცვლებიან. გაგება ზმნას **-გ-** ძირი აქვს, რომელთანაც უამრავი მნიშვნელობის სიტყვაა დაკავშირებული (ა-გ-ებ-ა, მო-გ-ებ-ა, მი-გ-ებ-ა, წა-გ-ებ-ა, და-გ-ებ-ა, ჩა-გ-ებ-ა, ჰ-გ-იე-ს _ `არის, არსებობს~ და სხვა) [ფენრიხი..., 2000:129-130]. ეს ძირი ასევე მეტად მრავალმნიშვნელოვანია მეგრულსა და ლაზურში, სვანურშიც მოეძებნება ორიოდე მნიშვნელობა და ყველგან არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი ერთმანეთთან კავშირი უდავოა, უკვე ქართულ-ზანური ერთობისათვის ეს ძირი -ებ თემის ნიშნით განივრცო. ვერ დავიჩემებთ, არცაა მოსალოდნელი და არც დასტურდება, რომ ამ ძირს თავიდანვე ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში *ჯერ-გაგება-შეძენა-მოსმენა* შეითვისა და მერე უკვე ღრმა *გააზრებაც* იტვირთა. დღეს კი მისი მნიშვნელობებიდან *ჯერ აღქმა*დგას და მერე _ *შეტყობა-გაგონება*, სულ ბოლოს კი *თვალსაზრისს, ინტერპრეტაციას* ნიშნავს, რაც უშუალოდ *აღქმადობას*უკავშირდება, ოღონდ უფრო განზოგადებული მნიშვნელობით, სადაც საზოგადოებაში აღიარებულ სხვადასხვა თვალსაზრისზე, ამა თუ იმ საკითხის თავისებურ აღქმაზეა საუბარი. საბასთან მას ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ გააჩნია, იგი `გარიგებას, გინა გამოცნობას~ ნიშნავს [ორბელიანი, 1966:126]; გამოცნობა სწორ გაგებას ნიშნავს, მაგრამ ორაზროვნებას მოკლებული არ არის. საინტერესოა, რომ ამ ფუძეს კაუზატიური წარმოების მეშვეობით ორმაგი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს (*გაიგო _ გააგებინა*).

შეგნებაც იდენტური ღირებულებისაა განზოგადებული თვალსაზრისით, მათ შორის კონტექსტური ჩანაცვლება ზოგჯერ შესაძლებელია, ზოგჯერ _ არა. ისტორიულად კი ეს ძირი ***გან-/გენ-/გნ-** ფორმით აღდგება [ფენრიხი..., 2000:135]. ქართულში იგი სახელებშიც გვხვდება და ზმნაშიც: გან-ი; სა-გან-ი; შე-ვ-ი-გენ; შე-გნ-ებ-ა... მეგრულშიც წამყვანი სწორედ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობაა: გინ-/გ ნ- ვ-ი-გინ-ენ-ქ `ვიგებ, ვცნობ~... ლაზურშიც დასტურდება შესატყვისობა: გნ-, ო-გნ-უ `მიხვედრა~, ო-გნ-აფ-უ `გაგონება; გაგება; ცოდნის მიღება; გრძნობა; შენიშვნა~. სვანური ეკვივალენტი ჯერჯერობით არაა გამოვლენილი [ფენრიხი..., 2000:135]; თუმცა ამ ძირს იმდენი ღირებული მნიშვნელობა უკავშირდება, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია მისი იქ არარსებობა. სულხან-საბასთან ***შეიგნებს*** განმარტებულია `შეიცნობს, შეითვისებს~ ფორმებით და მითითებულია `ცნობიერება, გაცნობიერებული~, რაც აბსოლუტურად პასუხობს ამ ცნებათა დღევანდელ გაგებას. აღსანიშნავია, რომ საბას ეპოქაში ყველა აქ მოყვანილი სიტყვა აღქმადობის მნიშვნელობის გარკვეულ პოტენციას შეიცავდა, მაგრამ მხოლოდ ეს სიტყვა გამოხატავდა ყველაზე ზუსტად *აღმას*, რასაც ცნობიერებასთანაც აკავშირებდნენ (ძირი ერთი აქვთ). *გაცნობიერებულის* სინონიმებად ჩაითვლება *გააზრებული, შეგნებული;* ***ცნობიერება*** შემდეგნაირადაა განმარტებული 1. ადამიანის ტვინის უნარი _ ასახოს სინამდვილე და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება გარესამყაროსთან. 2. გონება [ქართული... 1985:539].

საინტერესოა, რომ ძველ ქართულში ამ ცნების აღმნიშვნელი სულ სხვა ძირი იყო, რომელსაც ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც ვხვდებით, ეს არის ***რჩ-** ძირი, რომელიც

შემდეგნაირად რეალიზდებოდა: ვ-ე-რჩ-ი `ვუჯერებ~, მო-რჩ-ილ-ი `დამჯერე~. ეს სიტყვები დღესაც აქტიურად გამოიყენება, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით (ვერჩი _ ვმტროობ, გადავეკიდე; მორჩილი _ დამჯერი, კანონის მორჩილი). მეგრულში ამ ძირის შესატყვისი (**რჩქ-**) მოსმენას გამოხატავს: რჩქ-ილ-ა `მოსმენა~, მა-რჩქ-ილ-ე `მსმენელი~, ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ძირი, რომელშიც სემანტიკური გადაწევა მოხდა დროთა განმავლობაში, თავის დროზე *მოსმენას* ნიშნავდა, ხოლო ქართულში დაჯერების, ანუ გარკვეულწილად *შესმენის* მნიშვნელობაც შეიძინა. მართალია, ეს ძირი დღეს სხვა მნიშვნელობით განაგრძობს არსებობას, მაგრამ ოდითგანვე არსებული ***სემ-/სმ-*** ძირი კვლავ იდენტური გაგებისაა და ოთხივე ქართველურ ენაში *მოსმენის, გაგონების* მნიშვნელობით რეალიზდება [ფენრიხი...,2000:390,398].

ერთმანეთისგან, რასაკვირველია, უნდა გაიმიჯნოს ***მოსმენა*** და ***შესმენა***, რადგან პირველი არ გულისხმობს აუცილებლად აღქმას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში არც გამორიცხავს, მეორე კი მხოლოდ აღქმას ნიშნავს; მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. შეგნება, გაგება, მიხვედრა, 2. შეწყნარება, მიღება [ქართული... 1985:494]. სულხან-საბა ამ ფორმას სხვაგვარად განმარტავს, როგორც ჩანს, მისი ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით გამიჯვნა გვიან მოხდა მეცნიერების საჭიროების გამო. ძველად ეს სიტყვა დაბეზღებას ნიშნავდა. მაგრამ საბას ***მოსმენა*** სიტყვასთან შეგრძნებათა შესახებ მეტად საინტერესო ცნობები აქვს მოცემული: `ვნახოთ საგრძნობელი _ ასონი, რომელთა მიერ ვიგრძნობთ, არიან ხუთ და გრძნობანიცა ხუთ: ... მეორე სასმენელიცა მგრძნობელი ბგერათა და Ãმათა, რამეთუ შეტყვებით განარჩევს სიმახვილესა და სიგვიანესა და სიდიდესა მათსა...~ [ორბელიანი, 1966]. ეს ნიშნავს, რომ შესმენა აქ არ იგულისხმება, ანუ მას არ აღიქვამენ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით. ეს კი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ამ ცნებას არც თუ ისე ფართო გაგება და გამოყენება აქვს, რადგან გაგება სწორედ გამოყენების ინტენსივობაზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილია, ენა ჩართულია ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგებაში მონაწილე ფაქტორია. ენებს შორის განსხვავება არსებობს არა მხოლოდ გამოხატულების, არამედ შინაარსის პლანშიც. მხოლოდ გამოსახულების პლანში განსხვავება ლოგიკოსებისთვის დაბრკოლებას არ წარმოდგენს, ხოლო ენათა შორის შინაარსის პლანში განსხვავებას ისინი პოლისემიად თვლიან... განსხვავებით პოლისემიისაგან ერთი ენის შიგნით, სადაც გამოყოფენ სიტყვის პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს. ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათა ეკვივალენტები სხვადასხვა ენაში არ ითვლება პოლისემიად [რამიშვილი, 1995:80-81]. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია სემანტიკური ცნებების შედარებისას სხვადასხვა ენობრივ სივრცეში. აღქმის გამომხატველი ლექსიკა (განსაკუთრებით ეს გამოჩნდება ფრაზეოლოგიზმებში) ზემოთ აღნიშნული სამყაროს აღქმის ამსახველ უნივერსალურ ლექსიკურ ფონდად მიგვაჩნია და ამ კუთხით უფრო საინტერესო გვეჩვენება მისი განხილვა.

აღქმის გამომხატველი სიტყვებიდან საინტერესოა *გაიაზრებს* _ აზრად გაივლებს, გაიფიქრებს, მოისაზრებს, [ქართული... 1985:68] აითვისებს [ნეიმანი, 1961:41]; ეს სიტყვა უშუალოდ აღნიშნავს აღქმადობის პროცესს, თუ როგორ ხდება თავის ტვინში გარკვეული ინფორმაციის შესმენა-გადააზრიანება, რის შემდეგაც იგი უკვე პიროვნების საკუთრება, მისი *აზრი* ხდება. საბასთან მეტად სახასიათოდაა განმარტებული ეს სიტყვა: „იაზრა _ აზრი ქნა“ [ორბელიანი, 1966:318]; ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, აღნიშნულ ძირს უამრავი სიტყვა უკავშირდება, მაგრამ მათ არც ერთ ქართველურ ენაში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

ხუედ-/ხუდ- ძირი უძველესია წარმოშობით, ქართულში მას უამრავი მნიშვნელობა უკავშირდება, რასაც არა მარტო ზმნისწინი განაპირობებს: ხუედრი, ჰ-ხუედ-ა, შე-ხუედრ-ა, მ-

ხუედ-ა, ჰ-ხუედ-ებ-ი-ს და ა.შ. [ფენრიხი..., 2000:697]. მას კანონზომიერი შესატყვისობები მოეძებნება ყველა ქართველურ ენაში: მეგრ. ხვად-, ვ-ხვად-ქ `ვხვდები~; მე-ბ-ხვად-ი `მივხვდი~, ლაზ. ხვად-, ო-ხად-უ `შეხვედრა~ (აქ მიხვედრის მნიშვნელობა არა აქვს), სვანურშიც მხოლოდ *შეხვედრის*გაგება აქვს. ძველ ქართულ ძეგლებში ამ სიტყვას ხშირად გამოიყენებენ, ოღონდ არა *აღქმის* მნიშვნელობით. როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ ძირს არ უნდა ჰქონოდა მიხვედრის გაგება, სულხან-საბასთან, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, მოცემულია: ხუდომა _ მიხუდება _ ჰხუდა _ ხდომა _ მიხდა _ წილთ რგება. მიხვდება _ გონებით მისწვდება რასმე, _ გაიგებს; შეიგნებს, გამოიცნობს.

ჩვენ შევეცადეთ ერთმანეთისგან გაგვემიჯნა აღქმისა და მოსმენის ვერბალური ფორმები, თუმცა მათი განცალკევება ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგან თითქმის შეუძლებელია კონტექსტით თუ კონტექსტის გარეშე მათი ცალსახად გაგება-გააზრება. აღქმა-შემეცნება ცალკე განხილვის თემაა, ხოლო ამ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად გამიჯნულად ვისაუბრეთ ***მოსმენასა და აღქმაზე***.

ადამიანთა შორის საუბარი არის არა კომუნიკაციის მარტივი აქტი, მხოლოდ ინფორმაციის უბრალო გადაცემა საგნობრივი ვითარების (სიტუაციის) შესახებ, არამედ ურთიერთგაგება, რაღაც შეთანხმება ან შეუთანხმებლობა, რაღაც შეფასება ან მსჯელობა საგანთა ვითარების შესახებ... და აი, სწორედ აქ თავს იჩენს ენა არა მხოლოდ როგორც ბგერითი გადამტანი, არამედ როგორც კოლექტიური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ანონიმური ფორმა.

თუ ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილესთან როგორც წინარე მეცნიერულ საფუძველზე, ისე ლოგიკური სტრუქტურების სრული დაუფლების პერიოდშიც, რამდენადმე გაშუამავლებულია ლინგვისტური კლასების მოქმედებით, თავისთავად გასაგებია, რომ ამ კლასების მოქმედების გამოვლენა ენათა მიხედვით, პირველ რიგში, ენათმეცნიერების საქმეა, ხოლო თუ ქცევისა და კულტურის ფორმებში ლინგვისტური ფაქტორის დადასტურება და მისი რეაქტივიზაცია ფსიქოლოგიური ექსპერიმეტითაც მოხდება, მაშინ ჰოპოთეზა მნიშვნელობათა სტრუქტურულ-ენერგეისტული ბუნების შესახებ, თეორიულად ჩვენთვის სრულიად ცხადი, ექსპერიმენტულადაც დადასტურდება [რამიშვილი, 1995:88-89].

კომუნიკაციას, მართალია, დღეს „სტიმულ-რეაქციის“ მარტივ სქემაში აღარავინ ათავსებს, მაგრამ, ფაქტობრივად, ასოციაციონისტური სქემა ბგერადობა-აზრისა მაინც განსაზღვრავს კომუნიკაციის გაგებას... კომუნიკაციაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება „გაგების“ მომენტი. „გაგება“ დამოკიდებულია სემანტიკურ წესებზეც. როგორც ჩანს, ამ წესების „ცოდნა“ წყვეტს არსებითად სათანადო ენობრივ კოლექტივში საგანთა შესახებ გაგებინების შესაძლებლობას. სემანტიკურ წესებთან არის სწორედ კავშირში სიტუაციის დანაწევრების აქტი.

შეიძლება ითქვას, რომ ვითარება უნივერსალურ ფსიქოლინგვისტურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, აღნიშნული სემანტიკის ერთი და იგივე სიტყვები ხშირად ორაზროვან მნიშვნელობას იძენენ და არა მხოლოდ მოსმენას გამოხატავენ, არამენ შემეცნებასაც და მეტყველების აღმნიშვნელი ცნებების შინაარსსაც მოიცავენ.

უნდა გაირჩეს კულტურის ფორმათმოძღვრებაში ენობრივი, როგორც ანონიმური ფაქტორი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ის ფორმები, რომლებიც „შეგნების“ მომენტს შეიცავს. ადამიანს ხვდება კულტურის ის ფორმები, რომელთა შესახებაც მან იცის, რომ ერის სულიერი კულტურის ამსახველნი და შემცველნი არიან, მაგრამ, გარდა ამისა, მას ასევე ხვდება ისეთი ფორმაც, რომლის შესახებ არ იცის, რომ ისიც თეორიული პოზიციაა სამყაროს მიმართ. ეს არის ისტორიულად აკუმულირებული ენობრივი ცოდნა, უკვე

სტრუქტურირებული და, ამდენად, უფრო ყოვლისმომცველი და „სავალდებულო“, უფრო გამძლეც, ვიდრე ცალკეულ პიროვნებათა შემოქმედებაა.

თავისთავად გასაგებია, რომ ენით შექმნილი თეორიული პოზიცია ისევე არ არის სინამდვილის მიმართ ცნობიერი პოზიცია, როგორც კოლექტიურ ინტერპრეტაციად ენის გაგება არ ნიშნავს იმას, რასაც სიტყვა „ინტერპრეტაციაში“ ვგულისხმობთ.

შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ მნიშვნელობის დადგენისას აუცილებელია განვსაზღვროთ გარემოცვა. მნიშვნელობა შედგება სიტუაციისგან, რომელშიც მოლაპარაკე წამოთქვამს ამა თუ იმ ლინგვისტურ ერთეულს და რეაქციისგან, რომელსაც ეს ერთეული იწვევს მსმენელში. სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავენ როგორც ფსიქიკურ წარმონაქმნსაც, რომელიც სინამდვილეს ასახავს, მაგრამ არარეალურსაც შეესაბამება, რომელიც მხოლოდ ადამიანის წარმოსახვაშია მოცემული. იზოლირებულად აღებული სიტყვა მიემართება არა უშუალოდ საგანს, არამედ ცნებას საგნის შესახებ. ეს მიმართება იზოლირებულ სიტყვაში პოტენციურად არსებობს და რეალიზდება მხოლოდ საკომუნიკაციო აქტში. ცალკე აღებული სიტყვა მეტყველების პროცესში ნომინაციური ფუქნციის მქონეა [კაკიტაძე, 2005:38-40]. ჩვენ განვსაზღვრეთ ზემოთ მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობა ნომინაციურად, ცნებითი და საგნობრივი მიმართებების სახით, მაგრამ ამით სიტყვების მნიშვნელობა არ ამოიწურება. მნიშვნელობაში შედის ლექსიკური მოდალობაც, რაც სიტყვის ემოციურ და სტილისტურ შეფერილობას გულისხმობს. აქ იგულისხმება მოლაპარაკის დამოკიდებულება ცნებასა და საგანთან. ხოლო სტილისტურ შეფერილობაში მკვლევრები გულისხმობენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას სამეტყველო სიტუაციასთან.

საანალიზო ლექსიკური ერთეულების ნომინაციურად განხილვა, ჩვენი აზრით, საინტერესო სურათს ქმნის ენობრივ სივრცეში, ხოლო მათი კონტექსტური გააზრება და არამონათესავე ენების აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ცნებებთან შედარება, კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის მას.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი / ზ. კიკნაძე ,ი. შადური,ნ. შენგელაია . - თბილისი, 2003
2. კაკიტაძე კ. სიტყვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში. - თბილისი, 2005
3. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. I-II. - თბილისი, 1961
4. რამიშვილი გ. ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. - თბილისი, 1995
5. ფენრიხი ჰ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი / ზ.სარჯველაძე . - თბილისი, 2000
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული / არნ. ჩიქობავას რედაქტორობით. - თბილისი, 1985
7. Вежбицка А. Обозначения цвета и универсалии зрительного восприятия - Язык. Культура. Познание. – москва, 1996.- с. 231-291
8. Вежбицка А. Семантика, культура и познание: общечеловеческие понятия в культуроспецифичных контекстахю Thesis. - Вып. 3. – москва, 1993. - с. 185-206

თამარ მელიქიძე

ბასილი კესარიელი „გარეშე სიბრძნისა“ და ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების შესახებ (ტრაქტატის „რა სარგებელი უნდა მივიღოთ ელინური ლიტერატურისგან“ მიხედვით)

ეკლესიის მამების დამოკიდებულება პრობლემისადმი, თუ რა უნდა ყოფილიყო ათვისებული წარმართული კულტურისგან და რა უარყოფილი, სხვადასხვაგვარია. ამ აზრთა სხვადასხვაობაში ყველაზე აქტუალური საკითხი ფილოსოფიასთან მიმართებაა. ფაქტია, რომ ქრისტიანული სწავლებისათვის ფილოსოფია მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავდროულად გარკვეულწილად საშიშიც. თვალი რომ გადავავლოთ წარმართული კულტურისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართების ისტორიას, ნათელი გახდება, რომ სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა წარმართულმა სამყარომ თავისი აღსასრულის ჟამს კაცობრიობას სამი საბოლოო ფილოსოფიური სინთეზი მისცა: სტოიციზმი, ეპიკურეიზმი, ოდნავ მოგვიანებით ნეოპლატონიზმი. სწორედ მათ დასაძლევად ქრისტიანობა იძულებული გახდა, თავად მიეღო და მოერგო დიალექტიკის პლატონური ტრადიცია. “დემიურიგის” გაგება, რომელიც იყო კოსმოსის კონსტრუქტორი, მომწესრიგებელი (“ტიმეოსი” პლატონი) გაიგივებული იქნა ბიბლიის პირველივე თავების ღმერთ-შემოქმედთან [Аверинцев, 1976:17-64].

რადგანაც პირველ ქრისტიან მამებს განათლება წარმართულ სკოლებში ჰქონდათ მიღებული, ჰომეროსის, დემოსთენეს, ჰესიოდეს, ევრიპიდესა და სხვა ანტიკურ მოღვაწეთა მოძღვრებანი მათი აზროვნების ნაწილს შეადგენდა, ამის შედეგად ქრისტიანული ლიბერალური მსოფლმხედველობა პლატონისას ჰგავდა. გამომდინარე აქედან, ქრისტიანთათვის, რომელთა მოძღვრებაც ანტიკური იდეოლოგიის კარგად გადამუშავებული ვარიანტი იყო, მნიშვნელოვანია აღზრდის საქმეში წარმართობის, როგორც ასეთის, როლი.

კატეხისტური სკოლის დამფუძნებელი კლიმენტი ალექსანდრიელი პირველი ცდილობს ქრისტიანობისა და ანტიკურობის ერთმანეთთან მორიგებას. იგი თვლის რომ ელინური კულტურა უფლის სურვილითა და ნებით არსებობდა და ის იყო კაცობრიობის მოსამზადებელი საფეხური ქრისტიანობის მისაღებად.

ათწლეულების განმავლობაში აქტუალურია ენობრივ-კულტურული ელინურობისა და მისი მიღება-არმიღების საკითხი. “*წინააღმდეგობა რწმენასა და ცოდნას, ღვთისმეტყველებასა და მისი გამოხატვის სა ერო, კლასიკურ ფორმებს(ბერძნულ რიტორიკა-ფილოსოფიას) შორის ალექსანდრიული და კაბადოკიური სკოლის მოღვაწეების შრომებში ც ოდნის რწმენისადმი დაქვემდებარებით დასრულდა. ელინური განათლებისადმი დამოკიდე ბულება გულისხმობდა ამგანათლების, როგორც საერო-ლიტერატურული ფორმის, მიღებას ქრისტიანული იდეოლოგიის სამსახურში. ელინურილი ტერატურის (რიტორიკა-ფილოსოფიის, პოეზიის, ისტორიოგრაფიის და სხვ.) გამოსახვის ფორმები, მხატვრულისახეე ბი, პარადიგმები, მაღალი სტილი, ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატი მისაღები გახდა ქრისტიანულილიტერატურისათვის, როგორც უკვე შემუშავებული მზა, დახვეწილი მხატვრულ-ლიტერატურული ფორმები.*[ბეზარაშვილი,2004:106]

კლიმენტი ალექსანდრიელის იდეოლოგიური გამგრძელებელია ორიგენე, მათ მიეკუთვნებათ პირველობა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ბერძნული ფილოსოფიის შეჯერების ცდაში. „წმინდა მამათა“ მოღვაწეობაში მეორე პერიოდი შექმნეს კაპადოკიის ეკლესიის წარმომადგენლებმა აღმოსავლეთში – გრიგოლ ღვთისმეტყველმა (329-390), ბასილი დიდმა (330-379) და გრიგოლ ნოსელმა (331-394), ხოლო დასავლეთში – ნეტარმა ავგუსტინემ. ისინი ფილოსოფიაში პლატონის ხაზის დამცველები არიან და მასზე აფუძნებენ ქრისტიანულ ორთოდოქსულ დოგმატიკას ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ კაპადოკიელ მამებთან ჯერ კიდევ ძლიერი იყო სწრაფვა წარმართული ანტიკური ფილოსოფიისადმი. მათში ერთმანეთს ერწყმოდა ფილოსოფოსობისა და ღვთისმეტყველების სურვილი.

წინამდებარე სტატიის მიზანია, კაბადოკიელთაგან ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მამის – ბასილი დიდის – დამოკიდებულების განხილვა ე.წ. „გარეშე სიბრძნისა“ და ამ სიბრძნეში არსებული ეთიკურ–ზნეობრივი პრინციპებისადმი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ტრაქტატის „რა სარგებელი უნდა მივიღოთ ელინური ლიტერატურისაგან“ საფუძველზე. ტექსტის ანალიზის საფუძველზე დეტალურადაა შესწავლილი ტრაქტატის შესაძლო წყაროები, ნაჩვენებია ინტერტექსტუალური მიმართებანი პლატონსა და პლუტარქესთან[1]. ამგვარი მიმართებების (ალუზია, ციტატა) გამოვლენა მიუთითებს ბასილი კესარიელის მცდელობაზე, ერთმანეთს მოარგოს ქრისტიანობა და ანტიკურობა, მივიდეს გარკვეულ კონსესუსამდე.

ბასილი კესარიელის განსახილველი ტრაქტატის თეზა ერთია - რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ქრისტიანმა ადამიანმა ბერძნული ლიტერატურისაგან. სარგებლიანობის შესახებ მსჯელობა რამდენიმე მიმართულებითაა გაშლილი. ავტორი ცდილობს, კლასიკური აზროვნებისა და ორთოდოქსული პოსტულატების ბალანსი შემოგვთავაზოს. რადგანაც უმთავრესი მავნე ზეგავლენისაგან სულის დაცვაა, ამიტომ საჭიროა, ადამიანი თავისი არსებობის განმავლობაში სათნოებების მოპოვებას ესწრაფვოდეს, რომ სხეული სულის სასიკეთოდ მოათვინიეროს. ამ საკითხის განხილვისას ავტორი მოიხმობს შედარებებსა და მეტაფორებს ქრისტიანული და არაქრისტიანული ლიტერატურიდან და თავის მიერ წამოყენებული დებულებების არგუმენტებად იყენებს მათ.

ტრაქტატის დასაწყისში ავტორი ავითარებს იდეას, რომ ცხოვრება ჰგავს მოგზაურობას, რომლის დროსაც ადამიანი ეცნობა კაცობრივ (ადამიანურ) საქმეებს. და ვინაიდან თავად ავტორი უკვე ამ მოგზაურობის თითქმის ბოლოშია გასული, თავს უფლებას აძლევს, რომ გარკვეული სახის რჩევები მისცეს მათ (ახალგაზრდებს, მსმენელებს), ვინც ცხოვრებისეულ სირთულეებს ახლა ეჭიდება. იგი თავს ივალდებულებს, რომ ყრმებს ყველაზე უსაფრთხო გზისკენ მიუთითოს, რომელსაც საბოლოო ჭეშმარიტებასთან მიჰყავს ადამიანი. ამავდროულად ახალგზარდებსაც ენიჭებათ გარკვეული როლი ამ საქმეში. მათ ერთგვარი „შეცნობის“ უნარი უნდა გამოიჩინონ, უნდა შეძლონ, ერთმანეთისგან გაარჩიონ კეთილი და ბოროტი.

ქრისტიანი ადამიანი დღენიადაგ უნდა მიილტვოდეს სასარგებლოს მოპოვებას სულისთვის, ასეთი სასარგებლო კი, შესაძლოა, “ძველი დროის ადამიანთა ნაწერებში”, ანუ წარმართ ავტორებთანაც, მოიძებნოს. თუმცა, ამ შემთხვევაში ადამიანის გონებაში გამორჩევის უნარი უნდა ამოქმედდეს, რათა მთლიანად არ ჩაიძიროს წარმართთა შემოქმედებაში. “*არაა საჭირო [მოზარდებმა] გონების საჭე, ვითარცა ხოლმადისა, ამ ადამიან თა იდეებს დაუმორჩილონ, მათგან მხოლოდსასარგებლო უნდა მიიღონ, უვარგისის განგდებ ა კი უნდა მოახერხონ. როგორი ტრაგედიაცაა ხომალდის ჩაძირვა, ასეთივე დიდი უბედურებ*

ა იქნება სულის დაღუპვა და გახრწნა"[Migne, 1857:565], ამგვარ საშიშროებას კი წარმართული დროის თხზულებანი შეიცავენ. გემის ამგვარი ანალოგია პლატონური აზროვნებიდან იღებს სათავეს. დიალოგში "სახელმწიფო" პლატონი სახელმწიფოს სავარაუდო მმართველებზე საუბრისას არაერთხელ მიმართავს მესაჭისა და ხომალდის ანალოგიებს. უმაქნისი და დიდებისმოყვარე ადამიანები ხომ ყველანაირი გზით ცდილობენ ხომალდის ნამდვილი პატრონის დაყოლიებას, რომ ხელთ იგდონ ხომალდი. როგორც კი საწადელს მიაღწევენ, მაშინვე შეესევიან ყველაფერს, იწყებენ გაუთავებელ ღრეობას და ხომალდსაც ისე მართავენ, როგორც ამგვარ მეხომალდეებს შეჰფერით. რეალურად კი მათ წარმოდგენაც არ აქვთ ნამდვილ მესაჭეზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წელიწადის დროს, თვალს ადევნებდეს ცას, ქარის ქროლას, მოკლედ, ყველაფერს, რაც მის ხელობას უკავშირდება, თუ სურს, მარჯვედ მართავდეს ხომალდს. ამ უთავბოლო ადამიანებს კი ჰგონიათ, რომ შეუძლებელია სწავლით შეიძინო მართვის უნარი, გამოცდილება და თვით მესაჭის ხელობა [The Republic.. 1968: 488c,d,e] ამგვარი მესაჭეების ხელში ხომალდის დაღუპვა გარდაუვალია.

ბასილი კესარიელი მოუწოდებს ახალგაზრდებს, ისე განერიდონ ნაკლებადღირებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, როგორც სირინოზთა სიმღერას - ოდისევსი, რომელმაც სმენა დაიხშო. ავტორი ოდისევსის მითს აქ ოდნავ განსხვავებული სახით წარმოადგენს. თუ ჰომეროსთან ოდისევსი თავის თანამგზავრებს ცვილით ამოუვსებს ყურებს და საკუთარი თავის ანძაზე მიბმას დაავალებს მათ, რათა სირინოზთა ტკბილხმოვანებამ არ გაიტაცოს და უბედურებას არ შეჰყაროს, ბასილი კაბადოკიელთან ეს პასაჟი ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში ოდისევსი თავადაც დაიხშობს სმენას. საფიქრებელია, რომ იგი ამას აკეთებს იმისთვის, რომ როგორმე აიცლოს თავიდან საცდური, რადგანაც, მუსიკას პოზიტიურთან ერთად ნეგატიური გავლენის მოხდენაც შუძლია ადამიანის სულზე. ოდისევსიც თავს იზღვევს, რომ სულში ვნებები არ ჩაეღვაროს.

წმინდა წერილი ადამიანის სულს საიდუმლოებების საშუალებით აყალიბებს და ზრდის, *„ ხანდახან ასაკის გამოარ შეგვიძლია მისი [წმინდა წერილის,– თ.მ] აზრის სიღრმის ჩაწვდომა, ამიტომაც სულიერ თვალს ვივარჯიშებთ მრავალისხვადასხვა თხზულებით, რომელნიც არც თუ ისე შორს დგანან წმინდა წერილისაგან, მსგავსად რაღაც აჩრდილებისა დაანარეკლებისა*"[Migne, 1857:565]. ციტირებულ პასაჟში აღნიშნული *სხვადასხვა თხზულებანი* წარმართული ეპოქის ლიტერატურის ნიმუშებს უნდა გულისხმობდეს, რადგანაც „გარეშე სიბრძნე" ადამიანებს მზის ბრწყინვალების წყალში ცქერას შეაჩვევს და ამის შემდეგ მათ გაუადვილდებათ მზერის მიპყრობა თავად მზის სინათლისაკენ, ანუ ბიბლიური ჭეშმარიტებისკენ. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გარკვეული სახის წარმართული ცოდნა გვაახლოებს „ჭეშმარიტ სიბრძნესთან". ამის დამადასტურებლად ბასილი მოიხმობს ბიბლიურ პერსნაჟთა მაგალითებს – *„ მოსე,რომელმაც სახელი მთელ კაცობრიობაში სიბრძნით გაითქვა, გონებას წვრთნიდა ჯერ ეგვიპტელთა მეცნიერებებით,ხოლო შემდგომ შეუდგა არსის შეცნობას. უფრო მოგვიანებით მ ის მსგავსად ბრძენ დანიელზე ამბობდნენ, რომ მან ჯერბაბილონში აითვისა ქალდეველთა სი ბრძნე და მხოლოდ ამის შემდეგ ეზიარა ღვთაებრივ სიბრძნეს*"[Migne, 1857:568].

ბასილი კესარიელის მსგავსად მსჯელობს წმინდა იოანე დამასკელი - წარმართულ სიბრძნეში იმისდა მიუხედავად, რომ ბევრი რამ მიუღებელია, „წმინდა ოქროს" გამორჩევა მაინც
შესაძლებელია: *„ თუ შევძლებთ, რომ გარეშეთაგანცმოვინაყოფოთ სასარგებლო რამ, არც ესაა აკრძალული, გავხდეთ გამოცდილი მეკერმეები, მოვიკრიბოთ ნამდვილი დაწმინდა ოქრო, ნა ყალბევი კი უკუვაგდოთ. მივიღოთ საუკეთესო სიტყვები (ხოლო სასაცილო ღმერთები და უც*

ხოზღაპრები ძაღლებს მივუყაროთ), რადგან უდიდესი ძლიერების შეძენას შევძლებთ მათგა ნ“ [დამასკელი, 2000:445].

ავტორის აზრით, „გარეშე სიბრძნე“ სასარგებლოა გონების საწვრთნელად, შესაბამისად, დასაფასებელია მეცნიერება და ფილოსოფია, რომელიც გვეხმარება უმაღლეს ჭეშმარიტებასთან მიახლოებაში. ბასილისთან ამსოფლიური ცოდნა შედარებულია ხეს, რომლის უმთავრესი თვისებაა, უხვად მოისხას ნაყოფი; ამასთანავე ეს ხე დაფარულია ფოთლებიანი რტოებით, რომელიც მისი სამკაულია. ზუსტად ასეთივე ნაყოფია სულისთვის ჭეშმარიტება, თუმცა, ამსოფლიური სიბრძნით შემოსვა კარგია, მსგავსად იმ ფოთლებისა, რომელნიც ნაყოფს იცავენ და ხესაც ალამაზებენ.

რადგანაც წარმართული თხზულებანი შესაძლოა მავნებელი აღმოჩნდეს სულისთვის, ადამიანები გამორჩევითობის უნარით ფუტკრებს უნდა მიემსგავსონ. რადგან ამ მწერებს ძალუძთ, რომ ყვავილთაგან სარგებელიც მიიღონ და ესთეტიკური სიამოვნებაც: *„ ფუტკრები გადაფრინდებიან ყვავილიდან ყვავილზე და სადაც დასხდებიან,ყო ველივეს მიღებას კი არ ცდილობენ, არამედ იმდენს მოიპოვებენ, რამდენიც მათი საქმისთვის აა გამოსადეგი, დანარჩენსკი ხელშეუხებელს ტოვებენ”* [Migne, 1857:569]. ფუტკრის მეტაფორა მიგვანიშნებს, რომ გონივრულია სარგებლის (ამ შემთხვევაში სიბრძნის) მიღება ყველაფრისაგან, რაც კი არსებობს. ფუტკრის საქმიანობა პრაქტიკულია, ყვავილისაგან მხოლოდ იმას ითვისებს, რაც აუცილებლობას წარმოადგენს. ბასილი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ადამიანმა ფუტკრის ამგვარ ზომიერ ქმედებას უნდა მიბაძოს. ანტიკური ნაწერებიდან სასარგებლო უნდა მიიღოს და საშიშს განერიდოს. როგორც ყვავილს ახასიათებს სურნელება და ნექტარი, ასევე შეიცავენ “ძველი ადამიანების” ნაწერები სიბრძნეს სხვა „სიამოვნებებთან“ ერთად და თუკი ფუტკარს აქვს იმის უნარი, რომ ნექტარი აითვისოს, მაშინ მოაზროვნე არსებას რატომ არ უნდა შეეძლოს ამ სიბრძნის გამოკრება კლასიკური ლიტერატურიდან? ეს ეთიკურ-ზნეობრივი სიბრძნეა, დაცლილია რელიგიურობისაგან, მაგრამ ადამიანის სულს დაეხმარება მარადიული ცხოვრებისათვის მზადებასა და სათნოებების მოპოვებაში.

რაც ახლოს დგას და ენათესავება ქრისტიანულ იდეოლოგიას, ის უნდა აითვისონ მოსწავლეებმა, ხოლო სხვაგვარს უნდა განერიდონ, *„ როგორც ვარდის ბუჩქიდან ყვავილების კრეფისას ეკლებს ვარიდებთ თავს“*[Migne, 1857:569]. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ეკალი აღნიშნავს მიწიერ საქმეებს, მას შეუძლია ასევე “გარეშე” სიბრძნის გამოხატვა საღვთო სიბრძნესთან მიმართებით. ვარდი ეკალთა შორის ნიშნავს, აგრეთვე, ამსოფლიური და საღვთო სიბრძნის დაპირისპირებას, საერო სიბრძნეში ჭეშმარიტების უკეთურისაგან გამოცალკევებას. მაგ: გრიგოლ ნაზიანზელთან, ეფრემ მცირესთან, იოანე დამასკელთან: *“ამათთა (“გარეშეთა”) ხელოვანებითა მოუზღუდავს ვენახისაამის თვისისა ნ აყოფთა შუენნიერებაი, ხოლო უშინაგანეს რაი ვენახისა და ტევნებისა მადლთაისა განხილვა იგუწადოდის, მალიად მოვისთულოთ სიტკბოებაი”* [ბეზარაშვილი, 2002:167].

ბასილი ხელოვნების ნაწარმოებებთან ურთიერთობისას უფრო დიდი სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს მკითხველს, ვიდრე საკვების შერჩევისას იჩენენ ადამიანები, რადგან, თუკი ადამიანი ფიქრობს იმას, რომ რომელიმე სახეობის საკვებით სხეულს ზიანი არ მიაყენოს, მით უფრო უნდა მოერიდოს სულისათვის ისეთი საზრდოს მიწოდებას, რომელიც მავნე აღმოჩნდება მისი სულისთვის, რაც უფრო ღირებულია სხეულთან
შედარებით. *,,არ უნდა დავემსგავსოთადიდებულ მთის ნიაღვარს, რომელიც მიისწრაფის და თან იერთებს ყოველივეს, რაც კი გზად შეხვდება”* [Migne, 1857:577].

ბასილისთვის წარმართული ნაწარმოების კითხვისას ეთიკური თვალსაზრისია მნიშვნელოვანი. მხოლოდ იმ ავტორით უნდა დაინტერესდეს მკითხველი, რომელიც ზნეობრივ და მორალურად სრულყოფილ ადამიანს ასახავს, საგმირო საქმეებს რომ ჩადის და ღირსეულად ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში ავტორს უნდა მოვუსმინოთ კიდეც და უნდა მივბაძოთ მის მიერ დახატულ პერსონაჟებს[2].

ბასილი ისტორიკოსთა შემოქმედების გაცნობასაც გამორჩევის პრინციპით ურჩევს ახალგაზრდებს. საძრახისად უნდა ჩაითვალონ ის მემატიანეები, რომელნიც მხოლოდ გართობისთვის წერენ.

ამქვეყნიური და იმ ქვეყნიური ღირებულებების დასაპირისპირებლადაა მოხმობილი ტრაქტატში ჰერკულესის ამბავი, რომელიც ავტორს შეუტყვია კეოსელი სოფისტისგან - პროდიკუსისგან. ტრაქტატში ჰერკულესი წარმოდგენილია შემდეგნაირად: იგი ზის გზაგასაყარზე, როდესაც მასთან მიდის ორი ქალი, ვიზუალურად ერთმანეთისგან რადიკალურად გასხვავებული, ერთი ამქვეყნიური მშვენიერებისა და ვნების განსახირებაა, რომელიც მაცდურად უცქერს ყმაწვილს და ამგვარი მზერით ათასგვარ სიამოვნებას ჰპირდება, ხოლო მეორე შეუხედავი და გლახაკია, მის გზას თუ აირჩევს ჰერაკლე, ტანჯვა და საფრთხე მოელის ხმელეთსა თუ ზღვაზე, თუმცა, სიცოცხლის ბოლოს თეოზისი ელის. მოხმობილი პასაჟი რამდენიმე კუთხითაა მნიშვნელოვანი. ბასილი ამბის თხრობისას ხაზს უსვამს ჰერაკლეს ასაკს და მის ასაკს უდარებს თავისი მოსწავლეების ასაკს. საფიქრებელია, რომ ამ ხაზგასმით იგი თავის ახალგაზრდა მსმენელებს მოუწოდებს, მიბაძონ ჰერაკლეს ქმედებას, რომელმაც სათნოების გზა აირჩია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალები წარმოადგენენ სათნოებასა და მანკიერებას, მაგრამ ჰერაკლეს გადაბირებას სიტყვით არ ცდილობენ, არამედ უტყვად რჩებიან ამბის ბოლომდე. ავტორი ამ დეტალს ტრაქტატის მომდევნო ქვეთავებში ხსნის შემდეგნაირად, რომ სიტყვები თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ სიტყვა საქმით იქნება ხორცშესხმული, უკეთესია და უფრო ბევრისმთქმელი. სიტყვასა და ქმედებას შორის განსხვავება ძირითადად დიდია ხოლმე, შესაძლებელია, სიტყვით ჩანდე სამართლიანი, მაგრამ ამავდროულად ცხოვრების წესით სულაც არ მისდევდე სამართლიანობას. მოცემული მსჯელობის არგუმენტად ბასილი მოიხმობს პლატონი
სიტყვებს: *“ეს არის უკიდურესი უსამართლობა, ჩანდესამართლიანად, როცა სინამდვილეში სრულიადაც არ ხარ ასეთი”*[The Republic… 1968:361a]

ზნეობრიობა ღვთის მიერ კაცობრიობის თანდაყოლილი ერთგვარი სიკეთეა. ზნეობის კანონი ადამიანს მუდამ ახსენებს თავს, პავლე მოციქული ამის შესახებ ამბობს: *“წარმართთა, რომელთა რჯული არა აქუნ, და ბუნებითსა მასშჯულსა ჰყოფდეს, ამათ რამეთუ შჯული არა აქუს, თავისა თვისისათვის შჯულ არიან: რომელნი გამოაჩინებენ საქმეს ამჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთან, თანა-მოწამებითა მათდა გონებისა მათითაისა და შორის ურთიერთისგულის სიტყუანი შეასმენდ ნენ ანუ სიტყუას უკუგებენ”* [რომ. 2:14-15]*. აქედან გამომდინარეობს, რომ წარმართებს გადარჩენის შანსი აქვთ ისევე, როგორც იუდეველებს. წარმართები სინდისის მიხედვით მოქმედებენ, სინდისი კი ადამიანის შინაგანი ხმაა, ინტუიციაა.

იმავე აზრს ავითარებს მაქსიმე აღმსარებელი, მიიჩნევს რა, რომ ბარბაროსები სიკეთის კეთებას იმიტომ ამჯობინებენ ბოროტებას, რომ ამაში სულიწმინდა ეხმარება, ვინაიდან სულიწმინდა ადამიანში დაბადებიდანვეა: *“მრავალსაღმოვაჩენთ უკიდურესად ბარბაროსულ და მომთაბარე ადამიან თაგან, რომლებიც კეთილმშვენიერებას განიკუთვნებენ და ძველთაგანვე მათ შორის გაბატონ ებულ მხეცურ კანონებს უკუაგდებენ. აი, ამგვარად არის ყველაში მარტივადსულიწმინდა”* [ს ამეცნიერო.... 2004].

წარმართული ხანის ცნობილი მოღვაწენი, ბუნებითი შჯულის წყალობით, სათნოებათა სილამაზეს არა მხოლოდ სიტყვით შეგვაგონებდნენ, არამედ მაღალი ზნეობის მისაბაძ მაგალითებს თავადაც ხშირად იძლეოდნენ.

ათენელ პოლიტიკოს პერიკლეს მთელი დღე შეურაცხჰყოფდა ერთი კაცი, მიუხედავად ამგვარი დამცირებისა, პერიკლემ იგი დღის ბოლოს შინ გააცილა, რათა სიბრძნისმოყვარეობაში იმ დღეს მოპოვებული წარმატება წყალში არ ჩაჰყროდა.

მიტევებისა და შენდობის განსაცვიფრებელ მაგალითად მოჰყავს ბასილის ევკლიდე მეგარელის ქმედება, რომელმაც დაიფიცა, რომ კაცს, რომელიც სიკვდილით ემუქრებოდა, გულს მოულბობდა და მტრობის შეწყვეტას აიძულებდა.

წარმართი პერიკლესა და ევკლიდეს მაგალითები ენათესავება სახარებისეულ მცნებებს:

და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი. გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. [მათე 5:40-44].

ბასილი თვლის, რომ თუკი ამგვარი ზნეობის მაგალითები ადამიანს მძვინვარებისას გონებაში მოუვა, ეს ლაგამი აღმოჩნდება მისთვის და ამგვარად მოუფრთხილდება სულს, რადგანაც სიბრაზისას კარგი არასოდეს მოდის სულში [3][Migne, 1857:576].

ტრაქტატში მოხმობილი ალექსანდრე მაკედონელის საქციელიც სახარებისეულ სიბრძნეს ენათესავება - *,,არ იმრუშო”.მე კი გეუბნებით, რომ ყველამ, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში. თუ გაცდუნებსშენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე, ვინა იდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგეღუპოს,ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს”* [მათე 5:39].

ალექსანდრე მაკედონელის თავშეკავების მაგალითი ზნეობრივად მისაბაძი უნდა იყოს ყრმათათვის. მან სპარსეთის მეფის, დარიოსოს, ქალიშვილები ტყვედ ჩაიგდო ომში, მათი ხილვა არ ისურვა, გულისთქმას არ აჰყვა, რადგანაც ფიქრობდა, რომ საკუთარი ვნებების დამორჩილება უფრო სასახელო საქციელი იყო ღირსეული მეფისთვის, ვიდრე მტერზე გამარჯვება. ისტორიული წყაროების მიხედვით პლუტარქე გვამცნობს, რომ ბარსინაზე ქორწინებამდე ალექსანდრეს სხვა ქალთან ხორციელი კავშირი არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტი მოგვაგონებს ქრისტიანულ რელიგიაში ქალწულობის შენახვას ქორწინებამდე.

ყრმებს საკუთარი გონების მართვა უნდა შეეძლოთ და ხორციელ ვნებებს არ უნდა დაემორჩილონ. ამაზე მსჯელობისას ბასილი კვლავ უსვამს ხაზს *მიმბაძველობის* უნარს და არგუმენტად მოჰყავს საოცარი სიძლიერის მქონე ანტიკური დროის ადამიანების მაგალითები - პოლიდამოსისა და მილონ კრიტონელის. მათი მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ სრულყოფილად მომზადებულიყვნენ შეჯიბრებისთვის და გამარჯვების შემთხვევაში მიეღოთ დიდება და გვირგვინები. ყრმა ქრისტიანი მაქსიმალურად უნდა მიებაძოს ათლეტ ადამიანთა თავდადებას და მონდომებას, რათა

საუკუნო ცხოვრებისათვის სათანადოდ მოემზადოს. ათლეტნი აკეთებდნენ ყველაფერს, რომ საკუთარი შესაძებლობანი გაეუმჯობესებინათ, ქრისტიანმა ადამიანმაც ყველაფერი უნდა გამოცადოს, რომ მიაღწიოს დასახულ მიზანს, თუმცაღა ეს არ იქნება ადვილი. ათლეტთა მსგავსად მასაც მოუწევს ოფლის ღვრა და გაუსაძლისი შრომის გაწევა.

როგორც ათლეტები იწრთობოდნენ სხვადასხვა ფიზიკური განსაცდელით, ასევე უნდა იწრთობოდეს ქრისტიანი ადამიანის სული, რადგანაც სული ბევრად ძვირფასია სხეულზე. ეს მსჯელობა ენათესავება პავლეს სიტყვებს: *"არაუწყითა, რამეთუ რომელნი იგი ასპარეზთა შინა რბიედ, ყოველნივე რბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი? ესრეთ რბოდეთ,რაითა ეწინეთ. ხოლო ყოველივე იგი მოღუაწე ყოველსავე მოითმენნ იგინი უკუე რამე, რაითა გახრწნადი გვირგვინიმოიღონ, ხოლო ჩუენ - უხრწნელი* [II კორინთ. IX:24-27].

როგორც პავლე მოციქული, ასევე ბასილი კესარიელი ხაზს უსვამს ფიზიკურ და უხრწნელ გვირგვინებს შორის რადიკალურ განსხვავებას. თუკი ათლეტნი ამქვეყნიური დიდებისათვის ასე თავდადებულად იღვწიან და იკაჟებენ სხეულს, მათ მსგავსად ქრისტიანი ადამიანიც არ უნდა შეუშინდეს იმ წვრთნის სირთულეს, რომელიც ღვთაებრივი გვირგვინის მოსაპოვებლად გარდახდება თავს.

ათლეტთა მიმბაძველობაზე მინიშნების შემდეგ ბასილი მსჯელობას უკვე სულის მიერ სხეულის, ვითარცა მძვინვარე მხეცის, დამორჩილების შესახებ წარმართავს. იგი ვერ ხედავს აუცილებლობას, რომ სხეულზე გარდამეტებულად იზრუნოს ადამიანმა, ვინაიდან სულს თავისუფლება უნდა მიენიჭოს და ხორციელი მოთხოვნილებებისაგან გათავისუფლდეს. საკვები იმდენი უნდა მიიღოს, რომ სხეული არ დაუძლურდეს, ხორცზე გარდამეტებულად ზრუნვა ერთგვარი ბოროტებაც კია.

სხეულისა და სულის ამგვარი ურთიერთობა გვაგონებს პლატონის ,,ფედონს", სადაც სოკრატე აცხადებს, რომ,,*სიცოცხლეში მხოლოდ მაშინ მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას, როცა იმდენად დავშორდებით სხეულს, რომ მხოლოდაუცილებლობა თუ გვაიძულებს, რომ საქმე ვიქონიოთ მასთან, როცა სხეულის გუნებით კი არ აღვივსებით დაგავისვრებით, პირიქით, ჩვენს სიწმინდეს დავიცავთ მისგან, დავიცავთ მანამ, სანამ ღმერთი არ აგვხსნის გორკილებს*" [Plato, 2005:67A].

გარდამეტებული ხორციელი სიამოვნება სულს შებღალავს, დათხვრის, ამიტომაც უნდა უგულებელყოს ადამიანმა იგი, თუკი სულისთვის სარგებლის მოპოვებაზე ფიქრობს. იმავეს აცხადებს პავლე მოციქულიც -ადამიანმა ხორცზე ზრუნვა გულისთქმად არ უნდა გაიხადოს [რომ. XIII:14]. სხეული იმისთვისაა შექმნილი, რომ სულს ემსახუროს (ვითარცა ფილოსოფია - აზროვნებას) ამიტომაც, სხეულის მიერ სულში აღმოცენებული ვნებები გონებით უნდა დაამშვიდოს და მათრახით უნდა დაამარცხოს ადამიანმა, რათა არ დაემსგავსოს იმ მეეტლეს, თავშეუკავებელი ცხენები უდიერად რომ მიაქროლებენ [Migne, 1857:584].

სხეულისა და სულის ურთიერთშეპირისპირებისას ბასილის მოჰყავს იმ ხელოსნების ანალოგია, რომელნიც ხელსაწყოებს რუდუნებით უვლიან, ხოლო ხელსაწყოების გამოყენების ხელოვნებას, ანუ მიზნობრივობას, უგულებელყოფენ. ამ პასაჟში სხეულის მნიშვნელობა, სავარაუდოდ, დაიყვანება ხელსაწყომდე, რომლის მეშვეობითაც სული ფუნქციონირებს, სხეული უნდა ემსახუროს აზროვნებას, ანუ ფილოსოფიას. სხეულმა, ვითარცა ინსტრუმენტმა, იმისათვის, რომ იარსებოს, ძალიან მცირე რამ სჭირდება, ხოლო თუ გარდამეტებულად იზრუნებ მასზე, შესაძლოა, სხვა რაღაცებისკენ მიიდრიკოს და ფუნქცია შეიცვალოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბასილი კესარიელი პატრისტიკის წარმომადგენელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მოარგოს წარმართული კულტურის მიღწევანი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს საერო ცოდნის აუცილებლობას, მაგრამ ეს ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი უნდა გახდეს უმთავრესი მიზნის მისაღწევად. ადამიანმა, ამავდროულად, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ასეთი ტიპის ნაწარმოებებთან ურთიერთობისას, რადგან საშიშროება იმისა, რომ წარმართული იდეოლოგიის საბურველში გაეხვეს, დიდია.

ბასილი კესარიელის თხზულებათა მიხედვით ნათლად ჩანს, რომ იგი კლასიკურ განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს; განხილული ტრაქტატის გარდა, ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბასილი დიდის გრიგოლისეული ეპიტაფია [Migne, 1838: 509BC - Orationes 43]

მართებულად შენიშნავს დეკანოზი გეორგი ფლოროვსკი, რომ იულიანეს განკარგულებათა შორის ქრისტიანთათვის ყველაზე მძიმე იყო ის, რომელიც მათ მეცნიერებისა და ხელოვნების სწავლებას უკრძალავდა. ფაქტობრივად, ეს იყო დაგვიანებული მცდელობა, გამოეთიშა ქრისტიანები კულტურის მშენებლობიდან, დაეცვა ძველი კულტურა ქრისტიანული გავლენისა და ზეწოლისაგან [ფლოროვსკი, 2004]. სწორედ ეს იწვევდა ეკლესიის კაპადოკიელი მამების ძლიერ გაღიზიანებას. ბასილი კესარიელი თავს მოვალედ თვლიდა, ახალგაზრდობისთვის მიემართა და აეხსნა, „რა სარგებელი შეიძლება მოგვიტანოს ელინისტურმა ლიტერატურამ“. ბიზანტიური კულტურის ძირითად არსს წარმოადგენს ის, რომ შეთვისებული და ახლებურად შეფასებული იქნა კულტურის ყველა ძირითადი ელემენტი“ და ამ კაცობრიობისთვის ღირსეულ საქმეში ბასილი კესარიელს დიდი წვლილი მიუძღვის.

---

[1]მეცნიერებაში მიუთითებენ, რომ ბასილის დასახელებული ნაშრომის წყარო, სავარაუდოდ, იყო პლუტარქეს ნაწარმოები „ყრმათათვის, თუ როგორ უნდა იკითხონ პოეტები“, ასევე, პლატონის „სახელმწიფოში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი პოეტების შესახებ. შესაბამისად, პლუტარქესთან პარალელები შენიშვნებშია წარმოდგენილი.

[2] შდრ. პლუტარქე: *“საძოვრებზე და სათიბებზე ფუტკარი დაეძებს ყვავილებს, თხა - მწვანე ბალახს, ღორი - ფესვებს,სხვა ცხოველები კი მცენარეთა თესლებს და ნაყოფებს. ასევე ხდება პოეტურ თხზუ ლებებთან მიმართებაში - ზოგიიკვლევს აგებულებას, ზოგს სიტყვათა სილამაზე და კეთილხმოვანება იტაცებს, არიან ი სეთებიც, რომელნიც მორალისშესახებ მსჯელობას მიიჩნევენ სასარგებლოდ. ადამიანი, რომე ლსაც გათვითცნობიერებული აქვს საკუთარი ღირსება და უყვარს სიქველე, არ კითხულობს პოეზიას გართობის მიზნით, არამედ აღმზრდელობითი კუთხით უყურებს მას,უგულისყურ ოდ არ ტოვებს იმ პასაჟებს, რომლებშიც საუბარია მამაცობაზე, სიბრძნეზე, სამართლიანობაზ ე,დაახლოებით ასეთზე - ილიადა, XI,313”*.[Памятники… 1964]

*ციტატებს ბიბლიიდან ვუთითებთ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მიხედვით.

[3] შდრ.
პლუტარქე: *„ყველაზე ღირებული სიქველე, რაც კი ადამიანს გააჩნია, არის ის, რომ ღვთაებრი*

ვი ნაპერწკალიაჩვენში და ეს ღმერთთათვის სასარგებლოა, რადგან ყველა ესწრაფვის თავის მ სგავსს. აღშფოთება და ბრაზის ჩახშობა -
ესუდიდესი საქმეა. ამის მაგალითს იძლევა აქილევსი, როდესაც პრიამოსს შეიწყალებს, არ მო კლავს და ჰექტორის გვამსგააპატიოსნებს და გაატანს. ეს მისაბაძი მაგალითია, რადგან ადამია ნი ცდილობს, არ მიეცეს, არ დაემონოს მრისხანებას“[Памятники… 1964].

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი // გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეორე სრული გამოცემის მიხედვით http://www.orthodoxy.ge
2. ბეზარაშვილი, ქ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით; თბილისი “ალეგორიულობისა და აფორისტულობისათვის პატრისტიკაში და რუსთაველთან”. // ლიტერატურული ძიებანი, # 22, www.nplg.gov.ge, 2004
3. ბეზარაშვილი, ქ. „ქრისტიანობა და ცივილიზაცია“, // „ემაოსი“, #3, www. nplg. gov.ge.,2002
4. ფლოროვსკი გეორგი წმ. მაქსიმე აღმსარებელი, “საღვთო წერილის სხვადასხვა სირთულის შესახებ, შეკითხვა მე- 15“ // სამეცნიერო–საღვთისმეტყველო შრომები“, II, www.orthodoxy.ge,2004
5. წმ. იოანე დამასკელი „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა“, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. - თბილისი, 2000
6. Аверинцев Судьбы европейской культурной традиции в эпоху перехода от античности к средневековью; Из истории культуры средних веков и Возрождения. - М., 1976 http://www.philology.ru
7. Памятники поздней античной научно-художественной литературы”. М., / Перевод Л. А. Фрейберг. - М., 1964 http://ancientrome.ru
8. Migne J. Patrologiae Cursus Completus, Series Graeca, vol. 36, 1838
9. Migne J. Patrologiae Cursus Completus, Series Graeca, vol. 31, 1857
10. The Republic of Plato, Second Edition, translated by Allan Bloom, Basic Books, A division of HarperCollins Publishers , 1968
11. Plato “Euthyphro, Apology, Crito, Phaedo, Phaedrus” with an English translation by Herold North Fowler. Cambridge, Massachusetts, London: Harvard University Press, 2005

ლელა ჟამურაშვილი

1930-იანი წლების ამერიკა ოლდოს ჰაქსლის რომანში „და ბოლოს გედი მაინც კვდება"

"*One can't have something for nothing*" [Huxley, 1989:235] - ოლდოს ჰაქსლის ეს

ცნობილი ფრაზა მის არაერთ რომანსა თუ ესეში მეორდება. განსხვავებული ფორმულირებისდა მიუხედავად, ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთია: ყველაფერს თავისი საფასური აქვს და არც ის მატერიალური კეთილდღეობა არსებობს უსასყიდლოდ, რომელსაც ადამიანმა ტექნოლოგიური პროგრესის გზით მიაღწია. ზოგჯერ საფასური გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ადამიანს წარმოუდგენია. 1958 წლის 18 მაისს ტელეკომპანია ABC-ის სტუდიაში მაიკ უოლასთან ჩაწერილ ინტერვიუში[1] ოლდოს ჰაქსლი აცხადებს, რომ ადამიანი შეიძლება მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიების მსხვერპლი გახდეს. ტექნოლოგიური პროგრესი ადამიანს მხოლოდ ფიზიკური ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებაში ეხმარება, მაგრამ ზოგჯერ პროცესის ინვერსია ხდება და ეს სულიერი ღირებულებების რეგრესს განაპირობებს. ჰაქსლის აზრით, საფასური, რომელსაც კაცობრიობა მექანიკურ სამყაროში არსებული კომფორტისა და ფუფუნებისათვის იხდის, არის გაუცხოვება, უნაყოფობა, სტერილურობა და სულიერი სიცარიელე. ესეში „თავისუფლება და აღთქმული მიწა" ჰაქსლი წერდა: "*Increase of material prosperity, increase of leisure, increase of liberty, increase of educational facilities are perfectly useless […] a quickly reached maximum gives diminishing returns of happiness, virtue, and intellectual efficiency*" [Huxley, 1960:130]. გასაკვირი არ არის, რომ საკითხთან დაკავშირებით მწერლის მოსაზრებები უმთავრესად მიმართული იყო ამერიკისკენ, სადაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ ზენიტს მიაღწია.

ოლდოს ჰაქსლი შეერთებულ შტატებში 1937 წლის აპრილში გაემგზავრა. კალიფორნიის შტატში ცხოვრებას იგი მხოლოდ დროებით გეგმავდა, მაგრამ ევროპაში საცხოვრებლად აღარ დაბრუნებულა. პირველი ნაწარმოები, რომელიც მწერალმა თავისი მოღვაწეობის ამერიკულ ეტაპზე შექმნა, იყო რომანი „და ბოლოს გედი მაინც კვდება". ეს არის ჰაქსლის პირველი რომანი, რომელშიც მოქმედება ამერიკაში ხდება. ნაწარმოების დასაწყისში წარმოდგენილია ერთ-ერთი მთავარი გმირის, ინგლისიდან ჩამოსული ჯერემი პორდიჯის თვალით დანახული კალიფორნია. აშკარად იგრძნობა კულტურული შოკი, რომელიც თავად ჰაქსლიმ განიცადა ამერიკაში ჩამოსვლისას. თითქოს ვხედავთ, როგორ შედის მწერალი მაღალტექნოლოგიურ, პოსტმოდერნისტულ სამყაროში. ამერიკაში ახლად ჩამოსული ჯერემი პორდიჯი გაოცებული რჩება მილიონერი ჯო სტოიტის სახლისაკენ მიმავალ გზაზე ნანახით. სარეკლამო აბრებსა და ბილბორდებზე ერთმანეთს ენაცვლება შემოთავაზებები ფიზიკური და სულიერი სიამოვნებისათვის: "*Eats. Cocktails. Open Nights. […] Do things, go places with Consol super gas. At Beverly Pantheon fine funerals are not expensive*" [Huxley, 1939:9]. ეკლესია, სასაფლაო, რესტორანი და ქალის თეთრეულის მაღაზია ერთმანეთთან არის გათანაბრებული. აქ ყველაფრის ყიდვა შეიძლება. უფრო მეტიც, ბილბორდებზე შემოთავაზებული ფიზიკური სიამოვნებისთვის განკუთვნილი ნივთები (მაგალითად "Thrillphorm Brassiers") უბრალოდ ფიზიკური საჭიროების საგნებს აღარ წარმოადგენს, ისევე როგორც „სულიერი" შემოთავაზებები ("Go to Church and feel better all the week") შორს არის ნამდვილი სულიერებისგან. ადამიანური ეგო ყველანაირ საზღვარს არის გადასული და არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს, რომ ოდესმე ადამიანი მისგან გათავისუფლებას შეძლებს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია ნაწარმოებში ასახული დეგრადაციისა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება.

ჯერემი პორდიჯი სამუშაოდ მიდის სტოიტის სასახლეში, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს მის შთაბეჭდილებას. სასახლის შესასვლელი გოთიკურ სტილშია, სვეტებიანი ვესტიბიული კი - რომაულ სტილში. მთლიანად ინტერიერი ძველებურად არის გაფორმებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახლის პატრონს არაფერი აქვს განსხვავებული, განსაკუთრებული და ორიგინალური. ყველაფერი სხვისი მიბაძვით არის შექმნილი, კლონირებულია. შუა საუკუნეების არქიტექტურით აგებული სასახლე ფაქტობრივად ციხესიმაგრეა, მაგრამ ჯო სტოიტს ისე ეშინია სიკვდილის, როგორც შუა საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანს ეშინოდა შავი ჭირისა და დანტესეული ჯოჯოხეთისა.

სახლის შესასვლელს გიომბოლონიის შიშველი ნიმფა - ხორციელების სიმბოლო - ამშვენებს, სახლის შიგნით კი უზარმაზარ ჰოლში ერთმანეთის პირისპირ არის დაკიდებული ელ გრეკოს „წმინდა პეტრეს ჯვარცმა“ და რუბენსის შიშველი, მხოლოდ დათვის ტყავის მოსასხამში გახვეული ელენ ფურმანის პორტრეტი. ჯერემი პორდიჯი გაოგნებული უყურებს სიკვიდილისა და სექსუალურობის ორი უკიდურესობის უხამს შერწყმას: *“Jeremy looked from one to the other -[…] from unearthly flesh tints of green-white ochre and carmine, shadowed with transparent black, to the creams and warm pinks, the nacreous blues and greens of Flemish nudity. Two shining symbols, incomparably powerful and expressive – but of what, of what?”* [Huxley, 1939:36].

ასეთ კონტრასტებს ჰაქსლი არაერთხელ იყენებს რომანში. ჯო სტოიტის საყვარლის, კლუბის ყოფილი მოცეკვავის, ვირჯინია მაუნსიპლის საძინებელი მთლიანად თეთრ ფერშია გაფორმებული. თავად ვირჯინიასაც თეთრი პიჟამო აცვია. მწერალი სისპეტაკისა და უმანკოების ფერით განზრახ, ირონიულად მოსავს ქალს, რომელიც ლოს-ანჯელესის ბილბორდების ორმაგი მორალით ცხოვრობს. საინტერესოა, რომ მას ვირჯინია ჰქვია და მისი სახელი ქალწულობასთან და უბიწოებასთან ასოცირდება. ესეც, რა თქმა უნდა, ირონიაა. „ბიძია ჯოსთან“ ცხოვრება ვირჯინიასთვის სამარცხვინო სულაც არ არის, რადგან მის სამყაროში მილიონერ მამაკაცთან ცხოვრება საუკეთესო მიღწევად ითვლება და ეს აქსიომაა. მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, გაზეთები, რადიო რეკლამები - აშკარად თუ მინიშნებით, ყველა ერთსულოვნად აღიარებს ამ ფაქტს. ასეთი კაცის საყვარლობა შეცდომად ვერაფრით ჩაითვლებოდა. მეორე მხრივ, საინტერესოა ვირჯინიას ოთახში მოწყობილი პატარა სამლოცველო, რომელსაც ჰაქსლი თოჯინას სახლს უწოდებს, რადგან ვირჯინია, მართლაც, თოჯინასავით უყურებს წმინდა მარიამის ქანდაკებას და გუნებაში გეგმავს მეორე დღეს მისთვის ახალი მოსასხამის შეკერვას: *“There, in a bower of artificial flowers, dressed in real silk clothes, with the cutest little gold crown on her head and six strings of seed pearls round her neck, stood Our Lady brilliantly illuminated by an ingenious system of concealed electric bulbs”* (Huxley, 1939: 144). მოგვიანებით იმავე ოთახში ექიმი ობისპო და ვირჯინია სიყვარულითაც კი ტკბებიან „წმინდა მარიამის თვალწინ“.

სტოიტის სახლი მასში თავმოყრილი ურთიერთშეუთავსებელი ნივთებითა და ადამიანებით მისი მფლობელის ეგოცენტრიზმისა და სულიერი დაბნეულობის გამოხატულებაა. ამ უზარმაზარი სახლის, უფრო სწორად კი სასახლის, გვერდით სტოიტის სკოლის მეგობრის, პროპტერის, პატარა და მოკრძალებული სახლია, რომელიც ხაზს უსვამს თავისი მეზობლის ყოფის აბსურდულობას.

ეს აბსურდულობა კიდევ უფრო შორსაც მიდის. ჯო სტოიტს პირადი სასაფლაო აქვს, უდიდესი კომერციული საწარმო „ბევერლი პანთეონი“, რომელსაც ლიტერატურის კრიტიკოსი პიტერ ბაუერინგი უწოდებს ტაძარს, სადაც სიამოვნების ყველა ღმერთს ემსახურებიან [Bowering, 1969:144]. აქ ყველაფერი სუპერთანამედროვე ტექნიკით არის მოწყობილი, მდიდრულად და კომფორტულად. აღდგომის კოშკში „სასაფლაოების კორპორაციის“ ოფისებია განთავსებული. კრემატორიუმში ბოლო მოდელის ღუმელები ყოველთვის მზად არის საგანგებო სიტუაციისთვის. მხოლოდ „ბავშვების კუთხეში“

გამოუნახავთ ადგილი ჩვილი იესოსთვის პიტერ პენის ალებასტრისგან გამოქანდაკებული ბავშვებისა და ბრინჯაოს კურდღლების გვერდით. საფლავების დეკორაციისთვის კი ეროტიული სკულპტურებია გამოყენებული: *"Statues wherever you turned your eyes. Hundreds of them. […] All nudes, all female, al exuberantly nubile. The sort of statues one would expect to see in the reception of a high-class brothel"* [Huxley, 1939:15].

ჯო სტოიტის მიერ მოწყობილი სასაფლაო თავისი სიმდიდრით, ეროტიკული ქანდაკებებით, დამამშვიდებელი მუსიკითა და კომფორტული სამლოცველოებით სიკვდილის რეალობისგან გაქცევის მცდელობის სიმბოლოა. სტოიტი ცდილობს, როგორმე დააკნინოს სიკვდილის მნიშვნელობა ან უფრო სენტიმენტალური გახადოს იგი. სიკვდილი, უფრო სწორედ კი სიკვდილის შიში, და უკვდავებისკენ სწრაფვა რომანის მთავარი თემებია. ნაწარმოებში ეს თემები გამუდმებით ტრიალებს. ჯო სტოიტი ცდილობს დაიჯეროს, რომ უკვდავების მიღწევა შესაძლებელია და ხშირად იმეორებს "There is no death". ექიმი ობისპო მას ფიზიკურ უკვდავებას ჰპირდება და არწმუნებს, რომ უკვდავების ელექსირი აღმოაჩინა ჭანარის შიგნეულის სახით. სასაფლაოზე ყოველი გალერეის შესასვლელზე მარმარილოს სვეტზე ამოკვეთილია სიტყვები: *„Death, where is thy sting?"* [Huxley, 1939:15]. აღდგომის კოშკიც სასაფლაოზე მოსულ ადამიანებში უკვდავების ასოციაციას იწვევს და მათ მარადიული სიცოცხლის ბუნდოვან იმედს უღვიძებს.

„და ბოლოს გედი მაინც კვდება" მარადიული ახალგაზრდობის, სილამაზისა და სიცოცხლის ამერიკული კულტის ერთგვარი სატირაა. თავად ნაწარმოების სათაური აღებულია ალფრედ ტენისონის ლექსიდან „ტიტონოსი", რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ბერძნულ მითს ტიტონოსის შესახებ. მითის თანახმად, ქალღმერთმა ეოსმა, რომელიც ტროელ უფლისწულ ტიტონოსზე იყო შეყვარებული, ზევსს სატრფოს უკვდავება სთხოვა, მაგრამ დაავიწყდა მისთვის მარადიული ახალგაზრდობაც ეთხოვა. ტიტონოსი მარადიულად ცოცხლობდა და ბერდებოდა. ნატრობდა, სხვა მოკვდავთა მსგავსად მასაც შეძლებოდა სიცოცხლის დასრულება. ჰაქსლიმ რომანში არა მხოლოდ ლექსის სათაური, არამედ უკვდავების თემატიკაც გამოიყენა, რა თქმა უნდა, თავისებური ინტერპრეტაციით. აღნიშნულ საკითხს მწერალი ფართოდ განიხილავს ესეში „სილამაზის ინდუსტრია", სადაც ამბობს, რომ ამერიკელი ქალები კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ სახისა და სხეულის სილამაზეზე, საქმე კი იქამდე მიდის, რომ სულ მალე აღარ იარსებებენ ხანდაზმული ქალბატონები ჭაღარა თმებითა და ნაოჭებით. ადამიანი ყველა ხერხს მიმართავს მარადიული სილამაზისა და სიცოცხლის მისაღწევად, რაც განაპირობა ახალმა დამოკიდებულებამ ფიზიკური ღირებულებების მიმართ. ჰაქსლი იქვე აცხადებს, რომ მხოლოდ გარეგნული სილამაზე ჰარმონიულობისა და სრულყოფილების მისაღწევად საკმარისი არ არის. რაც არ უნდა ლამაზი იყოს ფაიფურის ჭურჭელი, მისი მიმზიდველობა მისივე შიგთავსით განისაზღვრება. ჭურჭელში შეიძლება თაფლიც ესხას და ჭუჭყიანი წყალიც. მწერლის აზრით, ადამიანიც ერთგვარი ჭურჭელია და მის სრულყოფილებას განსაზღვრავს „შიგთავსი" - სულიერება და თავისუფლება. ამიტომ ჰაქსლი ახალგაზრდობისა და სილამაზის გასახანგრძლივებლად დაწყებულ კამპანიას წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებს: *"Successful in prolonging the appearance of youth, of realizing or simulating the symptoms of health, the campaign inspired by this cult remains fundamentally a failure"* [Huxley, 1960:235]. რომანში „და ბოლოს გედი მაინც კვდება" პროპტერი თავის ფილოსოფიურ ქადაგებაში ამტკიცებს, რომ სრულყოფილებისა და ჰარმონიის მიღწევა შეიძლება, თუ ადამიანი გათავისუფლდება მატერიალურ სიკეთეებზე მიჯაჭვულობისგან, აგრეთვე, მარადიული სიცოცხლის კულტისა და დროში არსებობისკენ სწრაფვისგან. პროპტერი დროს ბოროტების მთავარ წყაროდ მიიჩნევს. ისტორიულ დროში არსებობა პოტენციური ბოროტებაა: *"Time is potential evil, and craving converts the potentiality into actual evil"* [Huxley, 1939:90]. სიკეთე და სრულყოფილება მხოლოდ დროის გარეშე არსებობს: *"A temporal act can never be more than potentially good, with a potentiality… that can't be actualized except out of time"* [Huxley,

1939:90]. დროისა და ლტოლვის გამო ადამიანურ დონეზე, ბოროტების გარდა, არაფერი მიიღწევა და სამყარო უიმედო მდგომარეობაშია. ევკალიპტის ხის ქვეშ მჯდომი პროპტერი თვალებს ხუჭავს და იხსენებს კარდინალ ბერულეს პასუხს კითხვაზე "What is man"? („რა არის ადამიანი?") ოცდაათი წლის წინათ წაკითხული კარდინალის სიტყვები "A nothingness surrounded by God" („ღმერთით გარემოცული არარაობა") მას დღეს უფრო ბრძნულად ეჩვენება, ვიდრე ოდესმე. შემდეგ კი თავადაც აკეთებს დასკვნას: რწმენა, რომ „ეგო" ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის უდიდესი უმეცრებაა, რადგან, მისი აზრით, ეს არის მხოლოდ ფიქცია, ერთგვარი კოშმარი და სიგიჟემდე გაფეტიშებული არარაობა. პირველ რიგში, საჭიროა დაიძლიოს მიჯაჭვულობა. პროპტერი აცხადებს, რომ დროით შეპყრობილ ადამიანს არ შეუძლია მიაღწიოს იდეალს, რაც გულისხმობს გათავისუფლებას - გათავისუფლებას ეგოსგან, დროისა და ლტოლვისგან, გათავისუფლებას ღმერთთან მიახლოვების გზით. სანამ არსებობს მიჯაჭვულობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის იარსებებს ბარიერი ადამიანსა და ღმერთს შორის.

ფაქტიურად, რომანის ყველა პერსონაჟი პროპტერის ქადაგების საპირისპიროდ მოქმედებს. ედგარ ჯონსონი (ნიუ-იორკის სითი კოლეჯის პროფესორი) 1940 წელს გამოცემულ სტატიაში „ღვთის სიყვარული ჰოლივუდში" აღნიშნავდა, რომ რომანის მთავარი თემა არის ურთიერთობა უილიამ პროპტერსა და დანარჩენ პერსონაჟებს შორის: *"And the reason is that Huxley is interested in the people only as ingredients in the philosophic pill he has been preparing for his own consumption"*[Johnson,1940, published in *Aldous Huxley, the Critical Heritage, ed.* Donalt Watt, 1997:331]. ნაწარმოებში წარმოდგენილია პოლარულობა სიკეთისა და ბოროტების სახით. მთავარ გმირებს უწევთ არჩევნის გაკეთება მისტიკოსის ფსიქოლოგიურ მარადისობას, ანუ „ზედროულ სიკეთესა", და მეცნიერის მიერ აღქმულ ისტორიულ დროში უკვდავებას, ანუ ბოროტებას, შორის, რომელსაც ექიმი ზიგმუნდ ობისპო განასახიერებს. ფრანგულ ჟურნალ Paris Review-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ოლდოს ჰაქსლი ამბობს, რომ რომანის ამ გმირს სახელი ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით დაარქვა. ეს კიდევ ერთხელ ეხმაურება მის მოსაზრებას სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესახებ. ექიმი ობისპო ჯო სტოიტს მეცნიერების გზით უკვდავებას ჰპირდება. მას სჯერა, რომ ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია და ჯო სტოიტს, რომელიც მისთვის მხოლოდ „ბალნიანი ხორცის კასრია", თავისი ექსპერიმენტისთვის იყენებს. ობისპო ეწინააღმდეგება ბუნებრივ კანონზომიერებებს და ფიქრობს, რომ მეცნიერულ მიღწევებს შეუძლია შეცვალოს როგორც ადამიანების, ისე ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობა, ნაყოფიერების პერიოდი და ა.შ. პროფესორი ქეით მეი ობისპოს მეფისტოფელს ადარებს [May, 1972:152]. ობისპო ვირჯინიასაც აცდუნებს მხოლოდ იმიტომ, რომ ის საკუთარ ნებას დაუმორჩილოს: *"For it was a fact that he personally found an added pleasure in the imposition of his will upon the partner he had chosen"* [Huxley, 1939:116]. ბუნებრივია, რომ ამგვარი ურთიერთობა ნაყოფიერი ვერასოდეს იქნება. ვირჯინიას დედობის შიში აქვს. ჰაქსლი ირონიულად აღნიშნავს, რომ ჯო სტოიტია მისთვის „საყვარელი პატარა". უნაყოფობასა და სტერილურობაზე გვამცნობს სტოიტის სასახლის შესასვლელში დადგმული ჯიამბოლონიის ნიმფაც, რომლის მკერდიდანაც წყალი გადმოჩქეფს. სექსის ტექნიკა, რომელსაც ექიმი ობისპო ვირჯინიას ასწავლის, არა მხოლოდ სხეულის მოძრაობებს გულისხმობს, არამედ ცნობიერების მაქსიმალურად დათრგუნვასაც. ვირჯინია ერთ-ერთი მათგანია, ვინც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ყველაფერს თავისი საფასური აქვს. მას სურს ჰქონდეს ყველაფერი, რაც სიამოვნებას ანიჭებს ან უსაფრთხოდ აგრძნობინებს თავს. ვირჯინია გრძნობს, რომ გათავისუფლება საჭიროა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რაზეც პროპტერი საუბრობს, როცა ამბობს, რომ ადამიანის სულს გათავისუფლება სურს, მაგრამ სხეული არ ანებებს. ვირჯინიას გარკვეული სულიერი მოთხოვნილებები მართლაც გააჩნია. ოთახში სამლოცველო აქვს და ლოცულობს კიდეც. საინტერესოა მისი ჟესტიც ექიმ ობისპოსთან დაწოლამდე: ვირჯინია გარბის და სამლოცველოს ფარდებს აფარებს. მაგრამ სხეული უფრო ძლიერია და ამ ბუნდოვან სულიერ მოთხოვნილებებს ახშობს: *"Virginia had been one of those* -

[…] not sufficiently conscious of her personal self to realize its ugliness and inadequacy, or the fundamental wretchedness of the human state" [Huxley, 1939:161]. ვირჯინიამ იცის, რომ *„He who would save his life must lose it"* [Huxley, 1939:161] და გათავისუფლების გზად თავდავიწყებას ირჩევს. თუმცა, ეს სინამდვილეში გათავისუფლება არ არის. პირიქით, თავდავიწყების ყოველი მცდელობა ცნობიერებას უფრო აძლიერებს და ეგოს შეგრძნებას უფრო ამძაფრებს; მდგომარეობა, რომლის დასავიწყებლადაც ადამიანი თავდავიწყების, ცნობიერების დაბინდვის ნებისმიერ ფორმას იყენებს, შვების მომტანი ვერასოდეს იქნება: *"But like all the other addictions,[…] the addiction to pleasure tends to aggravate the condition it temporarily alleviates"* [Huxley, 1939:162].

რომანში ჩართულია გონისტერის სიუჟეტური ხაზი, რომელიც მეორე ნაწილში მთავარი სიუჟეტური ხაზის პარალელურად ვითარდება. უნდა აღინიშნოს, რომ რომანს ლიტერატურის კრიტიკოსები ჰიბრიდულს უწოდებენ, რადგან მასში გაერთიანებულია რეალისტური და ფანტასტიკური ელემენტები. მეორე ნაწილში აღწერილია თუ როგორ მუშაობს ჯერემი პორდიჯი მასალებზე, რომელთა კატალოგირებისთვისაც დაიქირავა იგი ჯო სტოიტმა. მწერალი გვამზადებს იმ ფანტასტიკური მოვლენებისთვის, რომლებიც ნაწარმოების დასასრულს ხდება. ჯერემი პორდიჯი აღმოაჩენს გრაფი გონისტერის მეთვრამეტე საუკუნეში დაწერილ ავტობიოგრაფიას, რაც ამტკიცებს ობისპოს თეორიას უკვდავების შესახებ. ჩანაწერები ადასტურებს, რომ ჭანარის შიგნეული ადამიანს მარადიულ ახალგაზრდულ ენერგიასა და სქესობრივ პოტენციას უნარჩუნებს. რომანში გონისტერის დღიურის გამოჩენა ერთგვარი მინიშნებაა, რომ გრაფი ჯერაც ცოცხალია. ამგვარი მინიშნება წინა ეპიზოდებშიც გვხვდება, სადაც პროპტერი ობისპოს თანაშემწეს, ახალგაზრდა პიტ ბუნს, ესაუბრება მეცნიერული გზებით მიღწეული უკვდავების სავარაუდო შედეგების შესახებ. პროპტერი ამტკიცებს, რომ ამგვარი ცხოვრება იქნება უკუსვლა, ანუ რეგრესი, და არა ზესვლა, ანუ სრულყოფილებასთან მიახლოება. რომანის მეორე ნაწილის დასასრულს ეჭვიანობით გაცოფებული ჯო სტოიტი ობისპოს ესვრის, მაგრამ შეცდომით პიტ ბუნს კლავს. პიტ ბუნი ნაწარმოების ერთადერთი გმირია, რომელმაც შესაძლოა პროპტერის ქადაგების გავლენა განიცადოს და უკუსვლის ნაცვლად ზესვლის გზას დაადგეს, მაგრამ ეს ერთადერთი ადამიანიც კვდება. მის სიკვდილს კრიტიკოსი ჯორჯ ვუდკოკი სიბნელის გამარჯვებას უწოდებს [Woodcock, 2007:184]. ძალიან საინტერესოა სცენა, სადაც ჯო სტოიტი იარაღს ეძებს ობისპოს მოსაკლავად, რამდენჯერმე ცდილობს ქვემოთ ჩასვლას, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ სასახლეში ორი ლიფტია, ამას ვერ ახერხებს. ლიფტზე ზედმეტად გამახვილებული ყურადღებით მწერალი ისევ ირონიას გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი სული აქვს, იარაღი აიღოს და ობისპოს ესროლოს, სტოიტი ძალიან დიდ დროს კარგავს ხან ერთი და ხან მეორე ლიფტის ლოდინში. ბოლოს გადაწყვეტს, ფეხით ჩავიდეს, მაგრამ ორი საფეხურის შემდეგ აქოშინებული უკან ბრუნდება. როგორც იქნა, ლიფტი მოდის და ისევ ძალიან საინტერესო ეპიზოდი, რომელიც მკვლელობის სცენასაც კი კომიკურ ელფერს აძლევს. ლიფტიდან სტოიტი ხედავს ჰოლში დაკიდებულ სურათს და, მკვლელობის განზარხვის მიუხედავად, მისი გონება მათემატიკურ განსჯას იწყებს: *"The distance of her left eye from the left side of the picture was to its distance from the right side as one is to the square root of two minus one; and the distance of the same eye from the bottom of the picturewas equal to its distance from the left side"* [Huxley, 1939:216]. მექანიკურ სამყაროში მკვლელობაც კი არ შეიძლება მოხდეს მეცნიერების გარეშე.

მკვლელობის შემდეგ ობისპოს ჯო სტოიტი და ვირჯინია ინგლისში მიჰყავს, სადაც გონისტერის საგვარეულო სასახლის სარდაფებში აღმოაჩენენ, რომ გრაფი ჯერაც ცოცხალია და უკვდავება ნამდვილად არსებობს. ჯო სტოიტი მისი წინამორბედის, გონისტერის, გზის გამგრძელებელია და მის მსგავსად მიიჩნევს, რომ არანაირი სული და სულიერი ხსნა არ არსებობს. გრაფი ორი საუკუნის წინ წერდა, რომ ადამიანი სამუდა

ლიტერატურა

1. Bowering P. Aldous Huxley: A Study of the Major Novels, New York, Oxford : University Press, 1969
2. Huxley A . After Many a Summer Dies the Swan, New York, Harper & Brothers, 1939
3. Huxley A. Brave New World, New York: Harper Perennial, 1989
4. Huxley A. Music at Night and Other Essays, London, Chatto and Windus, 1960
5. May K. Aldous Huxley, London, Elek, 1972
6. Sion R.T. Aldous Huxley and the Search for Meaning, Jefferson, North Carolina, McFarland & Company Inc. Publishers, 2010
7. Johnson E. Review in Kenyon Review, " published in Aldous Huxley, the Critical Heritage; London and New York, 1975, reprinted in 1997, 1940
8. Woodcock G. Dawn and the Darkest Hour. - Montreal, Canada: Black Rose Books, 2007

ილონა ქენქაზე

ირონია მეტყველების აქტების თვალთახედვით

ენა ზოგადად და ირონია კონკრეტულად ადამიანებს შორის კომუნიკაციის ინსტრუმენტს, საშუალებას, წარმოადგენს, რომელიც მათ კოგნიტიურ და ემოციურ მდგომარეობას ამჟღავნებს. იმისათვის, რომ ირონიის აღქმა და ინტერპრეტაცია ადეკვატურად მოხდეს, როგორც მსმენელს, ისე მთქმელს უნდა ჰქონდეს კონკრეტული ფონურ-კონტექსტური ცოდნა, რათა სწორად „ამოირჩიონ“ და მიუსადაგონ კონკრეტული სტრუქტურა სიტუაციას. ცხადია, კომუნიკაციის ამგვარი დუალური ხასიათი გამონათქვამის კოდირებისა და დეკოდირების პროცესებს მოიცავს. ამგვარად, ირონიის დაფარული აზრის გადაცემა ნიშნავს, მიაღწიო ნათქვამის ადეკვატურ გაგებას ინფორმაციის გადაცემის როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ელემენტების გამოყენებით (ჟესტი, მიმიკა და ინტონაცია).

როგორც მუეკე ამტკიცებს, ირონია დაცინვის, სარკაზმის, ადამიანური ტრაგედიისა და კომედიის, კრიტიციზმის მნიშვნელოვანი ნაწილია და აუცილებლად ასოცირებულია ორაზროვნებასთან, პარადოქსულობასთან, გარკვეულ წინააღმდეგობასთან, მოულოდნელობასთან [Muecke,1982]. ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ირონიამ ანალიზის ახალი განზომილება შეიძინა, რომელიც მთქმელის ფონურ ცოდნას, მის მიერ სამყაროს სპეციფიკურ აღქმასა და აზროვნების ზოგად სტილს ეყრდნობა.

ირონიის განმარტება არ არის ადვილი, ამიტომ არსებობს მისი ბევრი განსაზღვრება. ირონიით დაინტერესებული მეცნიერები სხვადასხვა კრიტერიუმს ეყრდნობიან ირონიის განმარტების პროცესში.

კერძოდ, სპერბერი და უილსონი თავიანთ ნაშრომში „Relevance“ (1986) და შემდგომ კვლევაში „Irony and relevance“ (1998) ამტკიცებენ, რომ გარკვეულ გარემოებებში ნებისმიერი ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა ობიექტის რეპრეზენტაცია, ციტირება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არის ის, რომ ამგვარი ციტირება უნდა იყოს რელევანტური მსმენელისთვის, რომ ირონიული ნათქვამი სწორად იყოს გაგებული.

ატარდო ამტკიცებს, რომ იმისთვის, რომ ნათქვამი ირონიული გახდეს მას სამი მთავარი პირობა ესაჭიროება: 1. ორაზროვნება, რომელიც მსმენელს ეხმარება ადვილად დაინახოს ირონიული მნიშვნელობა; 2. ნათქვამის შეუსაბამისობა იმ კონტექსტთან, რომელშიც ის არის გამოყენებული; და 3. მთქმელის ინტენცია [Attardo, 2000].

კიდევ ერთი მკვლევრის, ჯიორას, აზრით, ირონია არაპირდაპირი უარყოფაა. შემდგომ ჯიორა და ფეინი დასძენენ, რომ ირონია დაფუძნებულია გამონათქვამის ყველაზე ხშირად გამოყენებულ, მთავარ და წამყვან მნიშვნელობაზე, რომელთანაც მსმენელს დეკოდირების პროცესში ყველაზე პირველი ასოციაცია მოსდის [Giora..., 1999].

ბრაუნმა და ლევინსონმა გაავრცელეს ირონიის ლიჩისეული თავაზიანობის ხედვა და შემოგვთავაზეს ირონია, როგორც უარყოფითი და პოზიტიური თავაზიანობის თეორია, რომელიც მოიცავს „სახის დაკარგვის“ პირობას [Brown..., 1987:61]. ისინი ფიქრობენ, რომ ირონიის მეშვეობით მთქმელს ეძლევა საშუალება და შესაძლებლობა, იყოს კრიტიკული და ამავდროულად არააგრესიული.

ირონიის ჩვენი სამუშაო განმარტება ასეთია: ირონია არის ენის სისტემური ტროპი, რომელსაც ისევე, როგორც ყველა ტროპს, აქვს ორი პლანი: ექსპლიციტური და იმპლიციტური, ზედაპირული და სიღრმისეული და, რომლის კოდირება და დეკოდირება მიიღწევა ამ ორ პლანს შორის კონტექსტური „თამაშით“ [ქენქაძე, 2012:267].

დღეს ირონიის კვლევა აქტიურად მიმდინარეობს არა მხოლოდ სემანტიკისა და სტილისტიკის, არამედ პრაგმატიკის კონტექსტშიც და ამგვარ კვლევებში საინტერესოა აღიწეროს არა მარტო ირონიის, როგორც ტროპის ტიპოლოგია, არამედ მისი პრაგმატიკულ-კონტექსტუალური ფუნქციები და აქტუალიზაციის მექანიზმები, მთქმელის ინტენცია, გამონათქვამის ილოკუციური ძალა და მისი მიმართება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციასთან. ყოველივე ეს პრაგმატიკის ასპექტების მიხედვით ნიშნავს ირონიის მეტყველების აქტების თეორიის თვალსაზრისით კვლევას.

ცნობილია, რომ ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია სპერბერ და უილსონის და ბრაუნის [Sperber...,1981; Brown,1980] ნამუშევრებიდან იწყება, რომლებიც სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ირონიის ჭეშმარიტი ბუნება მხოლოდ პრაგმატიკის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას, რადგან ირონია თავისთავად მეტყველების აქტია და არა მხოლოდ ენობრივი ფენომენი.

ირონია რომ დავინახოთ, როგორც მეტყველების აქტი, საჭიროდ მიგვაჩნია თავად მეტყველების აქტებს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ორ მკვლევარს, ოსტინს და სერლს [Austin,1962; Searle,1969], რომლებიც მეტყველების აქტების თეორიის ტრადიციულ, ფუნდამენტურ სკოლას წარმოადგენენ, მეტყველების აქტი მიაჩნიათ სოციალური ხასიათის ინტერაქციად, რომელიც სიტყვების მეშვეობით გამოხატავს კონკრეტულ სამეტყველო ინტენციას (თხოვნას, შეთავაზებას, უარყოფას, კომპლიმენტს.) სერლმა „ილუკუციური აქტების კლასიფიკაციაში“ ოსტინის მეტყველების აქტების დაყოფა განავრცო და მათ კიდევ ერთი განზომილება - ჭეშმარიტების პირობები - დაუმატა იმ მოსაზრებით, რომ ნებისმიერი ენა სამეტყველო ქმედების აუცილებელი ნაწილია.

ნებისმიერი ლინგვისტური მეტყველების აქტის და კონკრეტულად ირონიის, როგორც ასეთის, მთავარი ამოცანა მესიჯის, ინფორმაციის წარმატებული გადაცემაა. ამგვარი ქმედების პროცესში მთქმელი და მსმენელი მონაწილეობენ კომუნიკაციის რთულ პროცესში, რომელიც ნათქვამის ფორმას, მნიშვნელობასა და კონტექსტს მოიცავს და მსმენელის მხრიდან ნათქვამის ადეკვატურ აღქმასა და რეაქციას მოითხოვს, ანუ, სხვა სიტყვებით, ამგვარი წარმატებული ურთიერთობის დროს რთული პროპოზიციისა და ირონიული ილოკუციის ადეკვატური დეკოდირება ხდება. ირონიის ინტერპრეტაციის სირთულე მთქმელისა და მსმენელის კომუნიკაციურ კომპტენციაში მდგომარეობს. იგულისხმება, რომ ირონიის დეკოდირება გულისხმობს კონტექსტის ადეკვატურ დეკოდირებას [Colebrook, 2004].

ისიც ცნობილია, რომ წარმატებული მეტყველების აქტი შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორ სოციალურ სიტუაციასა და კონტექსტში აქტუალიზდება ის. ამგვარად, ნებისმიერი მეტყველების აქტი მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ სოციო-კულტურულ ფაქტორებთან და ასევე, ეყრდნობა მთქმელის ინტენციასა და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ვერბალურ, არმედ არავერბალურ მომენტებსაც.

სერლი ენის სამეტყველო აქტების თვალსაზრისით აქტუალიზაციის შემთხვევებს 5 მთავარ ჯგუფად ყოფს: 1. ასერტივები, რომლებშიც ნათქვამის მნიშვნელობა გარკვეულ ჭეშმარიტებას შეესაბამება და, რაც მთავარია, მთქმელს იგი ჭეშმარიტად მიაჩნია.

შესაბამისად, იგი მას, გარკვეულწილად, თავს ახვევს მსმენელს; 2. დირექტივები, როდესაც მთქმელი ცდილობს აიძულოს მსმენელი განახორციელოს შემდგომი ქმედება. მთქმელის მიერ მოთხოვნილი პოტენციური ქმედება შეიძლება გამოხატული იყოს თხოვნის, რჩევის, ნებართვის, გაფრთხილების, მოთხოვნის, ინსტრუქციის, ბრძანების ფორმით; 3. ექსპრესივები, რომლის აქტუალიზების დროსაც მთქმელი უჩვენებს საკუთარ დამოკიდებულებას მანამდე განხორციელებული ქმედების მიმართ ან თავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (ეს გამოიხატება მადლობის, მადლიერების, ჩივილის, ბოდიშის, სინანულის, მილოცვის, პატიების, თხოვნის, მისალმების, დაფიცების გამომხატველი აქტების სახით); 4. კომისივები, რომლებშიც მთქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც შეთავაზება, დაპირება, ფიცის დადება; 5. დეკლარატივები, რომლის პროპოზიცია მოიცავს ისეთი სახის დეკლარაციას, როგორიცაა ადამიანის დამნაშავედ ცნობა ან საქორწინო სახლში ცოლ-ქმრად გამოცხადება, ან ბავშვის მონათვლის დეკლარირება [Trosborg,1994] .

როგორც კვლევამ გვაჩვენა, ირონიის კონტექსტური აქტუალიზაციის შემთხვევაში მოსაუბრე მოქმედებს კონკრეტული განზრახვით ან მიზნით, რაც ისეთ პერლოკუციურ ქმედებებში აისახება, როგორებიცაა: ირიბი გაფრთხილება, დარწმუნება, მოსაუბრის გაკვირვება, შოკირება. ამგვარად, ირონიის მეშვეობით მთქმელი აიძულებს მსმენელს, მიუხვდეს მას ფარულ სათქმელს, ემოციას კონკრეტულ სამეტყველო აქტში და, ასევე, მთქმელის ინტერესებშია მსმენელმა ზუსტად გააკეთოს ნათქვამის ინტერპრეტაციაც. ამის გამო, ცხადია, სამეტყველო აქტის "მონაწილეები მიუსადაგებენ საკუთარ ვერბალურ ქმედებას კონკრეტულ ადრესატებს და კონტექსტს, რათა მძლავრ ინტერპერსონალურ ეფექტს მიაღწიონ" [Locher...,2010:2].

ცხადია, პროპოზიციის ირონიულ მნიშვნელობას დეკოდირების პრაგმატიკული საფუძველი აქვს, რადგან იგი ეყრდნობა მთქმელსა და მსმენელს შორის არსებულ ურთიერთობებს, რადგან ირონიის აქტუალიზების შემთხვევებში მთქმელი „ნიღბავს" თავის ნათქვამს და მსმენელი მხოლოდ დეკოდირების შედეგად აღიქვამს ნათქვამის ჭეშმარიტ, ირონიულ მნიშნელობას.

რატომ იყენებს მთქმელი ირონიას საუბრისას? ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ სამეტყველო საზოგადოებას აქვს თავისი ნორმები და ტრადიციები, რომლებიც არეგულირებენ ნებისმიერი სახის კომუნიკაციურ ქცევას და რომლებიც ზოგიერთი სახის ვერბალურ აქტივობას კრძალავს. მეორე მიზეზად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მთქმელს აქვს შინაგანი განზრახვა, შექმნას სპეციფიკური ირონიული ეფექტი, რომელიც შემდეგ დაეხმარება მას, გავლენა მოახდინოს მსმენელზე და შეაცვლევინოს აზრი კონკრეტული სიტუაციის შესახებ. ირონიის ყოველი აქტი გამოხატავს მთქმელის კომუნიკაციური ინტენციის კონკრეტულ თავისებურებებს - შთაბეჭდილება მოახდინოს, გააკრიტიკოს, გააპროტესტოს, აუკრძალოს მოსაუბრეს რაიმე განზრახვა, უარყოს, შეეკითხოს, დაადანაშაულოს, ბრალი დასდოს, უსაყვედუროს და, ამავე დროს, ფარულად გამოხატოს თავისი გაღიზიანება ან უარყოფითი დამოკიდებულება კონტექსტისადმი.

კვლევამ, ასევე, დაადასტურა, რომ ირონია დადებით კონტექსტშიც, დადებითი კონოტაციითაც შეიძლება შეგვხვდეს. მეცნიერთა ერთი ნაწილი (მიზაუ, ბრაუნი, ატარდო, ბუთი და სხვ.) ამტკიცებს, რომ არსებობს მაგალითები, რომელთა დროსაც, ირონია პოზიტიურია: მთქმელი გამოხატავს პოზიტიურ გზავნილს უარყოფითი ფორმით. ამ შემთხვევაში გამონათქვამის დეკოდირება საფრთხეშია, რადგანაც, თუ ნათქვამი არ აღიქმება, როგორც ირონიული, მაშინ მას იღებენ, როგორც კრიტიკას, რამაც შეიძლება მსმენელში უარყოფითი ემოციები გამოიწვიოს. ამიტომ პოზიტიური ფორმით გამოხატული ირონია საკმაოდ იშვიათია უარყოფითი ფორმით გამოხატულ ირონიასთან შედარებით.

ჩვენი კვლევისას მხოლოდ ორი ამგვარი მაგალითი შეგხვდა. ამის მიზეზი არის ის, რომ ყოველთვის არსებობს შიში, არასწორად იყო გაგებული. მოვიტანთ შესაბამის მაგალითებს, როგორც ყოველდღიური ცხოვრებიდან, ასევე კლასიკური ტექსტიდან (ჰემინგუეის რომანი „მშვიდობით, იარაღო“):

(ა) „You’re really a bad boy“.

(ბ) „You are such a silly boy. She kissed me“ [Hemingway, 1977:76].

პირველ მაგალითში (ა) ცოლი განზრახ მოიხსენიებს ქმარს, როგორც ცუდ ბიჭს და ნეგატიური ფორმით გამოხატავს კმაყოფილებას მაშინ, როდესაც ქმარმა მას ძვირფასი საჩუქარი მიართვა. მეორე მაგალითში (ბ) საუბარი შედგა კეტრინსა და ჰენრის შორის, როდესაც უკანასკნელი საავადმყოფოში იწვა. ამ ნათქვამებს ერთი რამ აერთიანებთ: მათი სწორი დეკოდირება მსმენელის უნარზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად განარჩევს ის ნაგულისხმევ და პირდაპირ მნიშვნელობებს და რამდენად წარმატებულად მიხვდება მთქმელის ინტენციას. ასეთი ნათქვამები ბუნდოვანი და ორაზროვანია და აძლევს მსმენელს ორი საპირისპირო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

სტატია ეყრდნობა ვერბალური ირონიის მაგალითებს, რომლებიც აღებულია ინგლისური და ამერიკული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურიდან. მაგალითების შერჩევისას შეზღუდული არ ვიყავით არანაირი პარამეტრებით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ირონიული მნიშვნელობის სხვადასხვა ტიპის გამონათქვამები ამოგვერჩია და საილუსტრაციოდ მოგვეყვანა.

სტატია ასევე მოიცავს ირონიის ინტერპრეტაციის ორი ასპექტის ანალიზს: პირველი, გვსურს გამოვიკვლიოთ, რა არის წარმატებული ირონიის საწინდარი, და, მეორე, გვაინტერესებს, როგორ ხდება ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია მეტყველების აქტებში. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ირონიული სამეტყველო აქტი მოიცავს მთქმელს, მსმენელს, გამონათქვამს, მის ირონიულ მნიშვნელობას, კონტექსტს, კომუნიკანტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ფონურ ცოდნას და ინტენციას, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ნათქვამისადმი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების დიდი ნაწილი კომუნიკაციას უკავია, რომლის შედეგია - გაიგო და გააგებინო, ამიტომაც ირონიის მნიშვნელობის კოდირებისა და დეკოდირების პრაგმატიკული პროცესი, რომელმაც უნდა გამოიწვიოს ადეკვატური რეაქცია, სრულიად საგულისხმოა მისი წარმატებისთვის.

(გ) Christine remarked happily: “We did have a nice time, didn’t we, love?”

“Oh, a very nice time!” Andrew said bitterly” [Cronin, 1993:41].

მაგალითში (გ) შეგვიძლია დავინახოთ, რომ, სპერბერისა და უილსონის ციტირების თეორიის მიხედვით, ენდრიუ ქრისტინს მისივე სიტყვების განმეორებით უპასუხებს, რაც, რეალურად პროპოზიციის უარყოფას ნიშნავს. ენდრიუს ეს რეპლიკა ირონიული ასერტივის ნიმუშს წარმოადგენს.

ირონიული ასერტივის მეორე მაგალითი აღებულია მარკ ტვენის რომანიდან „უფლისწული და მათხოვარი“.

(დ) „The Master of Ceremonies was not present; there was no one who felt safe to venture upon this uncharted sea, or risk the attempt to solve this solemn problem.

Alas! There was no Hereditary Scratcher“ [Twain, 2011: 36].

აქ საქმე გვაქვს სიტუაციურ ირონიასთან, რომელიც გამონათქვამის საწინააღმდეგო მნიშვნელობას კი არ აფიქსირებს, არამედ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. პროპოზიციის ექსპლიციტური დონე აცხადებს, რომ იმ დროს მეფეებს ჰყავდათ ცერემონმაისტერები, საკვების დამგემოვნებლები, მთავარი მზარეულები, და, ზოგადად, ყველაფრის ‘მაისტერები“, რომლებიც მეფეს ნებისმიერ სიტუაციაში ემსახურებოდნენ. მაგრამ, როდესაც ტომი (რომელიც მეფის ადგილას შემთხვევით მოხვდება) მოინდომებს ცხვირის მოფხანას და არ იცის, რა მოიმოქმედოს, რადგან ვერ ხედავს „მემკვიდრეობით ლორდ მფხანელს“, რომელიც დაეხმარებოდა მას ან მისცემდა რჩევას, თუ როგორ მოქცეულიყო მსგავს სიტუაციაში ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მიხედვით. ტომის კონტექსტური მოლოდინი ინგრევა და იგი აკრიტიკებს „მაისტერ-დამხმარების“ სისტემას და ეს საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ გაჩნდეს ირონია, რომელსაც მსმენელი აღიქვამს, როგორც ასერტივს.

მეხუთე (ე) მაგალითში საქმე გვაქვს ირიბი კომისივის აქტთან, რომელიც ინფორმაციას შეკითხვის სახით ექსპლიციტურად გადმოსცემს, ხოლო არასასიამოვნო განზრახვასა და, გარკვეულწილად, საფრთხეს, იმპლიციტურად შეიცავს.

(ე) “He can’t go. How am I supposed to be nasty to him if he isn’t here?” [De Bernieres, 2001:28].

იმისათვის, რომ ეს ირონიული ნათქვამი ადეკვატურად დეკოდირდეს, უნდა გავითვალისწინოთ მისი წინა კონტექსტური სიტუაცია, ამ რიტორიკულ შეკითხვაში მოსაუბრე (ექიმი) ირონიის გამოყენებისას დასაწყისიდანვე არღვევს სერლის მიერ შემოტანილ გულწრფელობის პირობას, რადგან მას უკვე აქვს კითხვაზე პასუხი.

კომისივის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი დიალოგი, რომელიც მატარებელში ხდება:

(ვ) - Are you going to Milbery’s lecture today? Take my advice, and don’t. I heard that he is a very bad speaker.

- I must go, I’m Milbery [Hewitt, 1987:7].

ბედის ირონიით, მეორე პიროვნება უნდა წავიდეს ლექციაზე, რადგან ის თავადაა ის ადამიანი, რომელმაც ლექცია უნდა წაიკითხოს .

კვლევის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ ირონიის ადეკვატური დეკოდირება შეუძლებელია მეტყველების აქტების თეორიის მოხმობის გარეშე, რადგან, ცხადია, ირონიის კონკრეტული სამეტყველო აქტის ტიპის დადგენის გარეშე ძნელდება მისი კონოტაციის ბოლომდე აღქმა. ჯერ კიდევ ოსტინი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ სიტყვები საბოლოოდ,

კონტექსტში ‘იხსნება’. “Words need to be “explained” by the context in which they are used” [Austin, 1962: 100].

ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ მაგალითს ვალტერ ლა ფაბერის წიგნიდან „ამერიკის ხანა“ :

(ზ) (1) I love Germany so[LaFeber, 1994: 491].

კონტექსტის გარეშე შეუძლებელია დავადგინოთ, თუ რომელ სამეტყველო აქტს მიკუთვნება ეს წინადადება. კერძოდ, იგი შეიძლება რამდენიმე სამეტყველო აქტის ფუნქციით იხმარებოდეს (ფიცი, დარწმუნება, რეალური სიყვარულის გამოხატულება). ყველა ამ აქტს აერთიანებს მათი პროპოზიციური შინაარსი, ხოლო განასხვავებთ მათი ილოკუციური ძალა [Bierwisch, 1980]. მხოლოდ კონტექსტში აქტუალიზების დროს და კონტექსტში განხილვის დროს შეიძლება ამ პროპოზიციის ადეკვატური დეკოდირება, რომლის დროსაც ცხადდება, რომ წინადადება ირონიულ ეფექტს იძლევა.

(ზ) (2) “I love Germany so”, a Frenchman wrote sarcastically. “Every day I thank God that there are two of them” [LaFeber, 1994: 491].

ასე ირონიულად წერდა ფრანგი სახელმწიფო მოხელე მეორე მსოფლიოს ომის შედეგად გერმანიის ორად გაყოფის შესახებ. ეს მაგალითი ირონიული ექსპრესივის კარგი მაგალითია, რომელშიც ფრანგი ირონიულად გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას გერმანიის მიმართ, რომელსაც მისი ქვეყანა ჰქონდა დაპყრობილი. მსმენელმა სპეციფიკური ისტორიული კონტექსტის ცოდნის გარეშე შესაძლებელია ვერც მოახერხოს მისი ადეკვატური ინტერპრეტაცია.

(თ) Such is his popularity that the locals (people in Chukotka) refer to BA and AA: before Abramovich and After Abramovich. [Soars..., 2005:75]

ჩუკოტკის ტერიტორიაზე მაცხოვრობლები ძალზე ემადლიერებიან აბრამოვიჩს, რადგან მან დაახლოებით 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაახარჯა ამ მიყრუებულ ტერიტორიას. როგორც მაგალითიდან (თ) ვხედავთ, ირონია “BA” and “AA” (აბრამოვიჩამდე და აბრამოვიჩის შემდეგ), ასოციაციურად ანალოგიურია გამოთქმისა - ქრისტეშობამდე და ქრისტეშობის შემდეგ. მსმენელისთვის ასეთ შემთხვევებშიც სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, ჰქონდეს ზედმიწევნითი ექსტრალინგვისტური ცოდნა, რომ ნათქვამის ირონიული ინტენციის ადეკვატური დეკოდირება მოახდინოს.

დირექტივები განხილული კლასიფიკაციით გულისხმობს მსმენელის „იძულებას“, განახორციელოს ქმედება ბრძანების, თხოვნის, რჩევის, გაფრთხილების, მოთხოვნის, ინსტრუქციის სახით, რომელიც კონკრეტდება გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსით.

(ი) Please don’t kill me, I am innocent. [De Bernieres, 2001:27].

ეს „თხოვნა“ დამპყრობელი არმიის კაპიტანმა კორელიმ წარმოთქვა, როდესაც შევიდა სახლში, სადაც ის დროებით ცხოვრობდა და დაინახა ახალგაზრდა დიასახლისი ქალი,

რომელიც სამზარეულოში სადილს ამზადებდა და ხელში დიდი სამზარეულო დანა ეკავა. სიტუაციის ადეკვატური დეკოდირებისათვის მნიშვნელოვანია პროსოდიული და პარალინგვისტური პარამეტრები. ამ შემთხვევაში ავტორი აკონკრეტებს მათ: The captain fell to his knees before her and exclaimed dramatically" [De Bernieres, 2001:27].

დირექტივების კიდევ ერთი მაგალითი ოსკარ უაილდს ეკუთვნის. და გამოყენებულია მის ერთ-ერთ ზღაპარში. პრინცესას, რომლის ერთადერთი მისწრაფება გართობა იყო მოეწონა ცეკვა, რომელიც ჯუჯამ დაბადების დღეზე შეუსრულა. საცოდავი ჯუჯა სცენაზე ცეკვისას გარდაიცვალა. შეკითხვაზე, თუ რატომ აღარ ცეკვავდა მისთვის ჯუჯა, ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ჯუჯას გული დაემსხვრა და გარდაიცვალა, რაზეც პრინცესამ უპასუხა, რომ შემდეგისათვის დასჭირდებოდა უგულო მოთამაშეები:

(კ) For the future let those who come to play with me have no hearts [Wilde, 1991:284].

ირონია ამ კონკრეტულ მაგალითში მდგომარეობს იმაში, რომ პრინცესამ გააკრიტიკა ჩემბერლენი და ირიბი დირექტივის ფორმით დაადანაშაულა ის იმაში, რომ მას არ შეეძლო, პრინცესას გაგებით, „ნორმალური" დაბადების დღის მოწყობა.

კითხვები, რომლებიც ჩვენი კვლევისას წამოიჭრა, ძირითადად, ეხმიანება ირონიის რელევანტურობის თეორიას, ციტირების თეორიას, შეუსაბამისობის თეორიასა და საკომუნიკაციო ინტენციას, რომელიც ამჟღავნებს არის თუ არა ლოგიკური ურთიერთობა ორ მნიშვნელობას შორის - გამოხატულსა (ექსპლიციტურს) და ნაგულისხმევს (იმპლიციტურს) შორის, რაც დაკავშირებულია ირონიის უარმყოფელ (ნეგაციურ) ხასიათთან.

კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველ მეტყველების აქტს, რომელშიც ირონია ფიგურირებს, კონკრეტული საკომუნიკაციო მიზანი, ინტენცია, ემოციური გამოხატულება და სპეციფიკური კონტექსტი აქვს. მასში ირონია გადამწყვეტ როლს ასრულებს. უფრო მეტიც, სწორედ კონტექსტი ახასიათებს და აკონკრეტებს ირონიის ხმარების სპეციფიკურ ფორმას და განსაზღვრავს მეტყველების აქტი ირონიაა, იუმორი თუ სარკაზმი.

ლიტერატურა

1. Attardo,S. Irony as Relevant Inappropriateness // Journal of pragmatics, 32 (6), 793-826, NY, 2000
2. Austin, J. L. How to Do Things with Words, J. O. Urmson and Marina. Sbisà eds. - Oxford: Oxford University Press, 1962
3. Bierwisch, M. Semantic Structure and Illocutionary Force. In: J.R. Searle, F. Kiefer, M. Bierwisch (eds), Speech Act Theory and Pragmatics (Studies in Linguistics and Philosophy), 1-35, Reidel Publishing Company, Dordrecht, 1980
4. Brown, P. Politeness: Some universals in Language Usage / S. Levinson. - New York: Cambridge University Press,1987
5. Brown, R. L. The Pragmatics of Verbal Irony. Language Use and the Use of Language. Washington, 1980.- pp. 111-127
6. Colebrook,C.Irony, Routledge. – London, 2004
7. Cronin A.J. The Citadel, - UK, Longman Publishing Group, 1993

8. De Bernieres,L. Captain Corelli's Mandolin, Pearson Education, USA, 2001
9. Giora, R. Irony: Context and salience, Metaphor and Symbol 14 (4) / O. Fein, 241-258, Philadelphia, USA, 1999
10. Hemingway, E. A farewell to Arms . - UK : Granada publishing, 1977
11. Hewitt, G.B. English Reader. - Georgia: Ganatleba publishers, 1987
12. LaFeber, W. The American age: United States Foreign Policy at Home and Abroad1750 to the Present. - USA: Norton & Company,1994
13. Locher, M. A. Interpersonal pragmatics (handbook of pragmatics). - Berlin: Walter de Gruyter GmbH&Co. KG, 2010
14. Muecke, D. C. Irony and the ironic. The critical idiom, Methuen&Co . - NY, 1982
15. Soars, L&J. Speech acts: An essay in the philosophy of language. - England: Cambridge University Press, 2004
16. 2004Headway 3rd addition Upper Intermediate. Student's book: Oxford Univercity Press, 2005
17. Sperber, D. Irony and the use-mention distinction, in P. Cole.(Ed.), Radical Pragmatics / D. Wilson. - New York: Academic Press, 1981. - 295-318
18. Interlanguage pragmatics: Requests, Complaints, and Apologies. - Berlin: Walter de Gruyter & Co, 1994
19. Interlanguage pragmatics: Requests, Complaints, and Apologies. - Berlin: Walter de Gruyter & Co, 1994
20. Twain, M. The Prince and the Pauper. - UK: Harper Press,2011
21. Wilde, O. The Complete Illustrated Stories, Plays and Poems of Oscar Wilde. The Birthday of the Infanta. - UK: Chancellor Press,1991
22. ქენქაძე ი. ირონიის ინტერპრეტაცის თაობაზე // საენათმეცნიერო ძიებანი. XXXIV. Linguistic Papers. 256-269. - საქართველო, 2012

მზექალა აჭაიძე

თანამედროვე გერმანული ლინგვოდიდაქტიკის ინტერკულტურალური ასპექტები

უცხო ენის სწავლება ყოველთვის იყო და იქნება გერმანელ მეთოდისტთა და დიდაქტიკოსთა ზრუნვის საგანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა უნდა შემუშავდეს გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა არამონათესავე ჯგუფის ენის მატარებელი, განსხვავებული კულტურისა და მენტალობის მქონე ენის შემსწავლელთათვის, რომელთაც ენის დაუფლება უხდებათ გერმანიის ფარგლებს გარეთ, გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყანაში ხელოვნურად შექმნილ გარემოში.

სავსებით ლოგიკურია, რომ ყველა ეპოქა ავითარებს უცხო ენის სწავლების მისთვის უფრო ხელმისაწვდომ და ხელსაყრელ მეთოდებს ქვეყნის პოლიტიკური ვითარების, სოციალური მოთხოვნების, საერთაშორისო კონტაქტების, ასევე, იმ მომენტისთვის აქტუალური კულტურული ფასეულობების შესაბამისად. გერმანიაში სხვადასხვა დროს ფეხმოკიდებული მეთოდებიდან შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ყველაზე პოპულარული: გრამატიკულ-მთარგმნელობითი, ბიჰავიორისტული, კოგნიტური, სტრუქტურულ-კონსტრუქციული, აუდიო-ვიზუალური და ა.შ. ბუნებრივია, რომ თითოეული მათგანი იღვწის აბსოლუტურობისკენ და თუ მაინც უპირობოდ ვერ იმკვიდრებს ადგილს ყველა ეპოქაში, ეს უმთავრესად არა საკუთარი კონცეფციური არასრულფასოვნების, არამედ გარკვეულ გარემოებათა ფონზე პრაქტიკაში მისი არასრულყოფილად რეალიზების შესაძლებლობის გამო.

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების ფონზე წინა პლანზე წამოიწია საზოგადოებაში უცხო ენის შესწავლისადმი პრაგმატულმა ინტერესმა. პასუხი ლინგვოდიდაქტიკოსთა მხრიდან ასეთ მიდგომაზე იყო კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდის შემუშავება, რომელიც სწავლების ძირითად მიზნად საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბებას ისახავდა. ამაში კი ივარაუდებოდა, რომ უცხო ენის შემსწავლელს უნდა შეძლებოდა, ადეკვატურად გამოეყენებინა ენა მისთვის საჭირო ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში. ამ მიზნით ეს მეთოდი სასწავლო პროცესში რთავდა სიტუაციურ-თემატურად დალაგებულ ავთენტურ ტექსტებს: ამონარიდებს მხატვრული ლიტერატურიდან, მასალებს პრესიდან, უპირველსად კი, გამოყენებით ტექსტებს: რეკლამას, სამგზავრო მარშრუტების ანოტაციებს, ამინდის ბიუროს ცნობებს, განცხადება-ანონსებს, საგამოფენო კატალოგებსა და ა.შ. მთავარი იყო ამ გზით სიტუაციის ადეკვატური ქცევის გამოწვევა ენის შემსწავლელში და მისთვის ეკვივალენტური ენობრივი ქმედების კომპეტენციის ჩამოყალიბება უცხო ენაზე.

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და პიროვნული კონტაქტების ფონზე დაწინაურდა უცხო ენის სწავლების ინტერკულტურული მეთოდი, როგორც კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდის ლოგიკური გაგრძელება და მისი შემდგომი გაუმჯობესების ერთგვარი მცდელობა. ამ მეთოდის უმთავრესი ინდივიდუალობა არის ორიენტაციის აღება ენის სწავლებისას უპირველესად ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე. თავისთავად ინტერკულტურული კომპეტენცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც სხვადასხვა კომპონენტის ერთობლიობას გულისხმობს, ესენია: გაცნობიერებული და კრიტიკული მიდგომა შესასწავლი ენის მატარებელი ერის მენტალური სტერეოტიპებისადმი, უცხო კულტურის აღიარება, უცხო ფენომენის გაგება, მისადმი ტოლერანტული განწყობით მიდგომა და ა.შ., რომელთა საფუძველზეც შეიძლება შედგეს წარმატებული კომუნიკაცია და კოოპერაცია. ინტერკულტურული სწავლების თეორიული მეთოდის ძირითად ფორმად მარტინ ბაუხი [Bauch, 2010:63] ინტერკულტურულ ტრენინგს მიიჩნევს, რომლის მიზანიცაა

მონაწილეთა სოციალური ინტერაქციის გაუმჯობესება სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

წინამდებარე სტატიის მიზანია ინტერკულტურული მეთოდის ზოგადი ანალიზის ფონზე მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყოფა გერმანელ ლინგვოდიდაქტიკოსებთან, მათი გამოძახილის აღწერა ქართულ რეალობასთან მიმართებით და სამომავლო პერსპექტივების პროგნოსტიცირება.

ინტერკულტურული კონცეფცია თავდაპირველად ანგლო-ამერიკული მიგრაციის კვლევიდან მომდინარეობს. მისი ტრანსპლანტირება გერმანული ენის მეთოდიკაში სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, რასაც მოჰყვა დიდი დისკუსია მეთოდის აპოლოგეტებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. უპირველესად, განვიხილოთ, თუ რას ვარაუდობს ეს მეთოდი თვით ანგლო-ამერიკულ კონტექსტში. ამერიკელი მკვლევრები ვილის ედმონდსონი და ჯულიანა ჰოუსი [Edmondson...,1998]. უარყოფენ *ინტერკულტურულის* ცნებას უცხო ენის გაკვეთილთან მიმართებით. ისინი თვლიან, რომ უცხო ენის გაკვეთილი თავისთავად უკვე ინტერკულტურალიზმის ასპექტშია გადაწყვეტილი და მის გვერდით განსაზღვრება *ინტერკულტურულის* ხმარება სხვა არაფერია, თუ არა ტავტოლოგია. ამის თანახმად, უცხო ენის სწავლების ნებისმიერი მეთოდი თავისთავად უკვე ინტერკულტურალიზმის ნიშნით არის აღბეჭდილი. ამ კონტექსტში საინტერესოა დითმარ რიოსლერის მიდგომა საკითხისადმი, რომელიც შენიშნავს, რომ მხოლოდ ინტერკულტურული მეთოდი ახერხებს ენის შესწავლის პროცესში ინტერაქციის გზით გამოავლინოს „ახალი პერსპექტივა“ მშობლიურ ენასა და უცხო ენას შორის [Rössler, 2012:82]. ეს განსხვავებულობა ყოველთვის ფიგურირებს ენის ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას, საქმე ეხება კითხვის, წერის თუ სხვა უნარების გამომუშავება-განვითარებას; მშობლიური და უცხოური კულტურისადმი შეპირისპირებითი მიდგომა განაპირობებს ანალოგიურ მიდგომას მშობლიური და შესასწავლი ენებისადმი.

ინტერკულტურულობის ცნებაში განიხილება თეორიული კონცეფცია, რომელიც ემყარება დინამიკურ ინტერაქციას კულტურებს შორის მათი ურთიერთგანსხვავებულობის აღიარების ფონზე, რაც საწინდარია წარმატებული კომუნიკაციისა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ენაში აირეკლება ერის კულტურული ღირებულებანი. მან, როგორც ყველა სხვა განზომილებაში მიმდინარე ინტერკულტურული კომუნიკაციის უმთავრესმა კომპონენტმა, შეიძლება ხელი შეუწყოს ინდივიდთა/ერთა დაახლოებას ან პირიქით, შეიძლება ის გახდეს საბაბი გაუგებრობისა თუ კონფლიქტისა. ხშირად, როგორც წესი, ვერბალურ დონეზე არასწორ ინტერპრეტაციას წინ უსწრებს კულტურული ფონის არასწორი ინტერპრეტაცია. ლუტც გიოტცეს თქმით, შეცდომები ინტერკულტურულ დონეზე შეიძლება „ფატალურიც“ კი გამოდგეს „უწყინარ“ ენობრივ შეცდომებთან შედარებით [Götze, 1993a:232], შედეგად კი ვერ შედგეს დიალოგი ინდივიდთა შორის არა ენობრივი ფენომენების არცოდნის ან ცუდად ცოდნის გამო, არამედ კულტურული ქვეტექსტების ვერგაგების გამო. ამდენად, უცხო ენის სწავლება გულისხმობს არა მარტო გრამატიკისა და ლექსიკის, არამედ, უპირველესად, უცხო რეალობის, კულტურულ ფასეულობათა ახსნასა და სწავლებას. ნათქვამი ეხება კომუნიკაციას როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ დონეზე (მაგალითად, სხეულის ენაზე: ჟესტიკით, მიმიკით, ქმედებით, დაუნაწევრებელი ბგერებით ...). მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ განსხვავება კულტურებს შორის არავერბალური კომუნიკაციის დონეზე (თავის დაკვრა, მისალმება, გამომშვიდობება და ა.შ.) შეუძლებელს ხდის ვერბალურ კომუნიკაციაზე გადასვლას. ამის კლასიკური ნიმუშია *თავის დაქნევა-გაქნევის* ქმედება: ცნობილია, რომ თუ *თავის დაქნევა* მრავალ კულტურაში თანხმობას ნიშნავს, *გაქნევა* კი უარყოფას, სხვა კულტურებში ამ სიმბოლიკას საპირისპირო შინაარსი მიეწერება. ბუნებრივია, ამ ქმედებას კულტურათა მიხედვით ახლავს ასევე განსხვავებული

მისალმება-დამშვიდობების მთელი რიტუალი, რომლის არასწორმა ინტერპრეტაციამაც შეიძლება სოციალურ კონფლიქტამდე მიიყვანოს კომუნიკაციის პირები.

კულტურათა (შესაბამისად კი ენათა) შორის მიმართებების მრავალფეროვნებას ხატოვნად აღწერს იორგ როშე აისბერგის სქემის მოშველიებით[Roche, 2008:230].[1] მისი თქმით, ჩვენ მხედველობისა თუ სმენის ორგანოებით აღვიქვამთ ამა თუ იმ ხალხის კულტურის მხოლოდ გარეგან მომენტებს: რიტუალებს, ტრადიციებს, ფოლკლორს, მხატვრობას, მუსიკას, და ა.შ., მაგრამ ჩვენი მხედველობის მიღმა, მსგავსად აისბერგის წყალქვეშა ნაწილისა, რჩება, ის, რაც ერის კულტურას აყალიბებს და რაც მხოლოდ გონებით შეიმეცნება: კულტურული ფასულობები, შეხედულებები, მენტალობა, კონცეფციები, იდეები. ყოველი ერის ენაში აისახება ის ღირებულებები და შეხედულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი კულტურისთვის, ყალიბდება განსაზღვრული აზრობრივი მიმართებები, რომლებიც შემდეგ ვერბალურად მანიფესტირდება. ამ ღირებულებებისა და ფასეულობების არცოდნის გარეშე ენის შესწავლა არასრულყოფილი ხდება.

ორი კულტურის პარალელური არსებობა არ გულისხმობს მათ შორის გაგებინების ავტომატურად მიღწევას. საჭიროა ერთმანეთისთვის ღირებულებების ისეთი სახით გადაცემა, რომ უცხო მისაღები გახდეს, თუმცა, არა საკუთარის უარყოფის ხარჯზე. ხშირად ამ მიმართებას *მესამე ადგილს* -Dritter Ort [Kramisch, 1995] ან *შუალედურ სამყაროსაც* უწოდებენ, რაც გულისხმობს პერსპექტივის ცვლას, კერძოდ, *პერსპექტივის გაფართოებას/გავრცობას,* რომელშიც საკუთარი და უცხო თანაარსებობს და თანაფუნქციონირებს.

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას (და ეს არის მისი არსებითი განმასხვავებელი წინამორბედი კომუნიკაციური მეთოდისგან) ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა, რაც მრავალსაფეხურიანი პროცესია. ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, უპირველესად, გულისხმობს კლიშეების აღმოფხვრას საკუთარ თავში, ტოლერანტობის ხელოვნების დაუფლებას, უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის გამომუშავებას სხვადასხვა პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხოს შორის. ინტერკულტურული კომპეტენციის მაღალი დონე გულისხმობს კომუნიკაციის ადეკვატურად და შემოქმედებითად წარმართვას. ეს კი მხოლოდ ინტერკულტურულ უნარებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად გარკვეული დოზით სოციალურ ასპექტშიც უყალიბებს ინტერკულტურულ უნარებს (თავის შეკავება ტაბუირებული თემებისა და მათი თანმხლები ვერბალური თუ არავერბალური ქმედებებისგან). ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, როდესაც შემოქმედებითი ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ინტერკულტურული სწავლება იმდენადაა დინამიკური პროცესი, რამდენადაც იქვე, გაკვეთილზევე, ხდება შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად რეალიზაცია, მიღებული ინფორმაციის მეშვეობით სხვა კულტურაში ორიენტირება და მისი მულტიპერსპექტიული აღქმა-გაცნობიერება.

უცხო ენის ინტერკულტურული სწავლებისას უმთავრესი მიზანია ინტერკულტურული და მულტიკულტურული კონტექსტების გაგება უცხოს/ახლის აღქმისა და გაცნობიერების გზით (Fremdverstehen und Fremdwahrnehmung). ეს მიდგომა სათავეს იღებს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან გისენის სკოლის(Giessener Graduiertenkolleg) ლინგვოდიდაქტიკოსთა ნაშრომების კრებულით Fremdverstehensdidaktik – *უცხოს გაგების დიდაქტიკა.* ამ სკოლამ, შეიძლება ითქვას, აშკარა ინდივიდუალური გერმანული შტრიხები შესძინა ენის ინტერკულტურული სწავლების მეთოდის ჩამოყალიბებას. ლოთარ ბრედელა

და ჰერბერტ ქრისტი ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინ აღნიშნავდნენ თავიანთ ერთობლივ პუბლიკაციაში რომ „უცხოს შემეცნების დიდაქტიკა ქვაკუთხედია უცხო ენის სწავლა-სწავლებისას“[Bredella..., 1995:10–11]; იგი შემსწავლელთათვის სამგვარად მანიფესტირდება: ა) ენის შემსწავლელები ეუფლებიან უცხო ენას; ბ) აღიქვამენ უცხო ენას, როგორც უცხო კულტურის ნაწილსა და გამოხატულებას; გ) კომუნიცირებენ უცხო ადამიანებთან, რომლებიც ასევე უცხო კულტურის წარმომადგენლები არიან. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით უცხოს გაგებასა და შეცნობას სხვა მნიშვნელობა ენიჭება. ისმება კითხვა, როგორ უნდა შეიცნო უცხო ენა და კულტურა საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით? ეგებ არსებობს რაღაც სტრატეგია ამისთვის, თუნდაც მაგალითად, უცხოს გაგება და წარმოსახვა ვირტუალური პროექციის სახით, რომელიც საკუთარ, ასე ვთქვათ, *წინარეშეხედულებებს* უფრო ამყარებს. ძირითადი იდეა აღქმისა და შეცნობის პროცესისა არის მზაობა, შეიცვალო საკუთარი პოზიცია/შეხედულება [Bredella..., 1999:13] როგორც საკუთართან, ისე უცხოსთან დაკავშირებული მყარი შეხედულებების მიმართ. განასხვავებენ პერსპექტივის ორ სახეს: *შინაგანი/შიდა პერპექტივა* და *გარეგანი/გარე პერსპექტივა* [Bredella, 1999:113]. *შიდა პერსპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის შინაგანად გაგებას/შემეცნებას ისე, რომ უცხო კულტურა ამ კულტურის წარმომადგენლების თვალით დავინახოთ, „ჩავიძიროთ“ უცხო კულტურაში; ხოლო *გარე პერპექტივა* გულისხმობს უცხო კულტურის საკუთარი თვალით დანახვას. ეს ნიშნავს, რომ უცხო უპირობოდ კი არ მივიღოთ, არამედ მოვახდინოთ მისი კრიტიკული რეფლექსია, უცხოს არ/ვერ გაგება უნდა აღიქმებოდეს, როგორც მზაობის ნაკლებობა უცხო შეხედულებების გააზრებისთვის. „პერპექტივების ცვლილება და დისტანცირება საკუთარისგან აბალანსებს უცხოს გაგების პროცესს“ [Bredella...,2000:13]. იმავე აზრს ავითარებს ქრისტი [Christ, 2007:51], როცა ის ამბობს, საკუთარზე დაყრდნობით გააცნობიერო უცხოს განსხვავებულობა, ნიშნავს გამოხატო დიალოგისათვის მზაობა. ეს მოხდება მაშინ, როცა ენის შემსწავლელს განუვითარდება უნარი, უპირობოდ კი არ მიიღოს საკუთარი და უცხო (განურჩევლად იმისა, მიმართება პოზიტიურია თუ ნეგატიური), არამედ მიუდგეს ორივეს ერთნაირად ანალიტიკურად, რაციონალურად. ამ პროცესში, იორგ როშეს აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარის გადაფასება სრულყოფილი ინტერკულტურული კომუნიკაციის მიღსაღწევად [Roche, 2001:154].

ზემოგანხილულიდან გამომდინარე, ინტერკულტურული სწავლება ისწრაფვის, *გაუცნობიერებელი ინტერკულტურული კომპეტენცია* გარდაქმნას *გაცნობიერებულ ინტერკულტურულ კომპეტენციად*. უცხო ენის გაკვეთილისთვის ეს ნიშნავს როგორც კოგნიტურ, ასევე ქცევაზე ორიენტირებულ სწავლებას. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის მონაწილეები სხვადასხვა იდენტურობის მატარებელი პირები არიან საკუთარი სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული და ა.შ. გამოცდილების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს აღქმისა და შემეცნების პროცესების ურთიერთგანსხვავებულად წარმართვაზე. ამის გამო სიფრთხილეა საჭირო სასწავლო ტექსტების შერჩევისას ინტერკულტურულობის ასპექტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით როცა გვსურს, თავიდან ავიცილოთ უხერხული მომენტები და არასასურველი შეკითხვები აუდიტორიაში ენის შემსწავლელთა მხრიდან. ისიც გასაგებია, რომ ქვეყანათმცოდნეობის კურიკულუმი არ შეიძლება აბსოლუტურად ფარავდეს ისეთ თემებსა და შინაარსებს, რომელნიც მიესადაგებიან ყველა კულტურის სასწავლო კონტექსტს. ამ კონტექსტში არანაკლებ გასათვალისწინებელია: ა) *ენის შესწავლის საფეხური;* რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო ნაკლებია ინდივიდის ინტერკულტურული გამოცდილება და მისთვის ამ ტიპის ინფორმაციის უფრო დიდი დოზით მიწოდების აუცილებლობა; რაც უფრო მაღალია ენის შემსწავლელის ენობრივი კომპეტენცია, მით უფრო მაღალია მისი ინტერკულტურული განსწავლულობაც; ბ) *შესასწავლი თემატიკის რელევანტურობა* ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის. ამასთან კავშირში მიულერ-ჟაკიერი გვირჩევს კურიკულუმში ყოველდღიურობასთან მისადაგებული თემების შეტანას, რომლებიც ენის

შემსწავლელისთვის საკუთარი გამოცდილებიდანაც ახლობელია, მაგალითად: კონკრეტული თემები (ოჯახი, სახლი, ბავშვი, ავტომანქანა...), ქმედებების აღმნიშვნელი თემები (დაპირება, უარყოფა, წარდგენა...), აბსტრაქტული თემატიკა (ზრდილობა-უზრდელობა, პასუხისმგებლობა, სამუშაო, თავისუფალი დრო...), და ა.შ. [Müller-Jacquier, 2001:1231]. თუმცა, არ გამოვრიცხავთ საშიშროებას, რომ ყოველდღიურმა თემატიკამ გააჯეროს სასწავლო კურიკულუმი და სასწავლო პროცესის მიღმა დატოვოს ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარებისთვის სხვა, უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი თემები. ამიტომ საჭიროა თემატიკა ისე შეირჩეს, რომ ეგზემპლარული ტექსტების მეშვეობით მიეწოდოს შემსწავლელს ინფორმაცია, რომელიც გაუღვიძებს მას მოტივაციას უფრო მეტის შესასწავლად. ამასთან კავშირში გერმანელი დიდაქტიკოსი ჰერმან ფუნკი ავითარებს მოსაზრებას, რომ კურიკულუმის შედგენა ციკლური პროგრესიის პრინციპით უნდა მოხდეს, ნაცნობიდან უცხოსკენ/უცნობისკენ, ინდივიდუალურიდან სისტემურისკენ და ა.შ. ასევე ინტერაქტიურობის პრინციპზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს მიწოდებული მასალის სრულყოფა გრამატიკული სახის ინფორმაციითა და შესაბამისი ლექსიკის მოშველიებით [Funk, 1999:97].

დისკუსიამ ინტერკულტურული სწავლების თემატიკის შესახებ ფართო დიაპაზონი მიიღო. გერმანელი დიდაქტიკოსი კლაუს ალტმაიერი გვთავაზობს, მაგალითად, ქვეყანათმცოდნეობის პლანში გააზრებულ თემებს: იდენტობა, ადგილი, დრო და ღირებულებები [Altmayer, 2006:192; Altmayer, 2007:19]. მათთან გარკვეული შეხების წერტილები აქვს ანდრეას რამინის ჩამონათვალს: ადგილი, დრო, დისტანცია, სამუშაო და კლიმატი [Ramin, 1989:232]. გერჰარტ ნოინერისთვის ამოსავალია ენის შემსწავლელის *გამოცდილებაზე* დაყრდნობა, რაშიც ის ინტერკულტურული შედარების საფუძველს ხედავს [Neuner, 1989:360]. *საკუთარ გამოცდილებაში* ის გულისხმობს არა ერთი ინდივიდის, არამედ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებას, ანუ იმას, რაც საერთოა/უნივერსალურია ადამიანებისთვის, განურჩევლად ეროვნებისა, მაგრამ თემატურად დალაგებული, ურთიერთგანსხვავებულ დატვირთულობას იძენს ცალკეულ კულტურათა მიხედვით. გერჰარტ ნოინერის ჩამონათვალში ფიგურირებს თემები [Neuner, 1994:23]:

1. დაბადება და გარდაცვალება;
2. იდენტობა(პირადი მონაცემები);
3. ოჯახური თანაცხოვრება(ნათესაობა);
4. საზოგადოებრივი თანაცხოვრება;
5. ურთიერთობანი პარტნიორებს შორის (მეგობრობა/სიყვარული);
6. საცხოვრებელი პირობები;
7. გარემო;
8. სამუშაო;
9. განათლება/აღზრდა;
10. დასვენება/თავისუფალი დრო/ხელოვნება/გართობა;
11. კონსუმირება/მოხმარების სფერო;
12. ტრანსპორტირება/მობილობა (ადგილის გაგება);
13. მასობრივი კომუნიკაცია (მედია-საშუალებები);
14. ჯანმრთელობის დაცვა;
15. სულიერი ფასეულობები (ეთიკა/რელიგია/ჰიგიენა);
16. დროის აღქმა;
17. სულიერ-ფსიქიკურ გამოცდილებათა განზომილება.

ბუნებრივია, აქ წარმოდგენილი ყოველდღიურობის ამსახველი, ე.წ. *გენერატიული თემების* [Zeuner, 1997: 50] ნუსხა მხოლოდ პირობითია და ის შეიძლება განივრცოს

სწავლებისთვის რელევანტური სხვა თემებითაც მოცემული ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით. მთავარია, რომ თემა აკმაყოფილებდეს ზემოგანხილულ მოთხოვნებს, იყოს საინტერესო შემსწავლელისთვის და ექვემდებარებოდეს მოდიფიცირებას მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკურ მახასიათებელთა მიხედვით.

საგულისხმოა, რომ სწავლების ინტერკულტურული მეთოდი ერთნაირად ვრცელდება როგორც ცალკეული თემების შესწავლაზე, ისე მათთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული მასალის მიწოდებაზე. ძირითადი მოთხოვნა პრაქტიკული გრამატიკისადმი ის არის, რომ თემატიკა იყოს არა განყენებული/აბსტრაჰირებული, „ამოგდებული“ დავალებად მიცემული შინაარსის კონტექსტიდან, არამედ მასთან ორგანულად შერწყმული, მის სოციოკულტურულ კონტექსტში „ჩაწნული“ და ხელს უწყობდეს თემის სრულყოფილად ექსპლიკაციას, შესაბამისად ამაღლებდეს შემსწავლელის მოტივაციისაც; მეორე მხრივ, ის უნდა ეფუძნებოდეს ასევე შედარება-შეპირისპირებას, ანუ კონტრასტული გრამატიკის პრინციპებს და შემსწავლელის გონებაში ასოცირდებოდეს მშობლიური ენის ანალოგიური გრამატიკული შინაარსის ფორმებთან თუ ნორმებთან.

სხვა სახის პრობლემებს გვიქმნის ლექსიკური მარაგის მიწოდება: რადგან სიტყვა თავისი სიმბოლიკით უკავშირდება შესაბამისი ენის კულტურას, შეუძლებელია დავჯერდეთ მხოლოდ მის პირდაპირ თარგმანს. ინტერკულტურული კომუნიკაციისას ხშირია შემთხვევა, როცა მოსაუბრე კონტექსტს ვერ იგებს, რადგან შესაბამისი კონცეფცია საკუთარ მსოფლმხედველობაში არ გააჩნია; არ აქვს ანალოგიური ხატი/აღსანიშნი და არც შესაბამისი ცნება/სიტყვა მშობლიურ ენაში. ამიტომ საჭიროა, რომ ენობრივ-კულტურული პროგრესიის პარალელურად განვითარდეს ლექსიკის დონეზე კონტრასტული სემანტიკა, რაც ულრიხ ცოინერის აზრით, იძლევა იმის საშუალებას, რომ სიტყვების შესწავლა ხდებოდეს კომპლექსურად, კონტექსტის მეშვეობით, ლექსიკური ერთეულის კულტურული მარკირებულობის გათვალისწინებით [Zeuner, 1997:3]. კონცეპტუალური ქაოსის თავიდან ასარიდებლად საჭიროა, თითოეული სიტყვა და ცნება კონტექსტუალურად იქნას ახსნილი და არა მხოლოდ ლექსიკონში შემოთავაზებული ეკვივალენტით. კონცეპტუალური განსხვავებულობების წინ წამოწევა უნდა ხდებოდეს გერმანული ენის გაკვეთილზე, პედაგოგმა უნდა შეძლოს მათი ახსნა, ენის შემსწავლელმა კი - რეფლექტირება.

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა ვითარებაა საქართველოში ამჟამად გერმანული ენის სწავლების თვალსაზრისით, რომელ მეთოდზე ხდება ორიენტაციის აღება, რამდენად იყენებს ქართული გერმანისტული სკოლა არსებულ შესაძლებლობებს და რა სურათი იკვეთება სამომავლოდ.

აღნიშვნის ღირსია, ერთი მხრივ, ის სასიამოვნო გარემოება, რომ ქართულ გერმანისტიკას გრამატიკის სწავლებისას არ ჰქონია ჩავარდნა გერმანიაში არსებულ მეთოდთა საქართველში გადმოტანისა და პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. ამას ჩვენში დასტამბული სოლიდური გრამატიკული ლიტერატურაც მოწმობს: თამილა სესიაშვილისა და ბელა სესიაშვილის *გერმანული ენის სახელმძღვანელოს* გრამატიკული ნაწილი აგებულია გრამატიკულ-მთარგმნელობით და კონსტრუქციულ მეთოდებზე [სესიაშვილი...2003]; მზია გვენცაძის *გერმანული ენის პრაქტიკული გრამატიკა* შემუშავებულია კომუნიკაციაზე ორიენტირებულ მეთოდზე დაყრდნობით [გვენცაძე, 2009]; მარინა ანდრაზაშვილის *გერმანული ენის აკადემიური გრამატიკის ოთხტომეული* დაფუძნებულია კონტრასტული ლინგვისტიკის პრინციპებზე [ანდრაზაშვილი, 2008], რომელიც იმავდროულად აკანონებს კიდევაც გერმანულენოვანი ლინგვისტური ტერმინების ქართულ ეკვივალენტებს, ავლებს პარალელებს ანალოგიური რანგის ქართულ ენობრივ ფენომენებთან, გვაწვდის მდიდარ მხარეთმცოდნეობით-კულტურულ ინფორმაციას გერმანულ საილუსტრაციო მასალაში და გერმანული

ფენომენების ქართულ შესატყვისებს ნიმუშთა პწკარედულ თარგმანში გერმანული ლექსიკის სიტუაციურ-კულტურული ფონის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, დასანანია, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ანალოგიური რეგიონალური სახელმძღვანელოების შექმნა ვერც ლექსიკაში და ვერც ქვეყანათმცოდნეობაში, რომლებიც დაეყრდნობოდნენ ინტერკულტურულ პრინციპებს, გაითვალისწინებდნენ ქართველ ენის შემსწავლელთა მენტალობას, მათ სააზროვნო წყობას და, რაც მთავარია, იმავდროულად დაიცავდნენ მასალის მიწოდებისას სირთულის პროგრესირების პრინციპს ზოგადევროპული ჩარჩოს შესაბამისად A1, A2, B1, B2 დონეებზე. სიტუაციას გარკვეულწილად აბალანსებს ის, რომ სასწავლო პროცესში (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) უხვად არის ჩართული ორიგინალური გერმანული სახლმძღვანელოები უცხოელებისთვის (Lehrbücher für DaF); არსებობს საცნობარო ხასიათის დამატებითი სახელმძღვანელო, შედგენილი თამილა სესიაშვილის მიერ, რომელშიც გერმანული რეალობის ამსახველი ტექსტები თემატურ პრინციპზე დაყრდნობით არის მოწოდებული [სესიაშვილი, 2003]; პედაგოგთა უმრავლესობა სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას გერმანულენოვან ქვეყნებში და ეცნობა ინტერკულტურულ მეთოდს, ცდილობს მის პრაქტიკაში რეალიზებას: ლექციას ამდიდრებს ავთენტური მასალით, ამონარიდებით მხატვრული ლიტერატურიდან, პრესიდან და სხვა ტიპის ტექსტებიდან; შეძლებისდაგვარად იყენებს აუდიო-ვიზუალურსა და ინტერნეტის მასალას; ჩვენს სინამდვილეში აქტიურად დაინერგა, ასევე, სტუდენტების გაგზავნა გერმანიაში მათთვის ენობრივ ცოდნასთან ერთად ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად და ინტერნაციონალურ პროექტებში თანამშრომლობის ჩვევის გამოსამუშავებლად; მაგრამ ერთია მცდელობა, მეორეა რეალური ვითარება და მიღწეული შედეგები. უნდა დაუფარავად ითქვას, რომ ჩვენში:

1. ჯერაც არ არის შექმნილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ინტერნეტ-სწავლებისთვის, ჯგუფური ინტერნეტ-პროექტების განხორციელებისთვის და ა.შ.;
2. კურიკულუმი არ სთავაზობს სტუდენტს ინტერკულტურული მეთოდით ნავარაუდევ აუცილებელ დისციპლინებს: საშინაო კითხვას, კონვერზაციას/თემატურ საუბარს, ქვეყანათმცოდნეობას (რაც, სხვათა შორის, სასწავლო ბადეში ტრადიციულად ყოველთვის ფიგურირებდა) და მხოლოდ ლექსიკითა და გრამატიკით იფარგლება;
3. საგრძნობლად რედუცირებული საათების რაოდენობა – სტუდენტი-გერმანისტებისთვის კვირაში 8/6 სთ. x 6 სემესტრზე, არასპეციალური ფაკულტეტებისთვის კვირაში 4 სთ. x 4 სემესტრზე – ნამდვილად არ არის იმის წინაპირობა, რომ პედაგოგმა ინტერკულტურული მეთოდით ნავარაუდევი შრომატევადი და დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე გათვლილი სამუშაო მოასწროს და სასურველ შედეგამდეც მივიდეს, მითუმეტეს, თუ სტუდენტთა ენობრივი წინარეცოდნა ხშირად (გარემოებათა გამო) ნულოვან დონეს უდრის;
4. ყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში შეინიშნება მეთოდისტთა და ლინგვოდიდაქტიკოსთა აშკარა სიმცირე, შესაბამისად კი ამ სფეროში წარმოებულ სოლიდურ კვლევათა არარსებობა. ბუნებრივია, ვგულისხმობთ გლობალურ, მიმართულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებულ ნაშრომებს.

დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში განხილული სწავლების ინტერკულტურული მეთოდი არ არის „მშრალ ნიადაგზე“ აღმოცენებული და უპერსპექტივო. უცხო ენის შესწავლა არ შეიძლება მოხდეს ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურისგან იზოლირებულად. ინდივიდს თავს ვერ მოახვევ ძალდატანებით ვერც უცხო ენასა და ვერც კულტურას, თუ არ აღძარი მასში სათანადო მოტივაცია. ინტერკულტურული სწავლების მთელი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ აუდიტორიაშივე ხდება ახლის/უცხოს აღქმისადმი ინტერესის გაღვივება და აქვე იწყება მისი შეცნობა, რასაც

ასაზრდოებს კონტრასტულ-შედარებითი მიდგომა საკუთარი და უცხო კულტურებისადმი, საკუთარი და უცხო ენისადმი. ინტერესის გაღვიძება კი სწორედ ის საწყისი საფეხურია, რომელსაც სწავლა-სწავლების შემოქმედებით პროცესად გადაქცევა უნდა მოჰყვეს.

სწავლების ინტერკულტურული მეთოდი, როგორც მრავალპლანიანი ფენომენი, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი თვით გერმანელ მკვლევართა მიერაც, არ არის დეტალურად შემუშავებული მისი ტექნოლოგიები, ზოგიერთის აზრით, არც მისი ეფექტურობაა ცალსახად დადასტურებული, კლაუს გნუტცმანი აღნიშნავს, რომ კომუნიკატიური და ქცევითი კომპეტენცია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინტერკულტურული სწავლებისას, ხოლო ენობრივ განზომილებას აღარ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა [Gnutzmann, 1994: 68]. თუმცა, მეორე მხრივ, მისი დადებითი შედეგებიც აშკარაა. გერმანიაში წარმოებულმა კვლევებმა გამოავლინა [Bredella/ Delanoy, 1999], რომ ენის შემსწავლელნი ამ მეთოდის წყალობით არა მარტო გაცნობიერებულად იყალიბებენ მიზნობრივი ენის კომპეტენციას, არამედ ისინი, როგორც პიროვნებები, საკუთარი ღირებულებებით შეგნებულად უდგებიან ახალ კულტურას და შეიმეცნებენ მას. ინტერკულტურული დიდაქტიკა ამჟამად ძიების, განვითრებისა და დახვეწის გზაზეა არა მარტო გერმანიაში, არამედ მრავალ სხვა არაგერმანულენოვან და არაევროპულ ქვეყანაშიც. იმედი ვიქონიოთ, რომ ძიების ეს პროცესი ახლო მომავალში რეალურ კონტურებს შეიძენს საქართველოშიც.

---

[1] ეს სქემა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში პირველად კაცნელსონმა გამოიყენა ენის იმპლიციტური მოვლენების აღწერისას.

ლიტერატურა

1. ანდრაზაშვილი, მ. გერმანული ენის გრამატიკა ოთხ წიგნად. - თბილისი, 2008
2. ლინგვისტური გერმანისტიკა: ზოგადი კურსი ბაკალავრიატის სტუდენტთათვის.- თბილისი, 2009
3. სესიაშვილი, თ. გერმანული ენა გერმანული სპეციალობის სტუდენტებისათვის / ბ. სესიაშვილი . - თბილისი, 2003
4. Altmayer, Claus. Kulturelle Deutungsmuster als Lerngegestand. Zur kulturwissenschaftlichen Transformation der Landeskunde. In: Fremdsprachen Lehren und Lernen. (35), 2006. - 44-59.
5. Altmayer, Claus. Von der Landeskunde zur Kulturwissenschaft – Innovation oder Modetrend? In: Germanische Mitteilungen. Zeitschrift für Deutsche Sprache , Literatur und Kultur(65), 2007. - 7-21.
6. Bauch, Martin. Interkulturelle Trainigsmethoden und deren Einsatz im Fremdsprachenunterricht. In: Interkulturelle kommunikation in Texten und Diskursen. Dorfmüller, Ulrike/Möller, Martina (Hrasg.) Frankfurt am Main. Peter Lang Verlag, 2010
7. Bredella, Lothar. Zielsetzungen interkuturellen Fremdsprachenunterrichts. In: Bredella, L./Delanoy, W.: Interkultureller Fremdsprachenunterricht. – Tübingen: Gunter Narr Verlag, 1999. - S. 85-120.

8. Bredella, Lothar. Didaktik des Fremdverstehens / Christ, Herbert(Hrsg.) . - Tuebingen: Gunter Narr Verlag, 1995
9. Bredella, Lothar . Interkultureller Fremdsprachenunterricht / Delanoy, Wener . - Tübingen: Narr Verlag,1999
10. Bredella, Lothar . Wie ist Fremdverstehen lehr- und lernbar? / Meissner, Franz-Jiseph, Nuenning, Ansgar, Roesler, Dietmar(Hrasg.)– Tuebingen: Gunter Narr Verlag, 2000
11. Christ, H. Fremdverstehen in der Praxis interkulturellen Lernens im Fremdsprachenunterricht. In: Bredella, L./Christ, H. (Hrsg.): Fremdverstehen und interkulturelle Kompetenz. - Tübingen, 2007. - 51-77
12. Edmondson, Willis Interkulturelles Lernen: Ein überflüssiger Begriff. ZFF 9/2 / Juliane , House , 1998. - 161-188.
13. Funk, H. Lehrwerkprogression als Lehrprognosen – didaktische Plnanung zwischen Angebot und Nachfrage. In: Börner, W./Vogel, K. (Hrsg.): Lehrwerke im Fremdsprachenunterricht. Lernbezogene, interkulturelle und mediale Aspekte. – Bochum, 1999. - S. 91-114.
14. Gnutzmann, C. Interkulturelles Lernen. Auch im Fremdsprachenunterricht? In: Bausch, K.-R.; Christ, H.; Krumm, H.-J. (Hrsg.): Interkulturelles Lernen im Fremdsprachenunterricht. Tübingen, 1994. - 63-72.
15. Götze, Lutz. Modalpartikeln aus der Sicht der Sprachlehr- und Lernforschung. In: Deutsch als Fremdsprache , 1993. - (30/4)227-232.
16. Kramisch, Claire Andere Worte-andere Werte: Zum Verhältnis von Sprache und Kultur. In Bredella, Lothar (Hrsg.), Verstehen und Verständigung durch Sprachenlernen? // Dokumentation des 15. Kongresses für Fremdsprachendidaktik, veranstaltet von der DGFF, Gießen, 4.-6. Oktober 1993. Brockmeyer. - Bochum, 1995. - 51- 66.
17. Müller-Jacquier, B.-D Interkulturelle Landeskunde" In:Helbig, G.; Götze, L.; Krumm, H.-J. (Hrsg.): Deutsch als Fremdsprache. - Berlin: Ein internationales Handbuch , 2001. - 1230-1234.
18. Neuner, G. Zur Lehrplanentwicklung für den Deutschunterricht an Sekundarschulen zielsprachenfernen Ländern. In: Jahrbuch Deutsch als Fremdsprache (15), 1989. - S. 348-373.
19. Ramin, A. Landeskunde im Rahmen interkultureller Germanistik. In: Info DaF (16/2). 212-243.
20. Roche, Jorg Fremdsprachenerwerb / /Fremdsprachendidaktik. 2. Auflg. A. - Francke: Tübingen und Basel, 2008
21. Rössler, Dietmar Deutsch als Fremdsprache. Eine Einführung. Metzler Verlag. – Stuttgart, 2012
22. Zeuner, Ulrich Landeskunde und Interkulturelles Lernen: Eine Einführung.Technische Universität Dresden, 1997http://www.tu-dresden.de/sulifg//daf/landeku/start/htm (31.01.2008)

ქეთევან ნიკოლაძე

სიტყვაწარმოების ადგილისათვის ლინგვისტიკაში ქართული და გერმანულენოვანი საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით

თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინს „სიტყვაწარმოება“ ორი მნიშვნელობით იყენებენ. არსებობს სიტყვაწარმოების განმარტება ამ ცნების ვიწრო გაგებით: *„სიტყვაწარმოება არის სიტყვების წარმოქმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით“* [Fleischer ... 1995:5]. ამ შემთხვევაში იგი განიხილება, როგორც რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის − ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის (მორფოლოგიის, სინტაქსის) შემადგენელი ნაწილი, *რომელიც „შეისწავლის სიტყვების აგების ტექნიკას“* [ტუსკია, 2004:3]. ქართველი ლინგვისტები, მაგალითად, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე სიტყვაწარმოებას ძირითადად მორფოლოგიაში აერთიანებენ, თუმცა, მათი მეორე ნაწილი, მაგალითად, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა და სხვ. მას ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში მოიაზრებენ. ამ მოსაზრებებს მომხრეები უცხოელ ლინგვისტთა შორისაც ჰყავს. სიტყვაწარმოებას გრამატიკის შემადგენელ ნაწილად თვლიან ჰ. პაული, ბ. ნაუმანი, ო. ბეჰაგელი, ი. ერბენი, კ. ბრინკმანი, ხოლო მას ლექსიკოლოგიას მიაკუთვნებენ ვ. შმიდტი, ვ. მოჩი და სხვა ლექსიკოლოგები. არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შუალედური მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სიტყვაწარმოება იკვლევს *„ახალი სიტყვების წარმოებას, წესებს, რომელთა მეშვეობითაც ეს სიტყვები იწარმოებიან და აღწერს განსაზღვრულ ნიმუშებსა და მოდელებს. ამგვარად, ეს სფერო სხვა დისციპლინებს შორის დგას, ერთი მხრივ, სინტაქსსა და, მეორე მხრივ, მორფოლოგიას შორის და რადგან სიტყვაწარმოებითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ ასევე სიტყვის მნიშვნელობაზე, იგი ლექსიკოლოგიასთანაც არის დაკავშირებული“* [Kühn, 1994:2].

სიტყვაწარმოების სხვადასხვაგვარი სტატუსი აიხსნება მისი საკვლევი ობიექტის, მართალია, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მაინც მკვეთრად განსხვავებული ასპექტებით. სიტყვაწარმოება, *„აღწერს რა ახალი სიტყვების წარმოების კანონზომიერებებს და ახალი ერთეულების, როგორც შედარებით მცირე ელემენტების შეკავშირების შედეგად მიღებული პროდუქტის, წარმოქმნას, თავისი კვლევის საგანს განიხილავს სინტაქტიკური თვალსაზრისით“* [Schippan, 2002:45]. ამ კუთხით თუ შევხედავთ, სიტყვაწარმოებას ბევრი საერთო აქვს სინტაქსთან. მაგრამ, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი პროცესების შედეგად მიღებული სიტყვა ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება და კერძოდ, რომელს − განისაზღვრება წარმოებული სიტყვის უშუალო შემადგენლების მიხედვით. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიის შემადგენელ ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტყვაწარმოების პროდუქტი ლექსიკალიზაციის პროცესის შედეგად ენის ლექსიკაში მკვიდრდება, ნაწარმოები ახალი სიტყვა ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტიც ხდება.

ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ერთი გარემოება: უცხოელ ლინგვისტთა შორის თანდათანობით იზრდება იმ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც სიტყვაწარმოება განხილულ უნდა იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც აქვს კვლევის საკუთარი სფერო და ობიექტი. აღნიშნული მოსაზრება კი განაპირობებს სიტყვაწარმოების მეორე, უფრო ფართო გაგებას, რომლის თანახმად, იგი შედის არა სინტაქსის ან ლექსიკოლოგიის სფეროში, არამედ წარმოადგენს *„დამოუკიდებელ, შედარებით ავტონომიურ ენობრივ დონეს“* [Dokulil, 1968:14]. მიუხედავად სიტყვაწარმოების სისტემური ხასიათისა, რის გამოც მას სინტაქსის კვლევის ობიექტად მიიჩნევენ, *„სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს ახასიათებთ თვისებები, რომელთა აღწერა*

სინტაქსს არ ძალუძს. ესენია ისტორიულობა, იდიომატიზაცია და ლექსიკურობა“ [Schippan, 2002:108]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ *„სიტყვაწარმოება ემყარება მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ წესებს და სიტყვაწარმოების შედეგი საჭიროებს კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს”* [Schippan, 2002:108].

ვ. ფლაიშერი და ი. ბარცი ასევე მსჯელობენ სიტყვაწარმოების განსაკუთრებულ ადგილზე ენის სისტემაში და მიაჩნიათ, რომ ის მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ სინტაქსისაგან. მართალია, სიტყვაწარმოებასა და სინტაქსს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, რაც გამოიხატება იმაში, რომ *„სიტყვაწარმოება შესაძლებელს ხდის ... ნიშანთა კომბინაციის პროდუქციას სიტყვის სტრუქტურაში“* [Flesicher...,1995:1] ისევე, როგორც ეს ხდება სინტაქსში, როცა სიტყვების კომბინაცია ქმნის წინადადებას, მაგრამ მათ შორის არის ერთი არსებითი სხვაობა: ნაწარმოები სიტყვების დიდი ნაწილი მყარ ლექსიკურ ერთეულად მკვიდრდება და ლექსიკის კუთვნილებად იქცევა, რასაც ვერ ვიტყვით წინადადებაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვაწარმოებას სინტაქსისაგან გამოყოფს ქართველი ლინგვისტი ბ. ფოჩხუაც: *„ფლექსიაც და სიტყვაწარმოებაც სიტყვის აგებულების ცვალებადობას გულისხმობს...განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში გარკვეულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან სიტყვის აგებულება და სიტყვის როლი შესიტყვებაში; მეორე შემთხვევაში – სიტყვის აგებულების ცვლა იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას. პირველ (ფლექსიის) შემთხვევაში ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმასთანა გვაქვს საქმე, მეორე (დერივაციის) შემთხვევაში – სხვადასხვა სიტყვასთან. პირველ შემთხვევაში აფიქსთა პარადიგმატულ თვისებებზე მახვილდება ყურადღება, მეორეში –სინტაგმატურზე“* [ფოჩხუა, 1974:14].

საინტერესოა ისიც, რომ ბ. ფოჩხუა სიტყვაწარმოებას არ მოიაზრებს ლექსიკოლოგიის ფარგლებში. ის განიხილავს რამდენიმე არგუმენტს, რომლებიც, როგორც წესი, იმის დასადასტურებლად მოჰყავთ, რომ სიტყვაწარმოება ლექსიკოლოგიის ნაწილია და დასკვნის სახით აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას: *„ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი) ჯგუფები ერთმანეთს არ ემთხვევა და, მეორე მხრივ, ის, რომ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა,–გვავარაუდებინებს, რომ მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ ვერ იქნება ლექსიკოლოგიის ნაწილი “*[ფოჩხუა, 1974:14].

სიტყვაწარმოება, როგორც ცნობილია, არის ახალი ნომინაციური ერთეულების წარმოქმნის საშუალება, რომელიც *„ხორციელდება ენის ნომინაციური პოტენციალის საფუძველზე, ე.ი. უზუალური სახელდებითი ერთეულების გამოყენებით განსაზღვრული წესების მიხედვით“* [Flesicher…,1995:2]. თუმცა, სიტყვაწარმოება არ უნდა აგვერიოს სიტყვაქმნადობაში. *„სიტყვაქმნადობა გულისხმობს, რომ სიტყვები იქმნებიან ბგერათა კომბინაციებისაგან, რომლებიც ენაში (ჯერ კიდევ) არ არსებობენ, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ელემენტები (ნიშნები). ე.ი. წარმოიქმნება ახალი ძირი“* [Fleischer…,1995:5]. ხოლო სიტყვაწარმოება არის *„სიტყვების (სიტყვათა ძირების) წარმოქმნა უკვე არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და დახმარებით“* [Fleischer…1995:5]. სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ ხასიათზე მიუთითებს ს. ქანგისერიც, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს *წინადადების „გრამატიკის კრეატიულობასა“* და*„სიტყვის გრამატიკის კრეატიულობას“*[Kanngießer, 1985:145].

ვ. ფლაიშერი და ი. ბარცი სიტყვაწარმოებას მიჯნავენ მორფოლოგიისგან. საუბარია, ერთი მხრივ, სიტყვის ფუძისა და ფლექსიური აფიქსების და, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი კომპლექსის უშუალო შემადგენლების სტაბილურობის განსხვავებულ ხარისხზე. სიტყვაწარმოებითი კომპლექსის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია *„ერთგვარი ელასტიკურობა“* [Fleischer...1995:3], ფლექსიის ფორმებისათვის კი – არა. ფლექსია ქმნის მტკიცე, მყარ სისტემას, რომელსაც გააჩნია სტაბილური, სისტემური ხასიათი, რასაც ვერ

ვიტყვით სიტყვაწარმოებაზე. მაგალითად, დეკომპოზიციის პირობებში (დეკომპოზიცია განიხილება როგორც კომპოზიციის საპირისპირო მოვლენა), რომელსაც ხშირად ოკაზიონალური ხასიათი აქვს და ტექსტზეა მიბმული, შეიძლება დაირღვეს ან შესუსტდეს კომპოზიტის სტრუქტურა. ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი კომპოზიტები: Hol- und Bringedienste („მოტანისა და წაღების სამსახური“) , Anto-Logie („ანთო-ლოგია“).

სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, პოტენციალზე მსჯელობს ლ. მ. აიხინგერიც. ის მიუთითებს სიტყვაწარმოების მჭიდრო კავშირზე მორფოლოგიასთან, სინტაქსთან და ტექსტის ლინგვისტიკასთან, თუმცა, იქვე ხაზს უსვამს სიტყვაწარმოების ერთგვარ გათანაბრებას სხვა ენობრივ დონეებთან:*„ სიტყვაწარმოება იყენებს მორფოლოგიის ინვენტარს ისეთი ერთეულების შესაქმნელად, რომელთაც შესწევთ უნარი, როგორც სრულყოფილმა ელემენტებმა, მოცემული ენის სიტყვათა სიმრავლეში დაიმკვიდრონ ადგილი. სიტყვების ამ სივრცეს სტრუქტურული თვალსაზრისით სინტაქსი განაგებს, რომელსაც, თავის მხრივ, (აზრის) გამოხატვის ინტენციის საგაზისო სტრუქტურები, გადაფარავს, როგორიცაა მაგალითად, თემა-რემა სტრუქტურა. ამ ტექსტუალური საშუალებებით დაკავშირებული სინტაქსური სტრუქტურების სივრცეში ჩართული უნდა იყოს სიტყვაწარმოებითი საშუალებებით ნაწარმოები ერთეულები ისე, რომ არ დაიკარგოს მათი სპეციფიკური ხასიათი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოდირების ისეთი სტრატეგიების და სახეობების არჩევა ხდება, რომლებიც ბევრად არ განსხვავდება იმისაგან, რაც სხვა ენობრივ დონეებზეა წარმოდგენილი, თუმცა კი საკუთრივ ამ სფეროს (სიტყვაწარმოების) შესაძლებლობებს წარმოგვიჩენენ“* [Eichinger, 2000:56].

სიტყვაწარმოებაზე, როგორც დამოუკიდებელ ენათმეცნიერულ დისციპლინაზე, მსჯელობისას მნიშვნელოვანია იმ საკითხების ჩამოთვლა, რომელთა გადაჭრაც სიტყვაწარმოების ამოცანებში შედის:

„ ის აღწერს სიტყვაწარმოებითი საშუალებების ინვენტარს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და ალაგებს მათ რანგისა (მნიშვნელობისა) და პროდუქტიულობის მიხედვით;

ის აღწერს წესებსა და მოდელებს, რომელთა მიხედვითაც ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შეიძლება წარმოიქმნან და აფიქსირებს პირობებს, რომლებშიდაც ისინი მართლაც წარმოიქმნებიან ან ვერა;

ის გვაწვდის სემანტიკურ მოდელებს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ინტერპრეტაციისათვის...;

ის აღწერს მეთოდების ინვენტარს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ინტერპრეტაციისათვის;

იდიომატიზების, დემოტივაციისა და ლექსიკალიზაციის პროცესების ასახსნელად სიტყვაწარმოება ენის ისტორიის კვლევის მეთოდებსაც იყენებს. გარდა ამისა, სიტყვაწარმოების კვლევის სფეროს მიეკუთვნება სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების კომუნიკაციური როლისა და მათი ადგილის განსაზღვრა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში “[Schippan, 2002: 110].

როგორც ვხედავთ, სიტყვაწარმოების კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა და ის საკითხები, რომელთა შესწავლითაც ის არის დაკავებული, სცდება როგორც ლექსიკოლოგიის, ისე

გრამატიკის ფარგლებს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, განხილვა.

სიტყვაწარმოებითი საკითხების განხილვისას აუცილებელია, შევეხოთ იმ ტერმინოლოგიურ სხვაობებს, რომლებიც იკვეთება ქართულ და გერმანულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში. პირველ რიგში, ეს ეხება ცნებას „სიტყვაწარმოება“. გერმანელი ლინგვისტებისაგან განსხვავებით, ქართველი ენათმეცნიერები ამ სიტყვას ორი მნიშვნელობით იყენებენ: ერთი მხრივ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგი არის სამეცნიერო დისციპლინის (ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის) შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს იგი განიხილება, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ტიპის − დერივაციის - სინონიმური ცნება. ამ მოსაზრებას ვაწყდებით, მაგალითად, ბ. ფოჩხუასა და ა. შანიძის ნაშრომებში. ბ. ფოჩხუა ტერმინებს „სიტყვაწარმოება“, „წარმოქმნა“ და „დერივაცია“ ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებს ისევე, როგორც ა.შანიძე: *„წარმოქმნას (დერივაციას), როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა (კომპოზიცია)...“* [ა. შანიძე, 1973:147]. ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელიც არის ტერმინოლოგიურ დონეზე მათი დიფერენციაცია. ამგვარად, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილებთ გაუგებრობებს ქართულ ლინგვისტიკაში და, მეორე მხრივ, უცხოელ ენათმეცნიერებს გავუადვილებთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასთან ურთიერთობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დერივაციის შემთხვევაში იკვეთება მეორე განსხვავებაც. გერმანულ სიტყვაწარმოებაში განახვავებენ დერივაციის ორ სახეობას: ექსპლიციტურ და იმპლიციტურ დერივაციას. ექსპლიციტური დერივაცია ნიშნავს ახალი სიტყვის წარმოებას დერივაციის ბაზაზე პრეფიქსის, სუფიქსის ან მათი კომბინაციის (პრეფიქს-სუფიქსის) დართვით [Fleischer...1995:46]. მაგალითად, Ordn-ung („წესრიგი“) , Un-glück (უბედურება), Ge-sing-e („სიმღერა“). იმპლიციტური დერივაცია კი გულისხმობს, მაგალითად, ზმნებისაგან არსებითი სახელების ან ზმნების წარმოების პროცესს, რომელიც ხორციელდება აფიქსაციის გარეშე *ფუძის ალიტერაციით* [Erben, 1983:27]. იმპლიციტური დერივაციის ნიმუშია ზმნისაგან werfen („გადაგდება“, „სროლა“) იმავე მნიშვნელობის არსებითი სახელის Wurf წარმოება. ქართველი ლინგვისტები ექსპლიციტურ დერივაციას და იმპლიციტურ დერივაციას (ანუ შინაგან ფლექსიას) სიტყვაწარმოების ორ სხვადახვა ტიპად განიხილავენ მაშინ, როდესაც გერმანელი ლიგვისტები მათ ერთი ცნების − დერივაციის ქვეშ აერთიანებენ, რადგან, მათი აზრით, „ორივე სახეობას საერთო აქვს ის, რომ *ხდება საბაზისო ფორმატივის მორფოლოგიურ სტრუქტურაში ჩარევა, რითაც ისინი განსხვავდებიან, მაგალითად, კონვერსიისგან*Fleischer...1995:51]. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში: ექსპლიციტური დერივაცია −wohnen Wohnung („ცხოვრება“, „ბინადრობა“, „ბინა“), იმპლიციტური დერივაცია − gehen Gang („სიარული“ „სვლა“), კონვერსია − laufen Lauf („სირბილი“). გარდა ამისა, გერმანელ ლინგვისტთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ პრეფიქსაცია არ შედის დერივაციაში და რომ იგი სიტყვაწარმოების დამოუკიდებელ ტიპს წარმოადგენს. ამ მოსაზრებას იზიარებს, მაგალითად, ი. ქუნი, რომელიც გამოყოფს სიტყვაწარმოების ოთხ ტიპს: კომპოზიცია, დერივაცია, პრეფიქსაცია და შემოკლებების წარმოება [Kühn, 1994:24]. აღნიშნული შეხედულების მომხრეები თავიანთ პოზიციას ამყარებენ იმ არგუმენტით, რომ პრეფიქსაცია ისევე, როგორც კომპოზიცია, ექსპანსიას წარმოადგენს, რადგან არც ერთ შემთხვევაში მიღებული სიტყვა არ იცვლის მორფოლოგიურ კლასს. მაგალითად, „un” პრეფიქსის დართვის შედეგად ზედსართავი სახელი ungesund („არაჯანსაღი“) ზედსართავ სახელად რჩება, სუფიქსაციის დროს კი, რომელიც ტრანსპოზიციის ერთგვარ სახეობას წარმოადგენს, შესაძლებელია სიტყვის „ტრანსპორტირება“ სხვა მეტყველების ნაწილში ან სემანტიკურ ჯგუფში. ამის ნიმუშს წარმოადგენს არსებითი სახელი Krankheit („ავადმყოფობა“), რომელიც krank („ავად“, „სნეული“) ზედსართავ სახელზე „-heit“ სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება,

რომ გერმანულ ენაში მოიძებნება ისეთი დერივატები, რომლებმაც სწორედ პრეფიქსაციის შედეგად შეიცვალეს მორფოლოგიური კლასი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ არსებითი სახელი „Ge-bäck“ („ნამცხვარი“, „ფუნთუშეული“), რომელიც „backen„ ზმნაზე „Ge-” პრეფიქსის დართვით არის მიღებული. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ როგორც პრეფიქსაციის, ისე სუფიქსაციის შემთხვევაში უშუალო შემადგენლები ძირეული მორფემა და აფიქსია, ამასთანავე, თუ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართულ ენაში პრეფიქსის დართვით შეიძლება ნაწარმოებმა სიტყვამ შეიცვალოს მორფოლოგიური კლასი, გასაგები გახდება, რატომ მიიჩნევს ლინგვისტთა უმრავლესობა, მათ შორის ქართველი ლინგვისტებიც, სუფიქსაციას დერივაციის სახეობად.

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მთავარი ტიპის − კომპოზიციაზე - მსჯელობის დროსაც. კომპოზიცია, ანუ თხზვა, ქართველ და გერმანელ ლინგვისტთა მიერ განიხილება, როგორც *„ორი და მეტი ფუძისან ბრუნვიანი სიტყვის შეკრება“* [თოფურია, 1979:103]. მაგალითად, „ცისარტყელა“, „Regenbogen” და ა.შ. თუმცა, გერმანელი ლინგვისტებისაგან განსხვავებით, ქართველი ენათმეცნიერები კომპოზიციაში მოიაზრებენ რედუპლიკაციასაც: *დღეისათვის დადგენილია კომპოზიტთა ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული (ფუძეგამეორებული, რედუპლიცირებული) და ფუძეგანსხვავებული (ნაირფუძიანი)* [არონია, 2010:8]. რედუპლიკაცია ცალკე ტიპად განიხილება გერმანულ სიტყვაწარმოებაში − ეს *„არის სიტყვების მორფოლოგიურ-სტრუქტურული წარმოების ელემენტარული სახეობა უშუალო შემადგენლის გაორმაგებით“* [Fleischer…1995:48]. რედუპლიკაციის ნიმუშებია „კაჭკაჭი“, Wirrwarr („არეულ-დარეულობა“).

საინტერესოა ის განსხვავებები, რომლებიც შეინიშნება სიტყვაწარმოების ტიპების გავრცელებაში ქართულ და გერმანულ ენებში.

თანამედროვე სიტყვაწარმოებაში განასხვავებენ ბინარული და არაბინარული სტრუქტურის მქონე სიტყვაწარმოების პროდუქტებს. *„ბინარულად სტრუქტურირებული სიტყვაწარმოების სახეობებია კომპოზიცია, დერივაცია... შესაბამისი სიტყვაწარმოების პროდუქტები დაიყვანება უშუალო შემადგენლებიან სტრუქტურამდე. არაბინარული სიტყვაწარმოების სახეობებია კონვერსია და შემოკლებების წარმოება. რეგრესიის (რედუქცია), კონტამინაციის (შერწყმა) და რედუპლიკაციის შედეგად მიღებული სიტყვაწარმოების კონსტრუქციებიც ექვემდებარება უშუალო შემადგენლურ ანალიზს“* [Flesicher…2012:83]. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური სიტყვაწარმოების ტიპი გერმანულ და ქართულ ენებში.

„გერმანულისთვის კომპოზიცია ... უდავოდ სიტყვაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპია“ [Elsen, 2004:23]. *„დერივაცია არის სიტყვაწარმოების მეორე მნიშვნელოვანი ტიპი გერმანულში“* [Elsen, 2004:29]. ამ ორ ტიპს მკვეთრად ჩამორჩება კონვერსია და შემოკლებების წარმოება [Naumann, 2000: 42].

კომპოზიცია ძირითადად არსებით სახელებში დასტურდება. დერივაცია თანაბრად არის დამახასიათებელი არსებითი და ზედსართავი სახელებისათვის, თუმცა, *„თანამედროვე გერმანულ ენაში „სუფიქსოიდების“ მეშვეობით ბევრი ოკაზიონალური ზედსართავი სახელი იწარმოება. როგორც ჩანს, დერივაცია მაინც უფრო ზედსართავ სახელს ახასიათებს“* [Naumann, 2000: 42]. სუფიქსოიდის მეშვეობით ნაწარმოები ზედსართავი სახელების ნიმუშებად შეგვიძლია განვიხილოთ lern-fähig („სწავლის უნარიანი“), bedeutungs-voll („მნიშვნელოვანი“) და სხვ. რაც შეეხება ზმნებს, მათი წარმოება ძირითადად პრეფიქსების

დახმარებით ხდება. აქ სუფიქსების ნაკლებობას პრეფიქსაციისა და კონვერსიის ინტენსიური გამოყენება ანაზღაურებს [Fleischer… 2012:86].

განსხვავებული მდგომარეობაა ქართულში. აქ პროდუქტიულობის მიხედვით პირველ ადგილს აფიქსაცია იკავებს, რომელსაც მოსდევს კომპოზიცია: *წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუპლიკაცია, შინაგანი ფლექსია და სხვ. ამათგან ... ყველაზე გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია* [თოფურია, 1979:103]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულ ენაში პრეფიქსაციასა და სუფიქსაციასთან ერთად ძალზე არის განვითარებული სიტყვის წარმოება ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის მეშვეობით ანუ კომბინატორული დერივაცია. *„ამით ქართველური ენები განსხვავდება ზოგი სხვა სისტემის ენათაგან, სადაც სიტყვაწარმოება ხდება ძირითადად სუფიქსის მეშვეობით“* [თოფურია, 1979:103]. გერმანულიც ასეთ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. აქ კომბინატორული დერივაცია *„სამივე მეტყველების ნაწილთან (იგულისხმება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა) იშვიათად გამოიყენება“* [Fleischer…2012:86]. ის ძირითადად არსებით სახელებთან არის წარმოდგენილი: *„ცირკუმფიქსები მხოლოდ არსებითი სახელების წარმოებისას გამოიყენება“* [Naumann, 2000:52].

იმპლიციტურ დერივაციასთან, ანუ შინაგან ფლექსიასთან, დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ ენაში ის ისტორიულად დაკავშირებული იყო აბლაუტსა და უმლაუტთან და მეტ-ნაკლებად აქტიურად გამოიყენებოდა ახალი სიტყვების საწარმოებლად, თუმცა, დღესდღეობით იგი სრულიად არაპროდუქტიულია [Flesicher…1995:51. მსგავსი მდგომარეობაა ქართულ ენაში. როგორც კვლევები ადასტურებენ, ქართულ ენაში აბლაუტი, რომელიც *„წარმოადგენსუფრო ფართო მოვლენის – ალტერნაციის – სახეობას“* [არაბული, 2001:102] და ალტერნაცია სიტყვაწარმოებითი ფუნქციით გამოიყენებოდა: *„უძველეს ლექსემათა ურთიერთმიმართება აშკარად წარმოაჩენს ახალ ძირ-ფუძეთა წარმოქმნის ალტერნაციულ მექანიზმს. რომელიც გულისხმობს საერთი გენეზისის ძირთა სემანტიკური დიფერენციაციის პროცესს... „* [არაბული, 2001:98].

რაც შეეხება სიტყვაწარმოების სხვა სახეობებს – კონვერსია, შემოკლებების წარმოება, რეგრესია, კონტამინაცია, ისინი ნაკლებად აქტიურია როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში.

სიტყვაწარმოების ტიპების განსხვავებული გავრცელება გერმანულსა და ქართულ ენებში განპირობებული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ამ ენებს შორის არსებული გრამატიკული განსხვავებებით, რაც გამოწვეულია მათი კუთვნილებით ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპისადმი. ქართული ენა, როგორც ცნობილია, შერეული ტიპის ენაა. იგი როგორც აგლუტინაციური, ისე ფლექსიური ენის ნიშნებს ავლენს. გერმანული კი ფლექსიურ ენათა ჯგუფში შედის. აგლუტინაციური ენები გამოირჩევიან აფიქსების სიმრავლით, ხოლო ფლექსიური ენები – დიდი სიტყვაწარმოებითი პოტენციალით

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიტყვაწარმოების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის განხილვა, რომელიც, მართალია, თავისი კვლევის სფეროსა და ობიექტის სპეციფიკის გამო მჭიდრო კავშირშია სხვა ლინგვისტურ დისციპლინებთან (ლექსიკოლოგია, გრამატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვა), მაგრამ, ამავე დროს, ავლენს დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების სულ უფრო და უფრო მეტ პოტენციალს, აფართოებს და მკაცრად შემოსაზღვრავს თავისი კვლევის არეალს.

ლიტერატურა

1. არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველუ ენებში. - თბილისი, 2001
2. არონია ი. კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში. - თბილისი, 2010
3. თოფურია ვ. შრომები III. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. - თბილისი, 1979
4. ტუსკია მ. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და და დიალექტებში. - თბილისი, 2004
5. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. - თბილისი, 1974
6. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I: მორფოლოგია. - თბილისი, 1973
7. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I: მორფოლოგია. - თბილისი, 1973
8. Dokulil A. Zur Theorie der Wortbildung. WZ der Karl-Marx Universität . - Leipzig, 1968
9. Eichinger L.M. Deutsche Wortbildung. Eine Einführung. – Tübingen, 2000
10. Elsen H. Neologismen. Formen und Funktionen neuer Wörter in verschiedenen Varietäten Des Deutschen. - Tübingen, 2004
11. Erben J. Einführung in die deutsche Wortbildungskehre. – Berlin, 1983
12. Fleischer W. Wortbildung der deutschen Gegenwartssprache / I. Barz . – Tübingen, 1995
13. Fleischer W., Wortbildung der deutschen Gegenwartssprache / I. Barz . - Berlin-Boston, 2012
14. Kanngießer S.Strukturen der Wortbildung. In:Handbuch der Lexikologie. - Königstein, 1985
15. Fleischer W., Wortbildung der deutschen Gegenwartssprache / I. Barz . - Berlin-Boston, 2012

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ლადო მინაშვილი
ქველმოქმედი ქალები მე-19 საუკუნის აშშ-სა და საქართველოში: ფილანტროპიის პარალელები.....2

2. ნანა გაფრინდაშვილი
სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით.....11

3. ნიკოლოზ გობეჯიშვილი
კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტრუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა).....17

4. ქეთევან ანთელავა
ქველმოქმედი ქალები მე-19 საუკუნის აშშ-სა და საქართველოში: ფილანტროპიის პარალელები.....27

5. ქეთევან მირზიკაშვილი
მოსმენა-აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში.....36

6. თამარ მელიქიძე
ბასილი კესარიელი „გარეშე სიბრძნისა“ და ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების შესახებ (ტრაქტატის „რა სარგებელი უნდა მივიღოთ ელინური ლიტერატურისგან“ მიხედვით).....42

7. ლელა ჟამურაშვილი
1930-იანი წლების ამერიკა ოლდოს ჰაქსლის რომანში ,,და ბოლოს გედი მაინც კვდება".....51

8. ილონა ქენქაზე
ირონია მეტყველების აქტების თვალთახედვით.....57

9. მზექალა აჭაიძე

თანამედროვე გერმანული ლინგვოდიდაქტიკის ინტერკულტურალური ასპექტები.....65

10. ქეთევან ნიკოლაძე

სიტყვაწარმოების ადგილისათვის ლინგვისტიკაში ქართული და გერმანულენოვანი საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით.....74